დამოუკიდებელი და ზეპარტიული

WWW.ASAVALI.COM

# ასავალ დასავალი

2022 წლის 19 - 25 სექტემბერი

N39 1451

ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

## სააკაშვილო, მელაშვილო და ილიჩოვა,

# საქართველო დავითგარეჯს არ დათმობს!

4-5



## გარეჯის გასხვისების საქმეში ოქროს მოწმე გამოჩნდა!

## კელი დეგნან და კელი დეგნანებო,

# საქართველო ომში არ ჩაებმება!

6-7 19 26

## ამერიკის ელჩი ნაცრევანშისტებს არ ემიჯნება!

ცად ამაღლდა!

*2022 წლის 18 სექტემბერს თბილისში, მახათას მთაზე, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, დაიკრძალა ქართველი პოეტი, პუბლიცისტი და კრიტიკოსი, „საერთო გაზეთის“ მთავარი რედაქტორი ვახტანგ ხარჩილავა.*

# საქართველომ ვახტანგ

# საერთო გაზეთი

№30 (669)
ოთხშაბათი
14 სექტემბერი,
2022წ.
ფასი 1.50 ლ.

**ვახტანგ ხარჩილავა** — თანამედროვე საქართველოს ერთ-ერთი გამორჩეული კალმოსანი და სიტყვოსანი — **მართლაც იყო საპანთეონე კაცი, რადგან ბევრი იღვაწა, ბევრი იშრომა და ბევრი იბრძოლა უკეთესი, ნამდვილი, ქართული, ეროვნული საქართველოსთვის.**

სანამ ცოცხალი იყო და თავისი წამახული კალმით გუთნისდედურ ხნულებს ავლებდა ქართული პუბლიცისტიკის ნოყიერ ნიადაგზე, მისთვის არასოდეს მითქვამს, მაგრამ გულში კი სულ მქონდა — **ვახტანგ ხარჩილავა მე-19 საუკუნის საქართველოში რომ დაბადებულიყო, სერგეი მესხის, ნიკო ნიკოლაძის, ვანო მაჩაბლის, გიორგი წერეთლის, პეტრე უმიკაშვილის, სტეფანე მელიქიშვილისა და „ივერიისა“ და „დროების“ სხვა ავტორთა თანამოკალმე იქნებოდა-მეთქი.** კი, ნამდვილად იქნებოდა, იმიტომ, რომ ვახტანგ ხარჩილავა თავისი პუბლიცისტიკით იმათსავით იღვწოდა და ილვენთებოდა სათაყვანებელი სამშობლოს სიყვარულსა და ქართველი ერის უმჯობესი მერმისისათვის ბრძოლაში.

ამ ქარიშხლიან ბრძოლაში, ამ ხანგრძლივ და პერმანენტულ მეხთატეხაში **ვახტანგ ხარჩილავას** ერთხელაც არ შეუსვენია და მუხლი არ ჩაუხრია, მის კალამს არასოდეს დასტყობია დაღლა და სასოწარკვეთა.

პოეზია კიდევ ცალკე ამბავია და როგორი დიდებული პოეტია **ვახტანგ ხარჩილავა,** ეს კარგად უწყიან მისი შემოქმედების ერთგულმა მკითხველებმა, ნამდვილი ლექსის გემოსა და ფერის მცოდნე ადამიანებმა, რომელთაგანაც ორნი — **ლაშა ნადარეიშვილი** და პაატა ნაცვლიშვილი აგერ, „ასავალ-დასავალის“ ამავე გვერდებზე ამბობენ თავიანთ სათქმელს მარადისობაში გადავანებულ ვახტანგ ხარჩილავაზე.

**თანამედროვე საქართველოში ქართული პოეზიის პროფანატორებს, ვითომ პოეტებსა და ვითომ მწერლებს ბევრი რომ იცნობს, ხოლო ნამდვილი პოეტის ვახტანგ ხარჩილავას ნამდვილ პოეზიას მცირედნი იცნობენ და აფასებენ, ეს არც ვახტანგ ხარჩილავას პრობლემაა და არც ნამდვილი პოეზიის, ეს თანამედროვე საქართველოს პრობლემაა, სადაც ჭეშმარიტი ფასეულობები კუთხეში არიან მიჩურთულნი, მათ ადგილას კი კვაზიფასეულობები ყელყელაობენ და სახიფათო ინტერვენციას ახდენენ ერის სულსა და გონებაში.**

**ვახტანგ ხარჩილავა** თავისი მართალი სიტყვითა და კალმით სწორედ იმისათვის იღვწოდა და იბრძოდა, რომ საქართველო გაუკუღმართებული ფასეულობების ტყვედ არ ქმნილიყო, საქართველოში საქართველო გადარჩენილიყო და ქართველში ქართველი არ დაკარგულიყო. შემთხვევითი არ არის, რომ **წინამდებარე გვერდზე დასაბეჭდად მისი მდიდარი პუბლიცისტიკიდან ერთ-ერთი ის წერილი შევარჩიეთ, რომელშიც ვახტანგ ხარჩილავა სწორედ იმაზე საუბრობს, თუ როგორ გადარჩა და როგორ უნდა გადარჩეს ქართველი ერი.**

მიუხედავად იმისა, რომ მისთვის საოცნებო და სანუკვარ საქართველოს ვერ მოესწრო, **ვახტანგ ხარჩილავა** ამქვეყნიდან მაინც გამარჯვებული წავიდა, რადგან **შეძლო, საკუთარ თავში გადაერჩინა საქართველო და ქართველი, მოახერხა ბოროტებით ფეხმძიმე გარესამყაროში დარჩენილიყო კეთილ კაცად!**

ჰო, **ვახტანგ ხარჩილავა, უპირველეს ყოვლისა, კეთილი კაცი იყო და ეს მისი ყველაზე დიდი გამარჯვებაა!**

**მან იცხოვრა და იღვაწა ისე, რომ თავისი წასვლით საქართველოს დააკლდა!**

**საქართველომ დაკარგა ვახტანგ ხარჩილავა!**

*ჯაბა ხუბუა*

P.S.

ოპოზიციაა თუ ყალთაბანდების „სბროდი“

დედოფალი მოკვდა! გაუმარჯოს მეფეს!

ანტირუსული ისტერია უნიჭო სცენარით

# როგორ გადარჩა და როგორ



ხშირად ვსვამთ კითხვას: — **როგორ გადარჩა და როგორ უნდა გადარჩეს ქართველი ერი, როდესაც ისტორიის ქარტეხილებმა პირისაგან მიწისა აღგავა მრავალი ერი, ჩვენზე გაცილებით მრავალრიცხოვანი, გაცილებით ძლიერი და მონოლითური?**

ამ კითხვაში გაოცებაც არის და გაკვირვებაც: **მართლაც რამ გადაგვარჩინა? როგორ მოვედით აქამდე?**

ზოგიერთი ერივით თვალუწვდენელი სტეპები და ტრამალები არ გვქონია, რომ გაქცევით გვეშველა თავისთვის — ერთი ხელის დადება სივრცეში ვიყავით ჩაკეტილები და გასაქანი არ გვქონდა — ან აქ უნდა მოვმკვდარიყავით, ან აქ უნდა გადავრჩენილიყავით.

**საქართველოს ზემოდან რომ დაჰყურებ, ოთხივე მხრიდან ჩაკეტილ გლადიატორების არენას ჰგავს, რაც თავისთავად გიკარნახებს ერთადერთ გადაწყვეტილებას — როგორმე მტერს უნდა სძლიო!**

თითქოს განგებამ საგანგებოდ შეგვირჩია ასეთი ადგილი — **ოთხივე მხრიდან დაგმანული სივრცე, სადაც უკან დასახევი გზა არ არსებობს.**

დიდგორის ომში **უკან დასახევი გზა** ჩაუხერგა ქართველებს დავით აღმაშენებელმა...

**აღმაშენებელმა იცოდა, რასაც აკეთებდა...**

**ღმერთმაც იცოდა, რასაც აკეთებდა, როდესაც ოთხივე მხრიდან ჩახერგილი სივრცე გვარგუნა ასპარეზად...**

და მაინც: — **რამ გადაგვარჩინა?**

ვერ ვინარჩუნებდით ტერიტორიებს, ვერ ვინარჩუნებდით სახელმწიფოებრიობას, ვერ ვინარჩუნებდით დამოუკიდებლობას, მაგრამ **ერი მაინც ინარჩუნებდა მეობას, ერი ერად რჩებოდა და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ერს გააჩნდა საყრდენი, რომელიც მატერიალური კი არა, სულიერი იყო და, ამდენად, მიუწვდომელი განადგურებისთვის.**

**ყველაფერი შეიძლება დაანგრიო, რაც მატერიალურია – აუღებელი ციხე-კოშკი, მიუდგომელი ციტადელი, დუღაბით შეკრული გალავანი, მაგრამ სულიერ საყრდენს ვერ დაანგრევ, რადგან სულიერი საყრდენი სულშია, სული კი ქვემეხისთვის თუ ხმლისთვის მიუწვდომელია.**

## კვირგვინოსნები

**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*



არასამთავრობო ორგანიზაციების **არამხოლოდ დაფინანსება უნდა იყოს გამჭვირვალე, არამედ მათი ყველა ქმედება**, სამწუხაროდ, ჩვეულებრივი **პოლიტიკური პარტიები** არიან!

„პირველი არხი“

**ირაკლი კობახიძე**
*„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*



ხალხს უნდა ვკითხოთ, **უნდა მეორე ფრონტი საქართველოში, თუ არ უნდა?** ხალხმა მიიღოს ამასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება, ეთანხმება უკრაინის ხელისუფლების მაღალჩინოსნებს, თუ ეთანხმება ჩვენს პოზიციას **მეორე ფრონტის** არგახსნასთან დაკავშირებით?

„საქართველოს რესპუბლიკა“

**სალომე ზურაბიშვილი**
*საქართველოს პრეზიდენტი*



არ ვეშვები და **ეროვნული თანხმობა** მუდმივად იქნება ჩემი ძალისხმევა, ვნახავ, სადამდე მივალ — **ეროვნული თანხმობა** ჩემი ახირება არ არის, ეს საზოგადოების დაკვეთაა!

„ინტერპრესნიუსი“

# ხარჩილავა დაკარგა!



## ჰოდა, „მიასვენებენ პოეტის ცხედარს“

**ჰოდა,** ეს **ვახტანგ ხარჩილავას** ერთი აქამდე ჩვეულებრივი, რიგითი სევდიანი ლექსის სათაურია. მისი პირველი ტომის 230-ე გვერდზეა დაბეჭდილი.

**ჰოდა,** თუმცა ჩვეულებრივ პირიქით ხდება ხოლმე, თავისი შემოქმედებითი ცხოვრება **ვახტანგ ხარჩილავამ** პოეზიით დაიწყო და ჟურნალისტიკით დაამთავრა. **ორივეს ზუსტად ერთნაირი გზნებით ემსახურა. ზუსტად! ალბათ, არ არის შემთხვევითი, რომ 2008 წელს გამოცემული ორტომეულის ორივე წიგნი ზუსტად 544-544 გვერდს შეიცავს. პირველ ტომში ლექსებია, მეორეში — ლიტერატურული თუ პუბლიცისტური წერილები.**

**ჰოდა,** ალბათ, არც ის არის შემთხვევითი, რომ „საერთო გაზეთში“, რომლის მეორე გვერდზე, როგორც წესი, გაზეთის რედაქტორის **ვახტანგ ხარჩილავას** მწვავე, ხშირად საკამათო პუბლიცისტური წერილები იბეჭდებოდა, **14 სექტემბერს რედაქტორის ლექსია დაბეჭდილი,** ძველი, 1997 წელს დაწერილი პუბლიცისტური ლექსი, **მაგრამ ლექსი!**

**ჰოდა, 2022 წლის 14 სექტემბრის ნომერი ვახტანგ ხარჩილავას უკანასკნელი ნომერი აღმოჩნდა. მეორე დღეს მისი გარდაცვალების ამბავი გავრცელდა. ასე რომ, პოეზიით დაწყებული გზა ფორმალურად მაინც პოეზიითვე დასრულდა.**

**ჰოდა, ვახტანგ ხარჩილავა** — ჩვენი დროის ერთ-ერთი აქტიური პუბლიცისტი და რედაქტორი — სინამდვილეში პოეტი იყო, ნამდვილი პოეტი, უპრეტენზიო, მაგრამ მაგგარი პოეტი — სამწუხაროდ, ჯეროვნად შეუფასებელი და დაუფასებელი.

**ჰოდა, მე, ბევრი ჩემი თანატოლის მსგავსად, სტუდენტობაშივე ვიყავი დაწაფებული უფროსკურსელი ვახო ხარჩილავას ლექსებს. მერეც, თუ სადმე ლექსი გამოუქვეყნებია, ვცდილობდი, არაფერი გამომრჩენოდა მისი. ეს ორი დღეა, ის ორტომეული გადმოვიღე თაროდან და მის მშვენიერ ლექსებს ვკითხულობ და ვკითხულობ და ვკითხულობ.**

**ჰოდა,** პირველი ტომის 230-ე გვერდზე დაბეჭდილი **მისივე იმ ერთგვარად წინასწარმეტყველური ლექსით** უნდა გამოვეთხოვო, რომლის სათაურიც ზემოთ უკვე ვახსენე:

**„მიასვენებენ პოეტის ცხედარს,**
**წყდება და წყდება ფოთოლს ფოთოლი.**
**ზამთრისპირია. ქარების სევდას**
**და წვიმის სევდას ჰყვება ჰობოი.**
**კაფე „ობლებში“ იგონებს დედას**
**ვიღაც მოხუცი, მთვრალი, ობოლი.**
**თოვს მოწყენილად. მახათას ზედა**
**სხედან ღრუბლები უსამშობლონი“.**

**ჰოდა,** საოცარია — **ეს მახათა მაინც რამ ათქმევინა!** წიგნი 2008 წელს არის გამოცემული. **სად იყო მაშინ მახათაზე ან სასაფლაო და ან, მითუმეტეს — პანთეონი, რომელიც ამ წიგნის გამოსვლიდან მთელი 10 წლის შემდეგ გაიხსნება!** ლექსი კი, რა თქმა უნდა, უფრო ადრეა დაწერილი: „ობლების“ სასადილო და მახათას პანთეონი ათწლეულებით დაშორებული ორი სხვადასხვა ეპოქის ნიშანსვეტია.

**ჰოდა,** პოეტი ვახტანგ ხარჩილავა მისმა **საფიცარმა სამშობლომ** მახათას პანთეონში დაკრძალა, **უსამშობლო ღრუბლების** ჩრდილში.

**პაატა ნაცვლიშვილი**




## მეგობარი პოეტის ხსოვნას

შენ საქართველოს
ხარ მეციხოვნე,
შემყურე ქვეყნის
მიეთ-მოეთის...
შენ საქართველოს
ხარ მეციხოვნე,
მაგრამ სასჯელი
გერგო პოეტის!

შენ სიკვდილითაც
ლელოს გაიტან,
სამშობლოს მტერი
ვერ აგიოხრებს, —
შენ დღეს ცხოვრებას
იწყებ თავიდან,
ბრძოლაში ისევ
გული იოხე!

ჩვენ ვიბადებით
ღმერთის უფლებით,
რომ სიყვარულში
მოვკვდეთ ბოლონი...
გახედე, ვახტანგ,
„მახათას ზედა
სხედან ღრუბლები
უსამშობლონი!“

**ლაშა ნადარეიშვილი**

# უნდა გადარჩეს ქართველი

**ქართული ეროვნული მოძრაობა თავისი საწყისებით მჭიდროდ არის დაკავშირებული რელიგიურ ცნობიერებასთან და ეკლესიურ წიაღთან, თავისი შინაგანი არსით ეს რელიგიურ-ეროვნული მოძრაობაა, რამდენადაც იგი გულისხმობს არამარტო განკერძოებული ეროვნულ-პოლიტიკური მიზნების განხორციელებას, არამედ, პირველ ყოვლისა, ითვალისწინებს ზნეობრივ აღორძინებას რელიგიურ რწმენასა და ცნობიერებაზე დაყრდნობით“,** — ეს კონცეფცია, რომელიც 1991 წელს გაყღერდა, არ გახლავთ მხოლოდ ერთი კერძო პოლიტიკური პირის, გნებავთ, პოლიტიკური ორგანიზაციის კონცეფცია. **ეს არის მთელი ქართველი ერის საერთო კონცეფცია, საერთო პლატფორმა, საერთო შეხედულება ქართული სახელმწიფოს მოდელზე, მის ფორმასა და შინაარსზე, მის იდეოლოგიურ საყრდენსა და საძირკველზე.**

•

**ვინ არიან მთავარი არქიტექტორები იმ სახელმწიფო შენობისა, რომელსაც დღეს ვაშენებთ?**

ქართველები?

**იქნებ ქართველები მხოლოდ შეკვეთის შემსრულებლები ვართ, საპროექტო ნახაზები კი სხვებს ეკუთვნით და ისინი გვკარნახობენ, როგორ ამოვიყვანოთ კედლები, რა მივახატოთ ზედ, სად ჩავსვათ ფანჯარა, სად ჩავატანოთ კარი?**

უცხოელი „პრარაბების“ დიდი ფუსფუსი და ფაციფუცია ქართული სახელმწიფოს სამშენებლო პოლიგონზე, მათი მითითებები და დირექტივები ისმის წამდაუწუმ.

**აღმაშენებელმა უკან დასახევი გზა ჩახერგაო,** — ვთქვით ზემოთ.

**ჩახერგილი გზები გაიხსნა და ქართველები თავქუდმოგლეჯილნი გარბიან საკუთარი სამშობლოდან, ანუ ბრძოლის ველიდან.**

საქართველოდან ქართველთა დიდი გაქცევის მიზეზი შეიძლება ისიც იყოს, რომ **ქართველები გუმანით გრძნობენ, რომ ეს არ არის მათი სახელმწიფო, ეს არ არის ქართველების სახელმწიფო, ხოლო როცა ამას ხვდები, მოვალეობის და პასუხისმგებლობის ტვირთი გეხსნება მხრებიდან და გაქცევა გიადვილდება.**

გაქცეულთა უკან დასაბრუნებელი გზაც ეკლესიაზე გადის და მადლით გასხივოსნებული ის გზაც, რომელმაც მომავლისკენ უნდა წაგვიყვანოს...

წარსული გვასწავლის, აწმყო კი გვცდის...

მასწავლებელი, ცოდნის მომცემი წარსულია, აწმყო — მკაცრი გამომცდელი.

**ჩვენ დღეს ნაკლებად ვიხედებით უკან, არადა, უკან გახედვა ორი ნაბიჯით წინ გახედვაა.**

**ვიღაცებს ჰგონიათ, რომ უწარსულოდ, უფესვოდ და უნიადაგოდ შეიძლება დარგონ და გაახარონ ერის ცნობიერების ახალი ხე, გაახარონ და გარშემო კი ახალი ჯიშის და ჯილაგის ქართული სახელმწიფო შემოუშენონ.**

**შეცდომაა ეს! მსგავსი ექსპერიმენტები ყველგან და ყველა დროში მარცხით მთავრდებოდა.**

შორს ნუ წავალთ — კომუნისტების სამოცდაათწლიანი ეპოქა გავიხსენოთ, რომელიც სრული კრახით დასრულდა.

**არ შეიძლება, სახელმწიფო რობოტების გამომშვებ საამქროს დაემსგავსოს...**

### სახელმწიფოს უსულო, უწარსულო რობოტები არ ქმნიან, სახელმწიფოებს ქმნიან მაღალი ზნეობის და სულიერების ადამიანები.

**მაგრამ თუ ერი ან სახელმწიფო თავის ფესვებს, ძირებს ჭეშმარიტ იდეას არ დაუბრუნდება, წინსვლისა და, თამამად შეიძლება ითქვას, გადარჩენის არავითარი შანსი, უბრალოდ, არ არსებობს.**

არ არსებობს ახალი სახელმწიფოებრივი იდეალები, რადგან **„არაფერია ახალ მზისქვეშეთში“.**

**არ არსებობს ახალი ქართული იდეა, ახალი რედაქციითა და ვარიაციებით. ის ისევე უცვლელი და მარადიულია, როგორც მზე და როგორც ჟამი!**

***ვახტანგ ხარჩილავა***

## კვირგვინოსნები



**გრიგოლ ლილუაშვილი**
*სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელი*

**რუსი ტურისტები შემოდიოდნენ 2018 - 2019 წლებშიც და არ მომხდარა არც დივერსია, არც — ტერაქტი**. ჩვენი სამსახურები ვცდილობთ, გავფილტროთ არასასურველი სტუმრები — **ასე რომ, იყავით მშვიდად!**

„პირველი არხი“



**მამუკა მდინარაძე**
*ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*

არავითარი **„სტრატეგია“** და **„ლელო“** არ არსებობენ, არსებობს **ნაცმოძრაობა,** სადაც შედის ხუთი პარტია, ეს ადამიანები ევრორეკომენდაციების საბოტაჟს ეწევიან. საქართველოში რამდენიმე **მდიდარი არასამთავრობო ორგანიზაცია** არსებობს, მათ გაცილებით მეტი დაფინანსება აქვთ, ვიდრე პარტიების უდიდეს ნაწილს, **ეს ფული სახელმწიფოს წინააღმდეგ მიემართება!**

„პირველი არხი“



**ელგუჯა ხოკრიშვილი**
*საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გერმანიაში*

**თუ რუსეთი გაზის მიწოდებას მთლიანად შეაჩერებს,** ალტერნატიული წყაროების მიუხედავად, სხვა ქვეყნებთან ერთად **ეს ძლიერი დარტყმა იქნება გერმანიის ეკონომიკისთვისაც...** ყველაზე მეტი პრობლემა შეექმნებათ **ბულგარეთს, უნგრეთს, იტალიას, სლოვაკეთს...** ევროკავშირში რუსული გაზის იმპორტის წილი 40 პროცენტამდეა.

„კვირის პალიტრა“



**ურსულა ფონ დერ ლაიენი**
*ევროკომისიის პრეზიდენტი*

მინდა, დასავლეთ ბალკანეთის, უკრაინის, მოლდოვისა და საქართველოს მოსახლეობამ იცოდეს — **ჩვენი ოჯახის ნაწილი ხართ, ევროკავშირი თქვენ გარეშე არასრულფასოვანია.** ერთი გაკვეთილი უკრაინის ომიდან ის არის, რომ **უნდა გვესმინა მათთვის, ვინც პუტინს იცნობს,** ჩვენი მეგობრებისთვის უკრაინაში, მოლდოვასა და საქართველოში.

„იმედინიუსი“

# დავითგარეჯის საქმეში



## დავითგარეჯის საქმის ოქროს მოწმის მანანა ალაპიშვილის მიერ ტელეკომპანია „იმედისთვის“ მიცემული ინტერვიუდან:

ფონდში ინახებოდა სხვადასხვა მასშტაბის რუკები (დაწყებული, ალბათ, 1890-იანი წლებიდან). ფონდში მე ვმუშაობდი უფროსის მოადგილედ და პარალელურად მევალებოდა მორიგე რუკების რედაქტირება. ეს მორიგე რუკები საფუძველი იყო ნებისმიერი თემატიკური და ტოპოგრაფიული რუკების შედგენისთვის. იქ გაკეთებულია ყველა ჩანაწერი და ამიტომ მნიშვნელოვანი არის ეს მორიგე რუკები და მათთან ერთად არსებული ფორმულარები — იგივე სახელმწიფო საზღვრების მიმართებაში.

•

ნებისმიერ ცვლილებას უნდა ჰქონოდა სამართლებრივი საფუძველი, ყოფილიყო მთავრობის დადგენილება და მის საფუძველზე მოხდებოდა ცვლილება და, შესაბამისად, მოხდებოდა ჩანაწერი მის ფორმულარში.

•

სამსახურში მისულმა აღმოვაჩინე სერიოზული დანაკლისი, მექანიკურად ჩამოვწერე იმ რუკების რაოდენობა, რაც იყო ალბომში მითითებული (რომ იყო 71) და ჩამოვწერე 71 რიგითი ნომერი და პარალელურად ჩავწერე ინვენტარის ნომრებიც... და როდესაც დავიწყე აღწერა, შევჩერდი 57-ზე, იმიტომ, რომ ალბომში აღმოჩნდა, რომ არის 57 რუკა, ფაქტობრივად. და შემდეგ, რა თქმა უნდა, კორექტორის საშუალებით ის დარჩენილი რიგითი ნომრები და ინვენტარის ნომრები მე გადავშალე. 71 რუკის მაგივრად ალბომში აღმოჩნდა 57 რუკა. ამის შესახებ საქმის კურსში ჩავაყენე სამმართველოს უფროსი, ბატონი ჟიომე, აწ გარდაცვლილი.

## სახელმწიფო გეოდეზიურ-კარტოგრაფიული ფონდის უფროსის ყოფილი მოადგილე მანანა ალაპიშვილი აცხადებს, რომ ნატალია ილიჩოვა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მიმდებარე მონაკვეთის გასხვისებას სთავაზობდა!

***საააკაშვილი რომ სამშობლოს მოღალატეა და მთელ თავის ნაზირ-ვეზირებთან და კახპებთან ერთად ᲨᲐᲧᲘᲡ ᲙᲕᲠᲘᲗ ᲓᲐᲡᲯᲐᲡ ᲘᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲡ, ამაში კვლავ დავრწმუნდი, როცა 2022 წლის 15 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოში ᲘᲕᲔᲠᲘ ᲛᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲜᲐᲢᲐᲚᲘᲐ ᲘᲚᲘᲩᲝᲕᲐᲡ მორიგ პროცესს დავესწარი, რასაც წინ უსწრებდა დავითგარეჯის საქმის ოქროს მოწმის ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲐᲚᲐᲞᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ მიერ სასამართლოსთვის მიცემული ჩვენება, შემდეგ კი მისი ინტერვიუ „იმედის“ ეთერში.***

სხდომაზე მოწმის სტატუსით დაჰკითხეს 2004 წლიდან დავითგარეჯის მონასტრის წინამძღვარი, **არქიმანდრიტი ᲘᲚᲐᲠᲘᲝᲜ ᲭᲘᲚᲚᲐᲫᲔ,** რომელმაც დეტალურად გაიხსენა, თუ როგორ ნელ-ნელა და ნაბიჯ-ნაბიჯ კარგავდა საქართველო ღვთივკურთხეულ მიწას...

ხუცესმა, რომელსაც, ძირითადად, პროკურორი **ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲣᲯᲘᲠᲘ** ჰკითხავდა, პირდაპირ განაცხადა, რომ დაახლოებით 2005-2007 წლებში სამჯერ შეხვდა **ᲘᲕᲔᲠᲘ ᲛᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲡ,** რომელმაც განუცხადა — **ჩიჩხიტურის კოშკის ერთი მხარე რუკების მიხედვით აზერბაიჯანს ეკუთვნისო!**

მოსამართლე **ᲜᲘᲜᲝ ᲜᲐᲭᲧᲔᲑᲘᲐᲛ ნატალია ილიჩოვას** ადვოკატის **ᲡᲣᲚᲮᲐᲜ ᲙᲝᲛᲐᲮᲘᲫᲘᲡ** პროტესტის საფუძველზე პროკურორებს — **ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲣᲯᲘᲠᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲦᲠᲐᲫᲔᲡ** უფლება არ მისცა, სასამართლო დარბაზში ეკრანზე ეჩვენებინათ **„საქართველოს პრეზიდენტად“ წოდებული რეზიდენტის — სააკაშვილის ცნობილი განცხადება, რომელიც მან 2007 წლის 12 მაისს ალიევთან შეხვედრის შემდეგ თბილისის აეროპორტში გააკეთა.** მაშინ სააკაშვილმა, ფაქტობრივად, აღიარებითი ჩვენება მისცა იმის შესახებ, რომ მან **საქართველოს მიწა და ქვეყნის სტრატეგიული სიმაღლეები აზერბაიჯანს მიჰყიდა.** აი, მისი განცხადებაც —

*„ჩემს მეგობართან, **ᲘᲚᲰᲐᲛ ᲐᲚᲘᲔᲕᲗᲐᲜ** განვიხილე დავითგარეჯის მონასტრის საკითხი. იქ არის ორი საკითხი — ერთია სტრატეგიული სიმაღლის, რომელსაც აზერბაიჯანისთვის აქვს სამხედრო მნიშვნელობა ქვეყნის შიდა უსაფრთხოებისთვის და, მეორე მხრივ, გარეჯის მონასტერი, რომელიც არის უძველესი და უმნიშვნელოვანესი ქართული კულტურული და რელიგიური ძეგლი. **ჩვენ შევთანხმდით, რომ უახლოეს პერიოდში უნდა შეხვდნენ ჩვენი სამუშაო ჯგუფები და საზღვარი დაიხაზოს ისე, რომ სტრატეგიული სიმაღლე, რომელიც ქვეყნის შიგნით სჭირდება აზერბაიჯანს, იყოს და დარჩეს აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, მაგრამ გარეჯის სამონასტრო კომპლექსი მთლიანად აღმოჩნდეს საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიაზე. ამასთან ერთად ჩვენ უნდა დავამთავროთ საზღვრის დელიმიტაცია!“***

თავს ვალდებულად ვრაცხთ, აქვე შევნიშნოთ, რომ **ეს განცხადება არის ვირეშმაკური და სულელურიც,** რადგან, თუ **ᲡᲢᲠᲐᲢᲔᲒᲘᲣᲚ ᲡᲘᲛᲐᲚᲚᲔᲔᲑᲡ** აზერბაიჯანს დაუთმობ, **ჩიჩხიტურიც** უსათუოდ ჩვენს პრეტენზიულ და მადაგახსნილ მეზობელს დარჩება, აკი, ჩიჩხიტურის კოშკი სიმაღლეების იქით, სიღრმეში მდებარეობს!

**ქართველი ერი რომ მოწოდების სიმაღლეზე ყოფილიყო და ჩვენი ერი თურქული და ჩინური ჭინჭების ყიდვა-გაყიდვას არ გადაჰყოლოდა, 2007 წლის 12 მაისს, როგორც კი ეს თავზარდამცემი და მოღალატეობრივი განცხადება ტელევიზიით გადმოსცეს, უნდა შევკრებილიყავით და ამ ამბავს ათასი კაცის სიცოცხლეც რომ შეწირვოდა, სააკაშვილი და მთელი მისი მკვლელებისა და კახპების ბორდელი საპრეზიდენტო რეზიდენციიდან ნაწილ-ნაწილ გამოგვეტანა.** სამწუხაროდ, ეს არ მოხდა... **ეს არც მაშინ მოხდა, როცა 2006 წელს სააკაშვილის საკახპეთიდან „საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ“ სახელდებული ᲜᲘᲜᲝ ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲫᲔ გამოხტა და საგანგებო ბრიფინგზე სიტყვასიტყვით განაცხადა —**

*„დავით გარეჯის კომპლექსის იმ ნაწილს რაც შეეხება, ამასთან დაკავშირებით შევახსენებთ, რომ ეს საბჭოთა კავშირის პერიოდიდან მოყოლებული არ იმყოფებოდა საქართველოს საზღვრებში და არის სწორედ აზერბაიჯანულ ტერიტორიაზე!“*

**2008 წლის აგვისტოს კატასტროფის შემდეგ იგივე გაიმეორა და დაამოწმა სააკაშვილის არამხოლოდ კულტურის მინისტრმა, არამედ ნაცზონდერების უსტაბაშმა, აწ განსვენებულმა ნიკა რურუამ —**

*„მიუხედავად იმისა, რომ გარეჯი ისტორიულად საქართველოს ნაწილი იყო, დღეს აზერბაიჯანის ტერიტორიაზეა... როგორც ტაოკლარჯეთი, რომელიც ისტორიულად საქართველო იყო, მაგრამ უკუღმართობის, ისტორიული დაუდევრობის, შეცდომების, უბედობის გამო დღეს ეკუთვნის თურქეთს! ასეთი რაღაცები ხდება, სამწუხაროდ...“*

**ეს განცხადებები კეთდებოდა იმ ფონზე, როცა სააკაშვილი და მისი ხროვა საქართველოს მოსახლეობას არწმუნებდნენ — აზერბაიჯანთან საზღვარს ვადგენთ და დემილიტაციის საკითხებზეც ვმუშაობთო!** არადა, ამათ, ამ მოღალატეებსა და ყორღანასძეებს, თურმე, ყველაფერი გადაწყვეტილი, ჩამოყალიბებული და შეთანხმებული ჰქონიათ — **„გარეჯი ჩვენი არ არის და აზერბაიჯანს ეკუთვნისო!“**

მოკლედ, 2019 წლამდე დიდი ხნით ადრე, ვიდრე აზერბაიჯანი ჩიჩხიტურის კოშკისა და მისი შემოგარენის ოკუპაციას მოახდენდა, **ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲝᲚᲐᲚᲐᲢᲔ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ** ეს მიწები უკვე გასხვისებული ჰქონდა! ახლა გასარკვევი ის არის, რის ფასად გასცეს და გაყიდეს **ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲛᲐ ᲥᲘᲚᲔᲠᲔᲑᲛᲐ ᲗᲣ ᲙᲐᲮᲞᲔᲑᲛᲐ** ძირძველი ქართული მიწა და ათასოთხასწლოვანი სამეფო მონასტრის ნაწილი, სადაც თავის დროზე საქართველოს დიდი მეფე **ᲓᲔᲛᲔᲢᲠᲔ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ დამიანე ბერის** სახელით აღიკვეცა საკუთარი შვილის მიერ მოძულებული, დევნილი და დამცირებული...

ის, რომ **ᲛᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲓᲐ ᲘᲚᲘᲩᲝᲕᲐᲛ** რუკები დამალეს და საქართველოს სახელმწიფო საზღვარი სწორედ მოღალატე სააკაშვილისა და მისი ხელისბიჭების დავალებით გაამრუდეს, ყველგან, ყოველი ფეხის ნაბიჯზე საცნაურია. **ამას ადასტურებს თავდაცვის სამინისტროს შესაბამისი სამსახურის პატიოსანი ოფიცრობა, ამას მოწმობს „კარტოგრაფების საქმეში“ სულ ახლახან „ოქროს მოწმედ“ ხმობილი ძვირფასი ქალბატონის ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲐᲚᲐᲞᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ სკანდალური ჩვენება და ამის ნათელი დასტურია ის დიალოგი,** რომელიც 2022 წლის 15 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოში პროკურორ **ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲣᲯᲘᲠᲡᲐ** და არქიმანდრიტ **ᲘᲚᲐᲠᲘᲝᲜ ᲭᲘᲚᲚᲐᲫᲔᲡ** შორის გაიმართა:

***ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲝᲠᲘ:*** *— თუ შეიძლება, დეტალურად აღგვიწერეთ, რა რეაქციები მოჰყვა აზერბაიჯანელების მხრიდან ჩიჩხიტურის მონასტერში სარეაბილიტაციო სამუშაოების დაგეგმვას?*

***ᲛᲐᲛᲐ ᲘᲚᲐᲠᲘᲝᲜᲘ:*** *— ფაქტი იყო, რომ აზერბაიჯანელი მესაზღვრეები მოვიდნენ და დაიკავეს კოშკი, სრული აღჭურვილობით მოვიდნენ. მამა მაკარის დააშლევინეს ის ხარაჩოები და თვითონ ჩადგნენ.*

***ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲝᲠᲘ:*** *— რა მოჰყვა აზერბაიჯანელი მესაზღვრეების იქ ჩადგომას, სარეაბილიტაციო სამუშაოების ბედზეც რომ გვითხრათ?*

***ᲛᲐᲛᲐ ᲘᲚᲐᲠᲘᲝᲜᲘ:*** *— ჩვენი მხრიდანაც იყო რეაგირება... ადგილობრივი, საგარეჯოს პოლიციიდან მოვიდნენ ამ ინციდენტთან დაკავშირებით. ერთად ავედით ჩვენს მესაზღვრეებთან. ისინი არ იყვნენ, რა თქმა უნდა, გადაწყვეტილების მიმღებები. ისინი ასრულებდნენ ბრძანებას. ეს ბრძანება საიდან მოდიოდა, ამას ვერ გეტყვით, არ ვიცი.*

***ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲝᲠᲘ:*** *— მესაზღვრეები რას ამბობდნენ ამ ყველაფერთან დაკავშირებით?*

***ᲛᲐᲛᲐ ᲘᲚᲐᲠᲘᲝᲜᲘ:*** *— ისინი გვეუბნებოდნენ, რომ ეს მათი ინიციატივით ხდებოდა. მე ვუთხარი მაშინ, თქვენ ნუ გამოიჩენთ საკუთარ ინიციატივას, ეს ისეთი საკითხია, საკუთარი ინიციატივით ამას ნუ იზამთ, მოჰყვება გართულებები და ნუ აიღებთ თქვენს თავზე. ჩანდა, რომ ისინი ბრძანებას ასრულებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ გვეუბნებოდნენ, თითქოს რაღაც არ იციან, რაღაც ეშლებათ, ხან ისეთ ადგილას მოდიოდნენ, სადაც არ უნდა მისულიყვნენ და ესენი ახალწვეულები არიან და არ იციან... ასე იმართლებდნენ ხოლმე თავს თავიდან.*

***ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲝᲠᲘ:*** *— შემდგომში თუ ჰქონდა რაიმე გამართლება მათ ქცევას?*

***ᲛᲐᲛᲐ ᲘᲚᲐᲠᲘᲝᲜᲘ:*** *— შემდგომში უკვე ამბობდნენ, ეს ჩვენიაო.*

***ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲝᲠᲘ:*** *— როდიდან დააფიქსირეს მესაზღვრეებმა, რომ ეს იყო აზერბაიჯანის ტერიტორია?*

***ᲛᲐᲛᲐ ᲘᲚᲐᲠᲘᲝᲜᲘ:*** *— როგორც მამა მაკარი ამბობდა, რომელიც გარდაიცვალა, 2005-შიც კი ამბობდნენ, რომ გზამდე ჩვენიაო, დაბლა არის გზა. ყოველთვის ამბობდნენ ამას. ოფიციალურად არ ვიცი!*

**ᲓᲔᲙᲐᲜᲝᲖᲛᲐ ᲘᲚᲐᲠᲘᲝᲜᲛᲐ სასამართლოში ისიც გაიხსენა, რომ აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა ერთხელ უდაბნოს მონასტერში 40 სებასტიანელი მოწამის ეკლესიის კარი შეამტვრიეს, ხოლო იქ მისულ სასულიერო პირებს უთხრეს, რომ ეს სპეცრაზმმა ჩაიდინა.** ამის მერე ბერები პრემიერ-მინისტრ **ᲖᲣᲠᲐᲑ ᲜᲝᲚᲐᲘᲓᲔᲚᲡ**



## რა ხდება ივერი მელაშვილისა და ნატალია ილიჩოვას სასამართლოზე?

# ოქროს მოწმე გამოჩნდა!

## დავითგარეჯის საქმის ოქროს მოწმის მანანა ალაპიშვილის მიერ ტელეკომპანია „იმედისთვის“ მიცემული ინტერვიუდან:



შეკითხვაზე — **ერთ-ერთი თქვენი წინამორბედი, ვისგანაც გადმოიბარეთ ეს ალბომი, იყო ილიჩოვა?** — ქალბატონი **მანანა ალაპიშვილი** პასუხობს:

*— კი, ნუ, მასაც უნდა გაეკეთებინა, რა თქმა უნდა აღწერა, გაეკეთებინა სათანადო ჩანაწერი... და ეს პროცედურა გავაკეთე მე!* ***ილიჩოვამ შემომთავაზა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მიმდებარე ერთ-ერთი მონაკვეთის გასხვისება. მე ვიყავი შოკირებული!*** *მე არ მითქვია მისთვის არაფერი, ერთადერთი ეს ვუთხარი:* ***ნატო, ჩათვალე, რომ მე შენი საუბარი არ გამიგია და ძალიან გთხოვთ, დატოვო ოთახი!*** *რა თქმა უნდა, გავიდა ჩემი ოთახიდან, მაგრამ მე განვმარტავ აქ ერთ ფაქტს, რომ ნატალიამ ვერ მოასწრო იმ დასახლებული პუნქტის სახელწოდების თქმა, იმიტომ, რომ მე მას შევაწყვეტინე საუბარი. მისთვის რომ მიმეცა საშუალება და ესაუბრა, რაც მას სურდა, რა თქმა უნდა, დასახლებული პუნქტის სახელწოდებასაც გავიგებდი, მაგრამ* ***გეოგრაფიული აღწერილობიდან გამომდინარე, ეს დასახლებული პუნქტი მდებარეობს თუშეთში, საქართველოს, დაღესტნისა და რუსეთის მიმდებარე ტერიტორიებზე, სახელმწიფო საზღვართან, თავისთავად ცხადია!*** *მე ეს ფაქტი არავისთვის არ მითქვია აბსოლუტურად. დავბლოკე, ჩემი პირადი უსაფრთხოებიდან გამომდინარე. და 20 წელი მქონდა დადებული, როგორც აღვნიშნე სასამართლოში, თაროზე. და იყო საარქივო დოკუმენტი, რომელმაც დღის სინათლე იხილა სასამართლოში. რატომ მაინცადამაინც 20 წელი? ის, რომ მე დავაფიქსირე რუკების დაკარგვა და რაღაც პერიოდის მერე მე გამათავისუფლეს სამსახურიდან, მე დაზღვეული არ ვიქნებოდი, რომ დამეფიქსირებინა ეს საუბარი ჩვენი, რა მოყვებოდა ამას შემდეგ.* ***მე ჩემს უსაფრთხოებას ვერ დავიცავდი!*** *შეიძლება, თავის ჯგუფთან ერთად ჰქონდა რაღაცა მექანიზმი, რაღაცა სქემა ჩამოყალიბებული, ვერ გეტყვით... სასამართლოზე მისვლა არ გამჭირვებია, აბსოლუტურად... არა ვარ მე შეფუთული მოწმე, ეგრეთ წოდებული, როგორც აღნიშნა* ***ივერი მელაშვილმა,*** *ამიტომ არ გამჭირვებია. უფლის შეწევნით, მე მინდა, მაქსიმალური მადლობა გადავუხადო ჩემს მოძღვარს,* ***დეკანოზ იოსებ ხოხონიშვილს.*** *მე მის თანადგომას და თანაგრძნობას ყოველთვის ვგრძნობდი და მადლობა, რომ გამაძლიერა სულიერებაში!*

შეხვდნენ დახმარების სათხოვნელად. სასულიერო პირებს სურდათ, საქართველოსაც ჩაეყენებინა მესაზღვრეები მსგავსი ინციდენტების ასაკვეთად, მაგრამ **ძალთთაპირ სააკაშვილს გარეჯი, როგორც ჩანს, უკვე გასუხარებული ჰქონდა და ჯარი ხალხის დასარბევად უფრო სჭირდებოდა, ვიდრე ქართული მიწის დასაცავად!**

კიდევ უფრო მრავლისმთქმელია **მამა ილარიონის** განცხადება, რომელიც სასამართლოზე გაისმა, როგორც საშინელი ვერდიქტი და საბრალდებო დასკვნა —

***„მე მაშინ ვთქვი, რომ მინისტრების ეს განცხადებები შეიძლება გარკვეული დროის შემდეგ შეფასდეს, როგორც ღალატი. არაადეკვატურ განცხადებებს აკეთებდნენ!“***

მოკლედ, პატივცემულო მკითხველო, ჩვენ წინაშეა **გამოცხადებული ღალატის ქრონიკა,** რომლის შემოქმედია ერთადერთი ნაძირალა — **გარყვნილი და გენეტიკური ყორღანასძე მიხეილ სააკაშვილი,** რომელმაც აზერბაიჯანს ქართული მიწის დაახლოებით 200 ჰექტარი, დიდი ალბათობით, „სოკარის“ წილის სანაცვლოდ მიჰყიდა და ამ დროს ამ გამყიდველსა და ქვეწარმავალს 9 მილიონის მოპარვისა და გელაშვილის ცემისთვის ასამართლებენ!

**ეს ქართველი ერისთვის სულში ჩაფურთხებაა და სხვა არაფერი!**

### სააკაშვილი, უპირველეს ყოვლისა, ქართული მიწების გაყიდვისთვის უნდა გასამართლდეს, რაც ნებისმიერი ქვეყნის კანონმდებლობით კვალიფიცირდება როგორც სამშობლოს ღალატი. მაგრამ საქართველოს უბედურება ის გახლავთ, რომ დღევანდელი სისხლის სამართლის კოდექსი მოღალატე გიგა

### ბოკერიას წყალობით სამშობლოს ღალატის ცნებას არ ცნობს...

მოკლედ, **ხელისუფლება, რომელმაც სააკაშვილის პარტიული დროშა ვერ შეცვალა და მოღალატეებითა და გამყიდველებით გარშემორტყმულმა სისხლის სამართლის კოდექსში სამშობლოს ღალატის მუხლი ვერ აღადგინა,** ვერ ბედავს გორდიას კვანძის გაჭრას და მოღალატისთვის სახელის დარქმევას, რაც ყველა უბედურებასთან ერთად ჩვენი ეროვნული ტრაგედიაა!

**საქართველო იმიტომ გადარჩა, რომ მოღალატე კახაბერ ყორღანაშვილს საჩინო ბარათაშვილმა განაჩენი გამოუტანა და გელიყარის კლდიდან გადაჩეხა!** ყორღანასძეს ისე რომ მოფერებოდნენ, როგორც **ეკა ხერხეულიძე, ხატია ბუნიათიშვილი და მახატია დეკანოიძე** სააკაშვილს ეფერებიან, დღემდე ვერ მოვიდოდით და გავქრებოდით!

გადმოცემის თანახმად, **მოღალატე ყორღანაშვილის დაფლეთილ სხეულს პირი დამშეულმა ნადირმაც არ მიაკარა და ვიდრე გვამი ბოლომდე არ გაიხრწნა და დამიწდა, მანამდე მთელი ხეობა ყარდა...**

მჯერა, გელიყარის კლდესთან ქართლის ბოქაულთუხუცესი **საჩინო ბარათაშვილი,** რომელიც ალამუთის ციხიდან **სვიმონ მეფის** გამოხსნას მოესწრო, ახლაც ჩასაფრებულია და ელოდება სააკაშვილსა და იმ ბოროტ საკახპეთს, რომელმაც **ივერი მელაშვილსა და ნატალია ილიჩოვას** ტელეჭუტელების სტუდიაში ოვაცია გაუმართა...

გელიყარის კლდე მორიგ მსხვერპლს ითხოვს!

## არქიმანდრიტი ილარიონი:

## მინისტრების ეს განცხადებები შეიძლება გარკვეული დროის შემდეგ შეფასდეს როგორც ღალატი!











## სამშობლოს მოღალატე სააკაშვილო,

## გეშინოდეს მანგლისის გზაზე ჩასაფრებული საჩინო ბარათაშვილის!

## საქართველოს ხელისუფლება სააკაშვილის სამშობლოს ღალატის მუხლით გასამართლებას ვერ ბედავს!

*დიტო ჩუბინიძე*

**გასულ კვირას „ტვ პირველის“ ეთერში გამოიყვანეს უკრაინის რადას დეპუტატი, თავდაცვის, უსაფრთხოებისა და დაზვერვის კომიტეტის წევრი, პრეზიდენტ ზელენსკის წარმომადგენელი უკრაინის საკონსტიტუციო სასამართლოში ფიოდორ ვენისლავსკი, რომელმაც განაცხადა —** *ქართველმა ხალხმა საქართველოს ხელისუფლებას აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დეოკუპაციისათვის კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა უნდა აიძულოს!* **ამასთანავე, მაკ-კეინის ინსტიტუტის დირექტორმა ევლინ ფარქასმა „რადიო თავისუფლების“ ქართულ ბიუროსთან ინტერვიუში აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთს სანქციები უნდა დაუწესოს! არის თუ არა ეს ყოველივე საქართველოს ომში ჩათრევის მორიგი მცდელობა და რამდენად რეალურია საფრთხე, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას რუსეთისათვის მეორე ფრონტის გახსნა საბოლოოდ მაინც აიძულონ? ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე პარლამენტის დეპუტატს, „ქართული ოცნების“ ყოფილ წევრსა და საზოგადოებრივი მოძრაობა „ხალხის ძალის“ ერთ-ერთ ლიდერს სოზარ სუბარს ვესაუბრებით:**



# სოზარ სუბარი:

# კუბილიუს-კრამონ-კინზინგერები ყველაფერს აკეთებენ, რომ ნაცმოძრაობა ხელისუფლებაში დაბრუნდეს!

— სანამ უკრაინაში ომი გრძელდება, გარე ძალები არ შეწყვეტენ მცდელობას, რომ საქართველოში რუსეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტი გაიხსნას. ჩვენი ქვეყნის ომში ჩათრევა ჯერ კიდევ მაშინ ჰქონდათ განზრახული, როცა უკრაინასა და მოლდოვას ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მიანიჭეს, ჩვენი კი უარი გვითხრეს. გათვლა იმაზე იყო გაკეთებული, რომ საქართველოსათვის კანდიდატის სტატუსის არმიცემა ჩვენი მოსახლეობის მღელვარებას გამოიწვევდა, ხელისუფლების ცვლილება მოხდებოდა და ქვეყანა რუსეთ-უკრაინის ომში ჩაერთვებოდა. **ორიოდე კვირის წინათ თბილისში მაკ-კეინის ინსტიტუტის ორგანიზებით ჩატარებული კონფერენციაც იმ კამპანიის ნაწილი გახლდათ, რომელიც საქართველოში ხელისუფლების შეცვლასა და მეორე ფრონტის გახსნას ისახავს მიზნად.** აღნიშნულ კონფერენციაში ყველა ის ქართველი და უცხოელი პოლიტიკოსი და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი მონაწილეობდა, რომლებიც საქართველოს ომში ჩასათრევად ძალისხმევას არ იშურებენ.

**— მაკ-კეინის ინსტიტუტის დირექტორმა ევლინ ფარკასმა „რადიო თავისუფლებასთან“ ინტერვიუში განაცხადა, რომ საქართველო რუსეთისათვის სანქციების დაწესების პროცესში აქტიურად უნდა ჩაერთოს და „მერე რა“, თუ ამის გამო ისევ საქართველო დაზარალდება, მთავარია, რომ „რუსეთი მაინც ვერ გაიმარჯვებს“. არის თუ არა ეს პროვოკაციული განცხადება და ირიბი მოწოდება ომში ჩართვისაკენ?**

— იმის გათვალისწინებით, რომ **მაკ-კეინის ინსტიტუტის** მიერ თბილისში ჩატარებული ღონისძიების მთელი სულისკვეთება საქართველოს ომში ჩართვისაკენ იყო მიმართული, **ქალბატონი ფარკასის** განცხადებაც, ცხადია, მთლიანად ჯდება ამ კონტექსტში. რაც მთავარია, ეს მაკ-კეინის ინსტიტუტის დირექტორის პირადი პოზიცია კი არა, გაცილებით ფართო წრეების აზრია, რომლის გამხმოვანებლადაც ამჯერად **ქალბატონი ფარკასი** მოგვევლინა.

რა შეიძლება მოუტანოს ჩვენს ქვეყანას კიდევ ერთმა ომმა, ამას ბევრი მარჩიელობა არ სჭირდება. რამდენიმე დღის წინათ, ამერიკის თავდაცვის დეპარტამენტის პრესსპიკერმა **ჯონ კირბიმ** განაცხადა, რომ რუსეთს შესწევს ძალა, არამხოლოდ უკრაინაში იომოს, არამედ ერთი-ორი ფრონტი სხვაგანაც გახსნას. როცა ამერიკის მაღალი რანგის პერსონები ასეთ განცხადებებს აკეთებენ, რა თქმა უნდა, ისიც კარგად იციან, რომ ომში ჩართვის შემთხვევაში საქართველოს არამხოლოდ ათეულათასობით მოქალაქის დაღუპვა, ასეულათასობით მოქალაქის ლტოლვილად გადაქცევა, ინფრასტრუქტურის განადგურება და ეკონომიკის დანგრევა, არამედ სრულმასშტაბიანი ოკუპაცია და სახელმწიფოებრიობის დაკარგვა ემუქრება. თუმცა, **იმ ძალებს, რომლებიც საქართველოში მეორე ფრონტის გახსნას ცდილობენ, ულირთ, რომ ქართველებმა უზარმაზარი მსხვერპლი გავიღოთ და სახელმწიფოებრიობაც დავკარგოთ, ოღონდ კი რუსეთი დასუსტდეს და მსოფლიო საზოგადოებამ კიდევ ერთხელ დაინახოს მისი აგრესიული სახე.**

**— ე.ი. მიზანი ამართლებს საშუალებას და ჩვენი ე.წ. სტრატეგიული პარტნიორები მზად არიან, რუსეთის დასასუსტებლად საქართველოს სრულ განადგურებას მოაწერონ ხელი?**

— სტრატეგიულ პარტნიორებზე არაფერს ვამბობ, მაგრამ არიან გარკვეული ძალები, რომელთათვისაც რუსეთის დასუსტება გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე ის მსხვერპლი, რომელიც შეიძლება, საქართველომ ან რომელიმე სხვა ქვეყანამ გაიღოს. თუმცა, საქართველოს ჰყავს ხელისუფლება, რომელიც ამგვარ ზრახვებს კატეგორიულად ეწინააღმდეგება.

დღეს საქართველო აშშ-ისა და ევროკავშირის ძალიან სანდო და ერთგული მეგობარი და პარტნიორია, მაგრამ ამასთან, ცდილობს, სუვერენიტეტიც შეინარჩუნოს, რაც ბევრს არ მოსწონს, რადგან კრიტიკულ მომენტში, როცა ცდილობენ, ჩვენი ქვეყანა საზიანო ან სულაც დამღუპველ თამაშში ჩაითრიონ, სუვერენული საქართველოს სუვერენული ხელისუფლება ამას ეწინააღმდეგება. ამიტომაც არის დაჟინებული მცდელობა, რომ საქართველოში მეგობარი ხელისუფლება ყურმოჭრილი მონების ხელისუფლებით ჩაანაცვლონ. დიახ, გამუდმებით ცდილობენ, შეგვაჩვიონ იმ რეალობას, როცა გადაწყვეტილებებს იღებენ არა სასამართლო, პარლამენტი და მთავრობა, არამედ **გარკვეული ელჩები,** რომლებმაც უნდა განსაზღვრონ, ვინ გაამართლოს სასამართლომ და ვინ გაამტყუნოს, ვინ იყოს ციხეში და ვინ — გარეთ, ვინ შეიწყალოს პრეზიდენტმა, რა კანონი მიიღოს პარლამენტმა და ა.შ.

**— როცა „გარკვეულ ელჩებს“ ახსენებთ, გულისხმობთ თუ არა მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს კელი დეგნანს?**

— რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, სწორედ **კელი დეგნანი** მყავს მხედველობაში და ევროკავშირის ყოფილი ელჩი **კარლ ჰარცელიც** დიდი აქტიურობით გამოირჩეოდა საქართველოს ხელისუფლებისათვის დირექტივების მიცემაში.

აშშ-ის **ელჩი დეგნანი** თავს იმის უფლებასაც კი აძლევს, ხმამაღლა გვითხრას — ქართული სასამართლოს რომელი გადაწყვეტილება მოსწონს და რომელი — არა! ან თუნდაც ის ფაქტი რად ღირს, რომ საქართველოში ამერიკული დაფინანსებით ჩამოვიდა ამერიკის მოქალაქე **აკერმანი,** რომელიც ქართულ რადიკალურ ოპოზიციასა და ვითომ არასამთავრობო ორგანიზაციებს ასწავლიდა, როგორ დაამხონ ხელისუფლება, ამერიკის საელჩო კი ამის შესახებ, როგორც მინიმუმ, ინფორმირებული იყო. ეს გვიჩენს საფუძვლიან ეჭვს, რომ ელჩი დეგნანის მხრიდან საქართველოს შიდა საქმეებში ჩარევას იმაზე დიდი მასშტაბი და უხეში ხასიათი აქვს, ვიდრე წარმოვიდგენდით.

ჩემმა კოლეგამ **მიხეილ ყაველაშვილმა** ამერიკის ელჩს კითხვა დაუსვა — თვითონაც ხომ არ ესწრებოდა ბაკურიანში გამართულ შეკრებას, სადაც




**მაკ-კეინის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული კონფერენცია სახელწოდებით „დიდება უკრაინას!“ თბილისი, 2022 წლის 5-6 სექტემბერი**

## „მაკ-კეინის ინსტიტუტის მიერ თბილისში ჩატარებული ღონისძიების მთელი სულისკვეთება საქართველოს ომში ჩართვისაკენ იყო მიმართული!“

## კვირგვინოსნები

**გიორგი ვოლსკი**
*პარლამენტარი*



საგანგებო მნიშვნელობა **აქვს გარეჯის საკითხს,** ყველა მონაცემი გვიჩვენებს, რომ **გაიყიდა ქვეყანა, ქვეყნის ინტერესები** და, სამაგიეროდ, იმ პერიოდის ხელისუფლების ინტერესები დაცული იყო. **სააკაშვილმა** მოწმენდილ ცაზე მეხივით დაგვცა, როცა მან გადაწყვიტა 27 ოქტომბერს, რომ **გარეჯის ტერიტორიის ერთი ნაწილი აზერბაიჯანს გადაუფორმა.** ეს თვითონ თქვა და ამაზე მეტი აღიარება და ჩვენება არ შეიძლება იყოს.

„იმედინიუსი“

**ევლინ ფარქასი**
*მაკ-კეინის ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი*



მე რაც მაშფოთებს — ეს არის მომენტი, რომელსაც საქართველო და საქართველოს ხალხი უშვებს ხელიდან. **უკრაინასა და მოლდოვას საკმაოდ მალე შეიყვანენ ევროკავშირში და რა მოუვა საქართველოს?!**

რადიო „თავისუფლება“

**ვლადიმერ პუტინი**
*რუსეთის პრეზიდენტი*



**Россия уверенно справляется с внешним давлением!**

**Все должны знать, что мы та по большому счету, всерьез пока еще ничего не начинали!**

TV „როსსია 1“

**დიმიტრი მედვედევი**
*რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანი*



ვიღაც **ზელენსკის** უთქვამს, **არ ვაპირებ მოლაპარაკებას იმათთან, რომლებიც ულტიმატუმებს გვიყენებენ...** უკრაინასთან მოლაპარაკების შესახებ ჩვენი ამჟამინდელი პოზიცია **„საბავშვო მოთელვაა“ ჩვენი სამომავლო მოთხოვნების წინ — კიევის რეჟიმის სრული, უპირობო და ტოტალური კაპიტულაციის თაობაზე.**

TV „როსსია 1“

# „ელჩი დეგნანის მხრიდან საქართველოს შიდა საქმეებში ჩარევას იმაზე დიდი მასშტაბი და უხეში ხასიათი აქვს, ვიდრე წარმოვიდგენდით!“



**„საქართველოში სიტუაციის არევის მცდელობაში ძალიან დიდი და სერიოზული გარე ძალები არიან ჩართული!“**



ამერიკის მოქალაქე **აკერმანმა** ნაცებსა და მათ მოკავშირეებს რევოლუციურ სცენარსა და ხელისუფლების შეცვლის გზებზე ტრენინგი ჩაუტარა? ამერიკის ელჩს ამ კითხვაზე პასუხი დღემდე არ გაუცია! არ მინდა ვთქვა, რომ ქალბატონი დეგნანის დუმილი თანხმობის ნიშანია, მაგრამ

**ქართველ ხალხს აქვს უფლება, მკაფიო პასუხი მიიღოს კითხვაზე – ამერიკის ელჩი გმობს და ემიჯნება თუ არა საქართველოს ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლის სცენარს?**

ამ კითხვის ლეგიტიმურობას კიდევ ერთხელ ამყარებს ქალბატონი დეგნანის მიერ რამდენიმე დღის წინ ტელეკომპანია „იმედისთვის“ მიცემული ინტერვიუ, რომელშიც იგი არ გაემიჯნა ამერიკელი კონგრესმენის **ადამ კინზინგერის** მოწოდებას უკრაინაში მებრძოლი ქართველი მეომრებისადმი — დაბრუნდნენ საქართველოში და იარაღით გაყარონ „პრორუსი“ ხელისუფლება!

**— დეგნანმა განაცხადა, რომ კონგრესმენ კინზინგერის ეს განცხადება გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში ჯდება!**

— სინამდვილეში, კინზინგერის ეს მოწოდება არის საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევის უხეში მცდელობა და დანაშაულისკენ მოწოდება, ხოლო მეგობარი ქვეყნის ელჩი უბრალოდ, მოვალეა, ამგვარ დანაშაულებრივ მოწოდებებს გაემიჯნოს და მკაცრი შეფასებაც მისცეს, თუ, რა თქმა უნდა, თვითონაც არ იზიარებს ამ მოწოდების სულისკვეთებას.

სამაგიეროდ, ელჩმა დეგნანმა უსაყვედურა საქართველოს ხელისუფლებას, რომ ის მკაფიოდ არ ემიჯნება საზოგადოებრივი მოძრაობა „ხალხის ძალის“ განცხადებებს, რომლებიც შეაფასა, როგორც „რუსული დეზინფორმაცია“. არადა, ელჩს არანაირი უფლება არა აქვს, ასეთი უხეში ფორმით მიუთითოს სუვერენული ქვეყნის ხელისუფლებას, რომელ განცხადებას გაემიჯნოს და რომელს — არა!

აქვე ხაზს გავუსვამ ამერიკის ელჩის ინტერვიუს ერთ დადებით პასაჟს, როცა მან თქვა, რომ არც თვითონ და არც მისი ხელისუფლება საქართველოსგან არ ითხოვს ომში ჩართვას. ამ ეტაპზე ეს ძალიან მნიშვნელოვანი განცხადებაა, ამიტომ აღარაფერს ვიტყვი იმაზე, თუ რა ხდებოდა უახლოეს წარსულში. იმედი მაქვს, ცოტა ხანში არ მოგვიწევს იმის თქმა, რომ ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებს! შესაბამისად, არ მოგვიწევს უფრო დეტალურად მოვუყვეთ ქართველ ხალხს, ვინ, სად, რა ფორმით და რამდენად კატეგორიულად გვთხოვდა ომში ჩართვას.

**— შეიძლება თუ არა, გადაჭრით ითქვას, რომ ევროპარლამენტარებსა და ამერიკელ კონგრესმენებს, კუბილიუსებს, კრამონებს, ფოტიგებსა და კინზინგერებს — რომლებიც საქართველოს მმართველ ძალას გამუდმებით თითს უქნევენ, ხელისუფლებაში ნაციონალური მოძრაობის დაბრუნება სურთ?**

— დიახ, კუბილიუს-კრამონ-კინზინგერები ყველაფერს აკეთებენ, რომ ნაცმოძრაობა ხელისუფლებაში დაბრუნდეს! ამასწინათ, უკრაინის ხელისუფლების ერთ-ერთმა წარმომადგენელმა **არესტოვიჩმა** პირდაპირ განაცხადა, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება რუსეთის წინააღმდეგ ომს ვერ ბედავს, მაგრამ ხელისუფლებაში სააკაშვილი რომ ყოფილიყო, რუსეთს აუცილებლად გაუხსნიდა მეორე ფრონტს.

და კიდევ: ნურავის ეგონება, თითქოს ეს **კუბილიუსები, კრამონები და კინზინგერები** ნაცმოძრაობის ლობისტები მხოლოდ იმიტომ გახდნენ, რომ მის ლიდერებთან პირადი ურთიერთობები და მეგობრობა აკავშირებთ! არა, **მათ ნაცმოძრაობის ლობისტობა „ზემოდან“ აქვთ დავალებული — იმ პოლიტიკური ცენტრიდან, რომელსაც საქართველოში კელი დეგნანი წარმოადგენს!**

> **„ჩემმა კოლეგამ მიხეილ ყაველაშვილმა ამერიკის ელჩს კითხვა დაუსვა — თვითონაც ხომ არ ესწრებოდა ბაკურიანში გამართულ შეკრებას, სადაც ამერიკის მოქალაქე აკერმანმა ნაცებსა და მათ მოკავშირეებს რევოლუციურ სცენარსა და ხელისუფლების შეცვლის გზებზე ტრენინგი ჩაუტარა? ამერიკის ელჩს ამ კითხვაზე პასუხი დღემდე არ გაუცია!“**

აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ,

**სააკაშვილის უკრაინიდან საქართველოში შემოპარებაც იმ გეგმის ნაწილი იყო, რომელიც საქართველოს ხელისუფლების დამხობასა და ქვეყნის ომში ჩაბმას გულისხმობს.**

ამის ერთ-ერთი დადასტურება ისიც არის, რომ ქართული მართლმსაჯულების მიერ ძებნილი **გია ლორთქიფანიძე,** რომელიც სააკაშვილს საქართველოს საზღვრის უკანონო გადმოკვეთაში დაეხმარა, უკრაინის ხელისუფლებამ მაღალ თანამდებობაზე — კონტრდაზვერვის უფროსის მოადგილედ დანიშნა.

**— ნაცმოძრაობასა და მის სატელიტებს „ცხელი შემოდგომა“ აქვთ დაანონსებული და თავიანთ რადიკალურ გეგმებს აღარც მალავენ! გააჩნიათ თუ არა მათ ხელისუფლების დამხობისა და ძალაუფლების აღების რესურსი?**

— რადიკალურ ანტისახელმწიფოებრივ ოპოზიციას დღეს არაფრის რესურსი არა აქვს, მაგრამ ეს დამშვიდების საფუძველს არ გვაძლევს, რადგან საქართველოში სიტუაციის არევის მცდელობაში ძალიან დიდი და სერიოზული გარე ძალები არიან ჩართული, რომელთა რესურსებიც გაცილებით დიდია, ვიდრე ზურაბ-გირჩი ჯაფარიძეს ან ნიკა მელიას შეიძლება ჰქონდეთ. საერთოდ, ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესები ცოტა ფართო კონტექსტში უნდა განვიხილოთ, რადგან **მსოფლიოში ახალი წესრიგის ფორმირებაა დაწყებული და არსებობს საფრთხე, რომ დიდმა მოთამაშეებმა თავიანთი ინტერესების გამო საქართველო პაიკივით გაწირონ.** ახლა არამარტო საქართველოს ხელისუფლებას, არამედ ქართველ ხალხსაც განსაკუთრებული სიფხიზლე და გონიერება მართებს.

**— გამორიცხავთ, რომ ნაცების მიერ დაანონსებულ „ცხელ შემოდგომას“, ანუ რევოლუციას უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლებმა ღია მხარდაჭერა გამოუცხადონ და არახამია-პოდოლიაკებმა საქართველოს მოსახლეობას ხელისუფლების წინააღმდეგ ქუჩაში გამოსვლისაკენ მოუწოდონ?**

— უკრაინის ხელისუფლების რადიკალური ფრთისგან ეს ნაბიჯი ნამდვილად მოსალოდნელია! მეტსაც გეტყვით: **არ გამოვრიცხავ, ნაცმოძრაობის მიერ დაგეგმილი „ცხელი შემოდგომის“ ეგიდით სცადონ უკრაინაში მებრძოლი ქართველი მოხალისეების ნაწილის საქართველოში ჩამოყვანა, რათა ისინი პროვოკაციული და ანტიკონსტიტუციური მიზნების სისრულეში მოსაყვანად გამოიყენონ!**

იმედი მაქვს, ქართველი ყოფილი სამხედროები, რომლებიც ახლა უკრაინაში იბრძვიან, კარგად გააცნობიერებენ, თუ რამხელა პროვოკაციაში შეიძლება, აღმოჩნდნენ ჩათრეული და ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ ანტიკონსტიტუციურ ქმედებებში მონაწილეობას არ მიიღებენ!

**— დაბოლოს: „ქართული ოცნებიდან“ წასული ოთხეული — თქვენ, დიმიტრი ხუნდაძე, მიხეილ ყაველაშვილი და გურამ მაჭარაშვილი რამდენიმე დღის წინათ კაჭრეთში გამართულ საპარლამენტო უმრავლესობის სხდომას დაესწარით, რის შემდეგაც რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენლებმა ყიჟინა დასცხეს — აი, ხომ ვამბობდით, რომ ამ ოთხეულის მმართველი პარტიისაგან გამიჯვნა ფარსია და ისინი კვლავ ხელისუფლების ნაწილად რჩებიანო! რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?**

— დიახ, საპარლამენტო უმრავლესობის სხდომას დავესწარით და ამის ამსახველი ფოტოებიც შეგნებულად გავავრცელეთ, რათა საზოგადოებას შევახსენოთ: **„ქართულ ოცნებასთან“ უთანხმოება მხოლოდ იმ საკითხთან დაკავშირებით გვაქვს, თუ რა დოზით უნდა ვთქვათ სიმართლე იმის შესახებ, რომ ნაცმოძრაობის ხელისუფლებაში დაბრუნებისა და საქართველოს ომში ჩართვის მიზნით მმართველ გუნდზე ქვეყნის გარედან სერიოზული ზეწოლა ხორციელდება.** ყველა სხვა არსებით საკითხთან დაკავშირებით ჩვენი და „ქართული ოცნების“ პოზიციები ერთმანეთს ემთხვევა.

მე, **დიმიტრი ხუნდაძემ, მიშა ყაველაშვილმა და გურამ მაჭარაშვილმა** პარტია „ქართული ოცნება“ და საპარლამენტო თანამდებობები დავტოვეთ, მაგრამ საპარლამენტო უმრავლესობიდან არ გავსულვართ და არც გავალთ, რადგან ჩვენი გასვლის შემთხვევაში უმრავლესობა, შესაძლოა, დაშლის საფრთხის წინაშე აღმოჩნდეს და ქვეყანაში პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პრობლემა შეიქმნას, რაც დესტაბილიზაციის მსურველების — ნაცმოძრაობისა და მისი უცხოელი მმართველების წისქვილზე დაასხამს წყალს.

იმასაც გაგიმხელთ, რომ ჩვენს საზოგადოებრივ მოძრაობას — **„ხალხის ძალას“** — მალე პარლამენტის შიგნით და პარლამენტის გარედანაც არაერთი პოლიტიკოსი თუ პოლიტიკასთან ახლოს მყოფი ადამიანი შემოუერთდება. ასე რომ, უფრო ბევრნი გავხდებით და უფრო აქტიურადაც ვიმოქმედებთ!

*ესაუბრა*
***ჯაბა ხუბუა***

> **„არ გამოვრიცხავ, ნაცმოძრაობის მიერ დაგეგმილი „ცხელი შემოდგომის“ ეგიდით სცადონ უკრაინაში მებრძოლი ქართველი მოხალისეების ნაწილის საქართველოში ჩამოყვანა, რათა ისინი პროვოკაციული და ანტიკონსტიტუციური მიზნების სისრულეში მოსაყვანად გამოიყენონ!“**

## ქვირგვინოსნები

**გურამ საღარაძე**
*მსოფლიო ორგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, საქართველოს ვეტერან მოჭიდავეთა კავშირის თავმჯდომარე*



**ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ზურაბ დათუნაშვილი,** რომელსაც ეროვნული ფედერაცია დაუპირისპირდა, ზედიზედ მეორედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი **სერბეთის სახელით,** შარშან კი ტოკიოს ოლიმპიადაზე ბრინჯაოს მედალს დაეუფლა. დასანანია, რომ ამ ფალავანს წაერთვა შესაძლებლობა, მისი წარმატებებით საქართველოს ეამაყა. **ბელგრადში მსოფლიო პირველობაზე საქართველოს ნაკრები ოქროს გარეშე დარჩა, დათუნაშვილის ჩემპიონობა კი სერბეთმა იზეიმა.**

ვულოცავთ **ზურაბ დათუნაშვილს** ამ ბრწყინვალე წარმატებას და ვგმობთ იმ მანკიერებებს, რომლებმაც თავი იჩინა ჭიდაობის ეროვნულ ფედერაციაში.

**ვატო შაქარიშვილი**
*ორგანიზაცია „აი ის“ თანადამფუძნებელი*



**აშშ-მა 28 წლის განმავლობაში 5 მილიარდ დოლარამდე დახარჯა საქართველოში. ბიძინა ივანიშვილმა, ერთმა კაცმა, ანალოგიურ პერიოდში დახარჯა 3 მილიარდი დოლარი.** „რეზონანსი“

**ირაკლი ოქრუაშვილი**
*თავდაცვის ყოფილი მინისტრი*



მორჩა, **გავდივარ პენსიაზე,** სანამ ქართულ ოპოზიციას დავემსგავსე, ვადამდელ არჩევნებს რომ ითხოვს 2024-ში. „აიპრესი“

**დავით უსუფაშვილი**
*„ლელოს“ წევრი, პარლამენტარი*



**ხუნდაძე, ყაველაშვილი, სუბარი და მაჭარაშვილი** დღესაც „ქართული ოცნების“ სახელით ლაპარაკობენ — დარბაზში ერთი რიგიდან მეორეში რომ გადასხდნენ, სადმე წასულები არიან?! „ინტერპრესნიუსი“



# მიხეილ ცაგარელი: „25 ოქტომბერს მზის დაბნელება გვაქვს, 8 ნოემბერს – მთვარის, ხოლო დედამიწა უარყოფით ენერგოველში გადადის!“

# ფრთხილად, წინ

# «რუსეთზე მეტად სახიფათო

*— ხელისუფლების გადატრიალების გეგმა სახიფათო ფაზაში შევიდა, ამიტომ განსაკუთრებული სიფრთხილე გვმართებს! —* ***აცხადებს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი. თუ რა გველის პოლიტიკურად დახუნძლულ შემოდგომაზე, რა უნდა ვიცოდეთ ალენ დალესის დოქტრინის შესახებ და როგორ უნდა მოიქცეს საქართველოს ხელისუფლება, რომ ნაკლები დანაკარგით გავიაროთ ეს მძიმე პერიოდი, ამას ინტერვიუდან შევიტყობთ:***

— სექტემბერი მეტ-ნაკლებად სტაბილური თვეა, მაგრამ წინ არის დესტაბილიზაციის პერიოდი. ოქტომბრის ბოლოდან განსაკუთრებული სიფრთხილე გვმართებს, რადგან **20 რიცხვის შემდეგ სიტუაცია ნელ-ნელა დაიძაბება და აპოგეას ნოემბერში მიაღწევს.** მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ დაბნელებების დერეფანი არის გასავლელი. **25 ოქტომბერს მზის დაბნელება გვაქვს, 8 ნოემბერს — მთვარის, ხოლო დედამიწა უარყოფით ენერგოველში გადადის.** ერთი სიტყვით, ასტროლოგიურად ოქტომბერ-ნოემბერი წლის განმავლობაში ერთ-ერთი ყველაზე რთული იქნება.

ცხადია, ეს პოლიტიკაზეც აისახება, მითუმეტეს, ფსევდოლიბერალები უკვე გადავიდნენ ღია თამაშზე. როგორ გგონიათ, რას ემსახურებოდა ფსევდოლიბერალთა კოჰორტის სტუმრობა თბილისში? რატომ აღნიშნეს უკრაინის დღე მაინცდამაინც საქართველოში?

**— ალბათ, რევოლუციური სცენარისთვის ემზადებიან!**

— ამიტომაც შემთხვევით არ გაუმართავთ შეხვედრები თავიანთ გამოზრდილ ფსევდოლიბერალებთან, ნაცმოძრაობის სექტანტებთან. დაინახეს, რომ ოპოზიციურ ძალებს ძალიან გაუჭირდათ, ვერ განახორციელეს ის პროგრამა, რომელიც **პიტერ აკერმანმა** ჩამოუყალიბა ბაკურიანში და გადაწყვიტეს, ადგილზე გაეცათ განკარგულებები.

ე.წ. ფსევდოლიბერალები ისე გათავხედნენ, რომ თავიანთ ზრახვებს აღარ მალავენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლების გადატრიალების გეგმა სახიფათო ფაზაში შევიდა. **მათი მთავარი მიზანი მთავრობის ჩამოგდებაა! სხვა საკითხია, რა გამოუვათ, მაგრამ ეს რომ დაიგეგმა, წყალი არ გაუვა!**

კიდევ ერთხელ დავაკონკრეტებ მათთვის, ვინც ფიქრობს, რომ ევროპარლამენტი ნამდვილი ევროპელების პოზიციას გამოხატავს. ევროდეპუტატები, რომლებიც საქართველოს სტუმრობდნენ, შეერთებული შტატების მიერ არიან გამოზრდილი და მართული. ჯანმოც და ბევრი სხვა ორგანიზაციაც ამერიკის მიერ არის შექმნილი და მხოლოდ ერთ რამეს ემსახურება — **მსოფლიო მასონებისა და გლობალისტების გავლენის ქვეშ მოაქციონ.** ამ პოლიტიკურ გეგმაში შედის უკრაინის ომიც. რაც უფრო მეტად გაჯანჯლდება ეს ომი, მით უფრო მეტად აწყობს ამერიკას.

**— მაინც, რატომ?**

— კარგად ასაღებს თავის ძველ იარაღს, გარდა ამისა, ომის გახანგრძლივებასთან ერთად კიდევ უფრო დასუსტდება ევროპაც და რუსეთიც!

**— როგორც მედია იუწყება, რუსეთი უკვე თმობს პოზიციებს.**

— რუსეთს თავისი ტაქტიკა აქვს. მოქმედებების ახალ პაკეტს ამზადებს, რომლის შესახებაც ოქტომბერ-ნოემბერში შევიტყობთ. მას უკვე აქვს შეძენილი 12 ტრილიონი დოლარის აქტივები, ის ტერიტორიები, რომლებიც ყველაზე დიდი ფულის მომტანია უკრაინაში. წინ არის ახალ-ახალი ბრძოლები, თანაც ეს გახლავთ ხანგრძლივი ომი, რომელიც, მინიმუმ, ორი წელი მაინც არ დამთავრდება.

ნახეთ, რა მარტივია ყველაფერი. იმისთვის, რომ მხოლოდ უკრაინამ არ იბრძოლოს და ნაადრევად არ დამარცხდეს, ანტირუსულ კოალიციაში საჭიროა მეტი ქვეყნის ჩართვა. ერთ-ერთი ასეთი ქვეყანა კი საქართველოა, რომლის ტერიტორიის 20 პროცენტი რუსეთს აქვს ოკუპირებული, მაგრამ რაკიღა ჩვენი ხელისუფლება მეორე ფრონტის გახსნის წინააღმდეგია, აუცილებლად თვლიან გადატრიალების მოწყობას. **ამერიკის შეერთებულ შტატებს აბსოლუტურად არ აინტერესებს არც ქართველი ხალხის ნება და არც სხვა რომელიმე ერის, მთავარი მათი ინტერესებია.** ფარსია, თითქოს ამერიკა ჩვენი მეგობარი და კეთილის მსურველია, რეალურად გრანტებითა და ფულით აბამს ხალხს, რომ გააკეთებინოს ის, რაც მას უნდა.

ევროდეპუტატები, განსაკუთრებით სახალხო პარტიის წარმომადგენლები ამიტომაც ერჩიან საქართველოს, უკრაინულ ხელისუფლებასთან ერთად ამიტომაც არიან ანტიქართული მოძრაობის ავანგარდში. ევროპარლამენტის ელჩის **ჰარცელის** ვიზიტიც და მისი აქტიური მონაწილეობა ლგბტ ღონისძიებებში ამის დასტურია. როგორ გგონიათ, რატომ უჭერს მხარს მაინცდამაინც ნაციონალურ მოძრაობას და ე.წ. ლგბტ ჯგუფებს? რატომ გამოაგზავნეს საქართველოში უკრაინის დღის ჩასატარებლად ყველაზე ოდიოზური ანტიქართული ფიგურები? სწორედ იმიტომ, რომ **მათი მთავარი მიზანი ამ მთავრობის მოშორებაა!**

**— ერთია, რა უნდა დასავლეთს, მეორეა, რამდენად მიაღწევენ შედეგს და არევენ სიტუაციას?**

— არაფერი გამოუვათ! აღარ არის შევარდნაძის პერიოდი, როცა ქართველი ხალხი ფანტაზიებით ცხოვრობდა და მისი გაცურება პიარით იყო შესაძლებელი. არადა,

**სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლა შეთანხმებული გახლდათ მოსკოვთანაც და ამერიკასთანაც, იმთავითვე ცხადი იყო, რომ სანაცვლოდ საქართველოს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტერიტორიები უნდა დაეთმო.**

ეს გაჟღერდა კიდეც, მაგრამ მაშინ ამას სათანადო ყურადღება არავინ მიაქცია.

**— რისი თქმა გსურთ — საბოლოოდ გადავულოცეთ რუსეთს აფხაზეთი და სამაჩაბლო?**

— ეს არ ნიშნავს იმას, რომ ტერიტორიები საბოლოოდ დავკარგეთ, მეტიც, არ არის გამორიცხული, რუსეთმა გარკვეული პერიოდის განმავლობაში შეგვინახოს და თუ ოდესმე ურთიერთობა დათბება და დალაგდება, დაგვიბრუნოს კიდეც. ამის მაღალი ალბათობა უფრო **პუტინის** შემდგომ პერიოდშია, რადგან 2028 წლისთვის მას ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები შეექმნება. ფაქტია, ჩვენი ტერიტორიების შეერთების კუთხით რუსეთს გაცილებით ძლიერი ნაბიჯების გადადგმა შეეძლო, მაგრამ მან ეს არ გააკეთა, ანუ ამ საკითხებზე კონსენსუსის მიღწევა ჯერ კიდევ შესაძლებელია.

**— ფიქრობთ, ისეთი კეთილია რუსეთი, რომ იმპერიალისტურ ზრახვებზე უარს იტყვის და ოკუპირებულ ტერიტორიებს დათმობს?**

— მოდით, სხვანაირად დავსვათ კითხვა — განა ამერიკა და ჩინეთი იმპერიალისტური არ არის? ნაკლები ბოროტება ჩაიდინა შტატებმა და თურქეთმა? დამისახელეთ რომელიმე იმპერია, ვინც რუსეთზე ნაკლები ბოროტება ჩაიდინა და ბოდიშს მოვიხდი. **თურქები საქართველოს გაცილებით ცუდად მოექცნენ, მაგრამ დღეს რუსეთს ოკუპანტს ვუწოდებთ, თურქეთს კი — ისტორიულ მეგობარს.** სად არის სამართლიანობა? კიდევ უფრო სახიფათოა შეერთებული შტატების იმპერიალიზმი, რომელიც შიგნიდან გიპყრობს და გასაქანს არ გაძლევს. რუსეთმა შეიძლება ოკუპირებული ტერიტორია დაგიბრუნოს, მაგრამ სხვა ამას არ იზამს.

**— გახსენდებათ შემთხვევა, რუსებს თავისი გულკეთილობის გამო ტერიტორია დაებრუნებინოს? პირიქით კი ბევრი ფაქტის მოყვანა შეიძლება...**

— რუსებმა ბევრი ცუდი რამ გააკეთეს, მაგრამ დადებითი ნაბიჯებიც ჰქონდათ — თუნდაც ახალციხე დაგვიბრუნეს. თურქებმა ან სპარსელებმა, რომლებსაც ასევე აქვთ პრეტენზია საქართველოზე, დაგვიბრუნეს რამე ნებით?

რაც შეეხება გასაბჭოებას, მაშინ რუსეთის ხელისუფლებაში მოსული კომუნისტები მასონები იყვნენ. ლენინი გერმანიის აგენტი გახლდათ. იქ მოამზადეს და რუსეთში ექსპერიმენტი ჩაატარეს. **ხელისუფ-**



**„თურქები საქართველოს გაცილებით ცუდად მოექცნენ, მაგრამ დღეს რუსეთს ოკუპანტს ვუწოდებთ, თურქეთს კი – ისტორიულ მეგობარს!“**

**„ამის მაღალი ალბათობა უფრო პუტინის შემდგომ პერიოდშია, რადგან 2028 წლისთვის მას ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები შეექმნება!“**

# „ბიძინა ივანიშვილს 2023 წლისთვის მდგომარეობა შეუმსუბუქდება, მთავარია, ნახევარი წელიწადი მედგრად იდგეს და გაუძლოს!“



**ლებაში მოიყვანეს ორი პედოფილი — ლენინი და ტროცკი, რომლებმაც გახრწნეს და გააპარტახეს ერი.**

იმ პერიოდში რუსეთი ისეთი არეული იყო, გასაკვირი ის არის, კიდევ უფრო საშინელი გადაწყვეტილებები რომ არ მიიღეს.

**ხაზგასმით მინდა, აღვნიშნო – დღეს საქართველოში თურქეთი რომ არ შემოდის, ეს მხოლოდ რუსეთის ხათრით და შიშით ხდება. სხვა ვერაფერი შეაჩერებს ერდოღანს. როგორ გგონიათ, რას იზამს ამერიკა, ერდოღანი რომ საქართველოში შემოიჭრას? მაქსიმუმ, სინანულს გამოთქვამს. ხვდებით მაინც, რას ვეთამაშებით?!**

ყოფა, ეროვნული ღირსების, ეროვნული თავმოყვარეობისა და ნაციონალური გრძნობის ნებისმიერი გამოვლენის ჩაკვლა და აღკვეთა, რელიგიური რწმენის, მორალურ-ზნეობრივი ორიენტირების აღრევა და ცხოველურ-სექსუალური საწყისების წინა პლანზე წამოწევა, დაგმობა ერისა და მამულის სიყვარულისა, ანუ პატრიოტიზმის მასხრად აგდება და გაცამტვერება...

**არ დაგიდგათ თვალწინ ჩვენი დღევანდელობა? სხვა პუნქტებიც არის, რაც დღემდე ზედმიწევნით სრულდება. სწორედ ამ მახინჯ იდეოლოგიაზე გამოზარდეს პოლიტიკოსების ახალი თაობა, მათ შორის, ევროპასა და საქართველოში.** ბევრი ადამიანი 60-70 წლებში ჩარჩა, ვერ ხვდება, რომ ეს ის ევროპა აღარ არის და მასონური ამერიკის მიერაა მართული. რაც მთავარია, მისი მიზანია ტრადიციების, ოჯახური ინსტიტუტის ნგრევა, ლგბტ ინსტიტუტების გაძლიერება და საქართველოსნაირი პატარა და სუსტი ქვეყნების სრული დამორჩილება მასონური ამერიკულ-ევროპული ჯგუფებისადმი.

ამის შემდეგ ვინმეს კიდევ ეპარება ეჭვი, რომ ბიძინა ივანიშვილის სანქცირებაზე საუბარი პოლიტიკური აქციაა, რომლითაც ცდილობენ „ქართული ოცნებისთვის“ ძირის გამოთხრას და ხელისუფლებაში თავიანთი დამქაშების მოყვანას?! **ბაიდენის შვილი, რომელმაც უკრაინა გაფცქვნა, თურმე, კორუფციაში არ არის გასვრილი, პირიქით, უკრაინელი ხალხის ძმაა, ბიძინა ივანიშვილი კი — ოლიგარქი და კორუფციონერი?!**

ხლის შუა იმყოფება. წინა ხელისუფლებამ ისე მიგვაბა ევროპულ და ამერიკულ ჯგუფებს, ძნელია ამ კავშირების ერთბაშად გაწყვეტა, ბალანსის პოვნა და შენარჩუნება.

საკმაოდ სწორი ტაქტიკური სვლა გააკეთა ხელისუფლებამ, როცა გადაწყვიტა, „ოცნებიდან“ წასული ოთხი დეპუტატის პირით გაახმოვანოს სათქმელი. მთავრობა ძალიან კარგად ხედავს, ვინ ვინ არის, ვინ რას აკეთებს, მაგრამ პოლიტიკას თავისი კანონები აქვს. უნდა თუ არა, რაღაცები უნდა გადაყლაპოს. თუ ამერიკის ელჩთან გაამწვავებს კონფლიქტს, ამით მთლიანად შტატებს დაუპირისპირდება და იმასაც დაკარგავს, რაც აქვს. შესაძლოა, ეს ეროვნული კონფრონტაციის მიზეზიც გახდეს — გამოცხადდება, როგორც ანტიევროპულ და ანტიამერიკულ მოქმედებად და

# დესტაბილიზაციის პერიოდია!

შესანიშნავია თურქეთთან და ევროპასთან კარგი ურთიერთობა რომ გვაქვს, მაგრამ ასევე უნდა დავალაგოთ ურთიერთობა ჩვენს გვერდით მეზობელთან, უზარმაზარ იმპერიასთან — რუსეთთან. გავიმეორებ — სამყარო იმართება ზომიერების პრინციპით. როდესაც საქართველოს მთავრობა ურთიერთობას დააბალანსებს როგორც მტერთან, ასევე მოყვარესთან, სწორედ მაშინ დაიწყება ქვეყნის აყვავება. თუ რომელიმე ერთის მხარეს დაიჭერს, ყოველთვის იქნება დასჯის პროგრამაში. **რუსეთისკენ გადავიხრებით თუ ამერიკა-ევროპისკენ, მნიშვნელობა არა აქვს, კოსმოსი დაგვსჯის. ჩვენი წარმატების ფორმულა ყველასთან ნორმალური ურთიერთობის დამყარება და ბალანსის შენარჩუნებაა!** ყველა პოლიტიკოსმა კარგად უნდა გაიაზროს ეს!

კიდევ ერთხელ ვამბობ, სხვა კულტურული ფასეულობები ჰქონდა ადრინდელ ევროპას. ამერიკაც სხვანაირი იყო.

**შტატების გადაგვარებისა და გლობალისტების აღზევების პროცესი მაშინ დაიწყო, როცა ჯონ კენედი მოკლეს, რომელიც ერთ-ერთი პირველი გამოვიდა მათ წინააღმდეგ.**

მასონების ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ ამერიკასთან ერთად ევროპის გადაგვარებაც დაიწყეს. გამოზარდეს ახალი ტიპის, მათთვის სასურველი პოლიტიკოსები, რომელთა მოქმედებაც პირდაპირ ეფუძნება **ალენ დალესის დოქტრინას.**

**— მოდით, კიდევ ერთხელ შევახსენოთ ხალხს, რას წერდა ალენ დალესი თავის დოქტრინაში?**

— **ალენ დალესმა,** რომელიც ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს „CIA“-ს რიგით მეხუთე დირექტორი და ერთ-ერთი დიდი პოლიტიკოსი იყო, ჯერ კიდევ გასული საუკუნის პირველ ნახევარში დაუსახა შტატებს მოქმედების გეგმა — **სტალინის მმართველობის შემდეგ მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, საბჭოეთში ტრადიციული სწავლების მეთოდი გაუქმდეს და პრიორიტეტი მიენიჭოს არა განათლების მასშტაბურობასა და სიღრმეს, არამედ უნარ-ჩვევების გამომუშავებას, რაც ცხოველთათვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მოაზროვნე ადამიანისთვის.** უნდა მოხდეს ყოველგვარი ეროვნული ტრადიციების, ისტორიული წარსულისა და ნაციონალურ ფასეულობათა აბსოლუტური უგულებელ-



მამა-შვილი ჯო და ჰანტერ ბაიდენები

**— ბიძინა ივანიშვილი ახსენეთ, როგორ გამოიყურება მისი ჰოროსკოპი?**

— **სატურნი,** ერთ-ერთი ყველაზე მძიმე პლანეტა, ჯერჯერობით მის ზოდიაქოს ნიშანში — მერწყულშია. მას ახლა მოთმინება, თავდაჭერა, წინდახედულობა და სიფრთხილე მართებს, რომ დიდ ზეწოლებს გაუძლოს. **2023 წელს, როცა სატურნი მის ნიშანს დატოვებს და თევზებში გადავა, მდგომარეობა შეუმსუბუქდება. მთავარია, ნახევარი წელიწადი მედგრად იდგეს და გაუძლოს!**

**— ამ პოლიტიკურ მოცემულობაში როგორ უნდა მოიქცეს ხელისუფლება — დაუპირისპირდეს დასავლეთს თუ ყველა მომდევნო ბრძანებაზე კვერი დაუკრას?**

— ხელისუფლება ორ ცეცსიმართლის თქმისთვის მასონების მიერ დაისჯებიან! მთავრობა ამ ოთხი კაცის მეშვეობით დასავლეთს თან თავის სათქმელს ეუბნება, თან ხაზს უსვამს, ეს ჩვენი პოზიცია არ არის, ამას დეპუტატები და ხალხი ლაპარაკობსო.

თუმცა, ვთვლი, რომ კლანჭების გამოჩენაც აუცილებელია. თუ იგივე შეცდომას დაუშვებენ, აჰყვებიან ამერიკის ელჩის მითითებებს და ომბუდსმენად **ლომჯარიას მსგავსი ფიგურის** მოსვლას დათანხმდებიან, მათთაც ძვირად დაუჯდებათ და ქვეყანასაც. აუცილებელია საკუთარი აზრის, ქვეყნისთვის სასარგებლო მოქმედებების ნელ-ნელა გაძლიერება, მათ შორის, ომბუდსმენად ნორმალური, საქართველოსთვის სასარგებლო და საჭირო კადრის შერჩევა.

**— თქვენ ვინ გეგულებათ ასეთად?**

— ზურაბ ხონელიძე — უპატიოსნესი პიროვნება და თავისი საქმის პროფესიონალი! დროა, სახელმწიფომ ამ კუთხით მოქმედებები გააძლიეროს — **გააგებინოს მსოფლიოს, რომ საქართველო აღარ არის ხელწამოსაკრავი ქვეყანა, რომელიც აქამდე იყო.** თუ ჩვენს სიმაღლეზე დავდგებით, ფრთხილ და გონივრულ ნაბიჯებს გადავდგამთ, ამ შემოდგომის მძიმე დღეებსაც შედარებით ადვილად გადავაგორებთ და არც ქვეყნის მომავალს დავაყენებთ საფრთხის წინაშე!

**„ბაიდენის შვილი, რომელმაც უკრაინა გაფცქვნა, თურმე, კორუფციაში არ არის გასვრილი, პირიქით, უკრაინელი ხალხის ძმაა, ბიძინა ივანიშვილი კი – ოლიგარქი და კორუფციონერი?!“**

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***

# ამერიკის იმპერიალიზმია!»



# გია აბაშიძე: ნამდვილი ტრაგიკომედიაა, რომ ვახტანგ გომელაურს რუსულ სპეცსამსახურებთან კავშირში ადანაშაულებს ელენე ხოშტარია, რომელიც ღიად და დაუფარავად ფინანსდება რუსეთის ბიუჯეტიდან!




***სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ყოფილმა მოადგილემ, ამჟამად ბრალდებულმა სოსო გოგაშვილმა საქართველოს ხელისუფლების მიმართ მორიგი ბრალდებები გააჟღერა.***

*კერძოდ, რუსთავის ციხის* ***306-ე საკნის პატიმარი გოგაშვილი*** *აცხადებს, რომ დღევანდელი შინაგან საქმეთა მინისტრი* **ვახტანგ გომელაური** *სუს-ის უფროსის თანამდებობაზე ყოფნის დროს ვლადიკავკაზსა და მინსკში საიდუმლოდ შეხვდა რუსეთის სპეცსამსახურების ხელმძღვანელ პირებს. გარდა ამისა,* ***გოგაშვილის თქმით,*** *სუსი პოლიტიკოსებისა და სამოქალაქო აქტივისტების უკანონო ფარულ თვალთვალსა და მოსმენას პირადად* **ბიძინა ივანიშვილის** *დავალებით ახორციელებდა და* ***„ივანიშვილმა ამ ბინძურ საქმეში გასვარა ყველა, პრემიერიდან დაწყებული, „ოტოშნიკით“ დამთავრებული“.***

*თავისი ყოფილი პირველი მოადგილის ბრალდებებს საჯაროდ უპასუხა შინაგან საქმეთა მინისტრმა* **ვახტანგ გომელაურმა,** *რომელსაც ტელევიზიების კორესპონდენტებმა ალყა მაშინ შემოარტყეს, როცა დიდი ბრიტანეთის საელჩოს შენობიდან გამოვიდა, სადაც დედოფალ* ***ელისაბედ მეორის*** *გარდაცვალების გამო ელჩისთვის სამძიმრის სათქმელად იყო მისული.*



ელენე (ლიაკა) ხოშტარია

**გომელაურმა,** ***რომელიც მოყაყანე და მიკროფონების მქნეველი ტელეკორების კითხვებს ოლიმპიური სიმშვიდით პასუხობდა, გოგაშვილის ყველა ბრალდება კატეგორიულად უარყო და განაცხადა, რომ ვლადიკავკაზში საერთოდ არ ყოფილა, მინსკში კი ნამდვილად იმყოფებოდა და მონაწილეობა მიიღო ბელარუსის უშიშროების სამსახურის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებაში, რომელსაც არაერთი ევროპული ქვეყნის სპეცსამსახურების ხელმძღვანელებთან ერთად რუსეთის უშიშროების პირველი პირებიც ესწრებოდნენ.***

*რაც შეეხება ფარული მოსმენების საკითხს,* ***ვახტანგ გომელაურის თქმით,*** *ხელისუფლების შესაბამისი სტრუქტურები უკანონოდ არავის აყურადებენ და თუ ვინმეს მოსმენა აუცილებელია, ამას კანონიერად, სასამართლოს განჩინების საფუძველზე აკეთებენ. მისივე განცხადებით, შეუძლებელია,* ***ბიძინა ივანიშვილს*** **სოსო გოგაშვილისათვის** *რაიმე დაევალებინა, რადგან მას სუს-ის უფროსის მოადგილედ მუშაობის დროს საერთოდ არ იცნობდა.*

***გომელაურმა ისიც აღნიშნა,*** *რომ, თუ ოპოზიციის მოთხოვნა შესრულდება და საქართველოს სპეცსამსახურების რუსულ სპეცსამსახურებთან შესაძლო უკანონო თანამშრომლობის საკითხზე პარლამენტში საგამოძიებო კომისია შეიქმნება, მზად არის, მივიდეს და ყველა კითხვას უპასუხოს.*

*აღსანიშნავია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ* **გოგაშვილის** *ბრალდებების საპასუხოდ გაკეთებულ განცხადებებს უმალ გამოეხმაურა რუსული სპეცსამსახურების საკადრო ლაბორატორიის — მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო ინ-*

## „სააკაშვილის რადიკალთა ბანაკი მართლაც რომ პრორუსებითა და რუსულ სპეცსამსახურებთან მჭიდროდ დაკავშირებული პოლიტიკანებით არის სავსე!“



**„გრიგოლ ვაშაძე**
თავადვე აცხადებს, რომ თავს რუსული კულტურის ნაწილად თვლის და რუსეთი მუდამ მის გულშია,
**კობა ნაყოფიას**
კი რუსული მედია დღემდე რუს ბიზნესმენად მოიხსენიებს!“



## კვირგვინოსნები

**დავით ქართველიშვილი**
*ანალიტიკოსი*



როდესაც ღიად ვხედავთ, რომ ჩვენი პარტნიორების დავალებით, **ეს ხალხი ხელისუფლების აყირავებისთვის და გადატრიალებისთვის იღვწის,** რა თქმა უნდა, აქ უკვე საუბარი არანაირ მეკავშირეობაზე აღარ არის.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**დავით ქიქინაძე**
*პოლიტიკური მოძრაობა „ტრიბუნას“ ლიდერი*



ხალხს დღეს **ქუჩაში სჭირდება გვერდში დგომა, ქუჩიდან გამარჯვება** და არა ამ დაუსრულებელი აბსურდის სმენა პარლამენტის სავარძლებიდან და იმის ყურება, გამგეობებში ხელისუფლება და ოპოზიცია მილიონებს როგორ ინაწილებს!

„ახალი თაობა“

**ზაალ ანჯაფარიძე**
*ანალიტიკოსი*



**გოგაშვილის** წერილები, დიდი ალბათობით, ნაცმოძრაობის ოფისში იწერება — **მას იყენებენ და ისიც აყენებინებს თავს!**

„GTMEDIA“

**ლევან გოგიჩაიშვილი**
*ყოფილი პარლამენტარი*



სუს-ის თანამშრომელთა ორი მესამედი არის **სააკაშვილის დროინდელი,** რომლებიც იგივე ბინძური მეთოდებით აგრძელებენ მუშაობას.

„TV პირველი“

**ნინო ჯღარკავა**
*ჟურნალისტი*



ჩემი თაობა **ოტია იოსელიანის „დაჩის ზღაპრებზე“** გაიზარდა და დღეს **იოსებ გოგაშვილის „ჩიტის ნასკლინტზე“** იზრდება.

„XNEWS.GE“

# „სოსო გოგაშვილი ოფიცრის მუნდირის შემარცხვენელია და მან საკუთარი თავი ჯერ კიდევ მაშინ ამხილა, როცა ნოდარ მელაძის ინფორმატორი გახდა!“

*სტიტუტის კურსდამთავრებული* ***ელენე ხოშტარია,*** *რომლის ოჯახსაც რუსეთის ფედერალური ბიუჯეტიდან ყოველთვიურად ასიათასობით რუბლი ერიცხება. მისი თქმით,* ***„ვახტანგ გომელაურმა, ფაქტობრივად, დაადასტურა, რომ რუსეთის „ეფ-ეს-ბეს“ შეფთან შეხვედრა შედგა და ეს არის სახელმწიფო ღალატი“.***

***როცა „მგიმოს“ კურსდამთავრებული და რუსული რუბლებით დაფინანსებული ხოშტარია ვინმეს, მით უფრო, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ ვახტანგ გომელაურს რუსულ სპეცსამსახურებთან კავშირსა და სახელმწიფო ღალატში ადანაშაულებს, ყველა პატიოსანი ადამიანი ავტომატურად დგება დილემის წინაშე — სიცილით ჩაბჟირდეს თუ ტირილით? სწორედ ამ საკითხზე ვესაუბრებით ანალიტიკოს გია აბაშიძეს, რომელიც აცხადებს:***

— ომისა და ღალატის პარტია — **ნაციონალური მოძრაობა** მუდმივად ცდილობს, საქართველოს ხელისუფლება რუსეთთან ფარულ კავშირებში დაადანაშაულოს, მაგრამ ეს არასოდეს და არანაირად არ დასტურდება. სამაგიეროდ, სააკაშვილის რადიკალთა ბანაკი მართლაც რომ პრორუსებითა და რუსულ სპეცსამსახურებთან მჭიდროდ დაკავშირებული პოლიტიკანებით არის სავსე.

ნამდვილი ტრაგიკომედიაა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს **ვახტანგ გომელაურს** რუსულ სპეცსამსახურებთან კავშირში ადანაშაულებს **ელენე ხოშტარია,** რომელიც ღიად და დაუფარავად ფინანსდება რუსეთის ბიუჯეტიდან! გარდა ამისა, **ბრიგოლ ვაშაძე** თავადვე აცხადებს, რომ თავს რუსული კულტურის ნაწილად თვლის და რუსეთი მუდამ მის გულშია, **კობა ნაყოფიას** კი რუსული მედია დღემდე რუს ბიზნესმენად მოიხსენიებს! ასე რომ,

## რუსეთუმეები და რუსული სპეცსამსახურების ნომრიანი აგენტები ომისა და ღალატის პარტიამ საკუთარ რიგებში მოიკითხოს!

ჯერ კიდევ 2011 წლიდან, როცა **ბიძინა ივანიშვილი** ქართულ პოლიტიკაში შემოვიდა, სააკაშვილი და მისი რადიკალები სულ იმის ცდაში არიან, იგი პრორუსის იარლიყის მიკერებით გააშავონ, მაგრამ „ქართული ოცნების“ საქმიანობამ სრულიად საპირისპირო რამ აჩვენა და საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესი მანამდე არნახულ სიმაღლეზე ავიდა.

**— ბიძინა ივანიშვილს რუსეთთან კავშირსა და სხვა არაერთ მძიმე დანაშაულში სუსის უფროსის ყოფილი მოადგილე, ამჟამად პატიმარი სოსო გოგაშვილიც სდებს ბრალს! იგი აცხადებს, რომ სწორედ ივანიშვილის ბრძანებით ახორციელებს სუსი უკანონო მოსმენებს, რამაც, მისი თქმით, „ქართული ოცნების“ პირობებში იმაზე მასშტაბური სახეც კი მიიღო, ვიდრე ნაცების დროს ჰქონდა! ამასთან დაკავშირებით რას იტყვით?**

— **სოსო გოგაშვილი** ოფიცრის მუნდირის შემარცხვენელია და მან საკუთარი თავი ჯერ კიდევ მაშინ ამხილა, როცა **ნოდარ მელაძის** ინფორმატორი გახდა!

ზოგადად, გოგაშვილის ბინძური ტყუილები მალევე ქარწყლდება, რადგან არავითარი მტკიცებულებებით არ არის გამყარებული. **იძახის — ივანიშვილი ამას მავალებდა და იმას მავალებდაო, სინამდვილეში კი, ბიძინა ივანიშვილი სოსო გოგაშვილს საერთოდ არ იცნობდა და პირველად 2018 წელს „ქართული ოცნების“ ოფისში ნახა, როცა იგი სუს-იდან უკვე გაშვებული იყო.** გარდა ამისა, მარტო სუბორდინაციული კუთხითაც რომ შევხედოთ, პრემიერ-მინისტრს ამა თუ იმ მნიშვნელოვან საკითხზე ანგარიშს სახელმწიფო უწყებების ხელმძღვანელები წარუდგენენ და არა — მათი მოადგილეები. შესაბამისად, ბიძინა ივანიშვილისათვის რამე თუ იქნებოდა მოსახსენებელი, ამას **სუს-ის** უფროსი გააკეთებდა და არა მისი მოადგილე **გოგაშვილი!** ისიც ცხადია, რომ ივანიშვილი, საჭიროების შემთხვევაში, საქმეს სუს-ის უფროსთან, მისთვის კარგად ნაცნობ **ვახტანგ გომელაურთან** დაიჭერდა და არა მის მოადგილე **გოგაშვილთან,** რომელსაც საერთოდ არ იცნობდა.

ერთი სიტყვით, **გოგაშვილი უტიფრად ცრუობს და ნაციონალური მოძრაობის ისეთივე რუპორად იქცა, როგორებიც ნოდარ მელაძე და „მთავარი არხი“ არიან!** დარწმუნებული ვარ, გამოძიება იმასაც დაადგენს, რა გზებით მოხდა გოგაშვილის უეცარი გამდიდრება და სუს-ის უფროსის პირველი მოადგილის თუნდაც სოლიდური ხელფასი იყო თუ არა საკმარისი იმისათვის, რომ იგი მოკლე დროში მილიონერად ქცეულიყო?



„გოგაშვილი უტიფრად ცრუობს და ნაციონალური მოძრაობის ისეთივე რუპორად იქცა, როგორებიც ნოდარ მელაძე და „მთავარი არხი“ არიან!“






## მჯერა, ნაცმოძრაობასთან გოგაშვილის ფარული ალიანსიც გამოაშკარავდება და არც იმას გამოვრიცხავ, რომ უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებთანაც ჰქონდა უკანონო კავშირები, რაც, შესაძლოა, მისი სწრაფი გამდიდრების ერთ-ერთი გზა გახდა.

**— ნაციონალური მოძრაობა და მისი სატელიტები „ცხელი შემოდგომით“ იმუქრებიან! როგორ ფიქრობთ, რამე გამოუვათ?**

— მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილის რადიკალებს აშშ-ისა და ევროპის გარკვეული პოლიტიკური წრეები უჭერენ მხარს, მათ მიერ დაანონსებული „ცხელი შემოდგომაც“ ისევე ჩაფლავდება, როგორც ე.წ. ტექნიკური მთავრობის, ჩრდილოვანი კაბინეტისა და მასობრივი სამოქალაქო დაუმორჩილებლობის გეგმები ჩაუფლავდათ. **სააკაშვილის პარტია ომისა და ღალატის პარტიაა, ომი და ღალატი კი ნებისმიერ ქვეყანაში და, მათ შორის, საქართველოში საღად მოაზროვნე საზოგადოებისათვის კატეგორიულად მიუღებელია!**

*ესაუბრა*
***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**დაჩი ცაგურია**
*„საქართველოს რკინიგზის“ ფეისბუქ-გვერდის ადმინისტრატორი*



**ელენე ხოშტარია** გირგვლიანის აქციებზე დაეთრეოდა, როგორც მისი მეგობარი, მალევე **სანდროს მკვლელების მთავრობაში მინისტრის მოადგილედ მოეწყო,** არც კი გაწითლებულა, ისეთი უტიფარია.

„აიპრესი“

**გიორგი გაბუნია**
*„მთავარი არხის“ საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი*



პირდაპირ ვამბობ, ჩვენ, **„მთავარ არხს“, გვიწევდა ოპოზიციის ნაცვლად მუშაობა.** აქციაზე ვერ შეიკრიბა საკმარისი ხალხი? ჩვენ მაინც ვაჩვენებთ. კი, არ ვიტყუებით, მაგრამ ვამბობთ, რომ აქციაა. **ოპოზიციამაც კეთილი ინებოს** და ისეთი საინტერესო რამე თქვას, რომ ღირდეს მისი ჩართვა.

„მთავარი არხი“

**ლევან ნიკოლეიშვილი**
*ანალიტიკოსი*



**მელაძის შაბათს** თამამად შეგვიძლია დავარქვათ **მელაძის ზღაპრები,** ან უფრო უკეთესი იქნება — **მელაძის ბინძური ზღაპრები.**

„იმედინიუსი“

**ნინო ბურჯანაძე**
*პოლიტიკოსი*



**ერთადერთი წარმატება,** რაც ოპოზიციამ ბოლო წლებში მოიპოვა, მოჰყვა **შალვას ფანჩატურს!**

„TV პირველი“

**თენგიზ ფხალაძე**
*საერთაშორისო საკითხთა ექსპერტი*



პოლიტიკოსები **გაგებაში არ არიან,** საზოგადოებას რა დაკვეთა აქვს, რა აწუხებს და რა უხარია!

„კვირის პალიტრა“

# ლევან მამალაძე: ქალბატონო სალომე, ასეთ პრეზიდენტობას გადადგომა არ ჯობია?

***გასულ კვირას ლევან მამალაძემ სოციალური ქსელით საქართველოს პრეზიდენტს გადადგომისკენ მოუწოდა! სტრატეგიული დაგეგმარების ცენტრის ხელმძღვანელი ამჯერად ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან განმარტავს, რა პრეტენზიები აქვს და რატომ უნდა გადადგეს სალომე ზურაბიშვილი:***



— დიდხანს ვფიქრობდი, ვიდრე პრეზიდენტს მივმართავდი. სერიოზული წვლილი მაქვს შეტანილი მის გამარჯვებაში, განსაკუთრებით მეორე ტურში და არ იყო ადვილი ამ განცხადების გაკეთება. არადა, არ დაგიმალავთ, იმედგაცრუებული ვარ!

პრეზიდენტს კონსტიტუციით განსაზღვრული სამი ძირითადი ფუნქცია აქვს — ის არის სახელმწიფოს მეთაური, ქვეყნის ერთიანობისა და დამოუკიდებლობის გარანტი, მეორე — თავდაცვის ძალების უმაღლესი მთავარსარდალი და მესამე — უმაღლესი წარმომადგენელი საერთაშორისო ურთიერთობებში. აქედან რომელი ერთი მისია შეასრულა? კარგა ხანს ვიძიებდი, ძალიან ბევრ მეგობარსა და სპეციალისტს ვკითხე — იქნებ, თქვენ ხედავთ, რომ რაიმე სარგებელი მოუტანა ქვეყანას-მეთქი, მაგრამ არგუმენტირებული პასუხი ვერ მივიღე.

**— მოდით, ასე დავსვათ კითხვა — რა უნდა გაეკეთებინა და რა არ გააკეთა პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა?**

— კითხვითვე გიპასუხებთ: როგორც სახელმწიფოს მეთაურმა, ქვეყნის ერთიანობისა და უსაფრთხოების გარანტმა რა გააკეთა ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ ან აგრესორთან მოლაპარაკების წარმართვისთვის? რა წინადადება მოამზადა მოქალაქეთა თავისუფალი გადაადგილების ხელშესაწყობად, მცოცავი ბორდერიზაციის შესაჩერებლად? აფხაზებთან და ოსებთან შერიგების პროცესის დასაწყებად?

**როგორც თავდაცვის ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, რითი დაეხმარა საქართველოს შეიარაღებულ ძალებს ამ რთულ და სახიფათო ვითარებაში? რით ვერ განაწყო საფრანგეთი და გერმანია საქართველოს სასარგებლოდ, რომლებიც რუსეთის კარნახით ყოველთვის ბლოკავენ საქართველოს ევროატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებას?!** რატომ ვერ გაუკეთა ორგანიზება თავდაცვის საბჭოს საქმიანობას და არ შეაღო ყველა კარი ნატოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, რათა საქართველოს შეიარაღებული ძალებისათვის თანამედროვე ჰაერსაწინააღმდეგო და სხვა საშუალებები მოეწოდებინათ? ნატოში საფრანგეთის ინტერესებს ხომ იცავდა, ახლა ვინ აუკრძალა საქართველოს ინტერესების დაცვა? იმის ნაცვლად, რომ რაღაც დახმარება მაინც მივიღოთ, ეს მიმართულება საერთოდ ჩაგდებულია!

**როგორც საქართველოს უმაღლესმა წარმომადგენელმა, რა გააკეთა საგარეო ურთიერთობებში?! რატომ აჟღერებს მხოლოდ ევროპის ზოგიერთი ლიდერის პოზიციას და არ იცავს საქართველოს სუვერენულ ინტერესებს?**

საქართველოს დამცირებისთვის რომელი ქვეყნის ელჩს უპასუხა და განუმარტა ჩვენი ქვეყნის ინტერესები? რატომ არ გასცა პასუხი ანგაჟირებულ ევროპარლამენტარებსა და უკრაინელ „მოღვაწეებს“, რომლებიც საქართველოს ომში ჩართვისთვის იბრძვიან და პოლიტიკური შეკვეთით ჩვენს ქვეყანაზე და მოქალაქეებზე სანქციების დაწესებას ლობირებენ?! **ერთხელ მაინც თუ უპასუხა უკრაინის პრეზიდენტ ზელენსკის და მის წარმომადგენლებს, რომლებიც არ წყვეტენ საქართველოს მიმართ აგრესიულ და შეურაცხმყოფელ განცხადებებს, თან რევოლუციითა და არეულობებით იმუქრებიან?!** რატომ არ დაურეკა და უთხრა — ჩვენ საკმარისი სისხლი გავიღეთ, დაანებეთ თავი მსგავს რიტორიკასო?! პირიქით, იმათ უჭერს მხარს! აქამდე როგორ ვერ აუხსნა **ემანუელ მაკრონს** საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, რომ ეს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის მიღებაზე უარის თქმის მიზეზი არ გამხდარიყო?!



**„დღეს სალომე ზურაბიშვილი სხვა ქვეყნის დიპლომატის ფუნქციას უფრო ასრულებს, ვიდრე საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობას!“**

**დღეს სალომე ზურაბიშვილი სხვა ქვეყნის დიპლომატის ფუნქციას უფრო ასრულებს, ვიდრე საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობას!** იმის ნაცვლად, რომ საქართველოს პოზიციები დაიცვას, გაიძახის — დასავლეთი რას იტყვისო? ჩვენს ქვეყანას სჭირდება ისეთი პრეზიდენტი, რომელიც მისი გაძლიერებისთვის იზრუნებს!

**— ამიტომ უნდა გადადგეს?**

— პრეზიდენტის ინსტიტუტი ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ სიმბოლოს წარმოადგენს და ეს ბოლომდე რომ არ გაუფასურდეს, დიახაც, უნდა გადადგეს! ეს ყველაზე კარგი გამოსავალი იქნება! **არანაირი პიროვნული ასპექტი არ მამოძრავებს, მხოლოდ სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე ვამბობ ამას!**

ბევრისგან მსმენია, პრეზიდენტს საკმარისი უფლებები არა აქვსო. ეს არ არის სწორი. საზოგადოება შეცდომაში ნუ შეჰყავთ. პრეზიდენტს არა აქვს უფლება, ღონისძიებები განახორციელოს აღსრულების თვალსაზრისით, მაგრამ შეუძლია ამა თუ იმ ღონისძიების ორგანიზება. მაშინ, როცა ევროკავშირის, ევროპარლამენტარების პირდაპირი დარტყმები მიდის ჩვენს ქვეყანაზე, ისეთ სიტუაციას ქმნიან, თითქოს საქართველო უკრაინასთან მიმართებაში სწორად არ იქცევა! ამ დროს რას აკეთებს პრეზიდენტი? სულ გაბრაზებულ პოზიციაშია. იმის ნაცვლად, რომ მთავრობასთან ერთად დასძლიოს გამოწვევები, დაპირისპირებას ამჯობინებს იმ ადამიანებთან, ვინც უნიკალური შანსი მისცა, საქართველოს პრეზიდენტი გამხდარიყო!

**— რატომ მაინცდამაინც სალომე ზურაბიშვილი, მთავრობა არ არის გასაკრიტიკებელი?**

— ცხადია, მთავრობასაც, რომელიც უშუალოდ ქვეყნის ეკონომიკურ სიტუაციაზე, მოქალაქეების კეთილდღეობაზე არის პასუხისმგებელი, ბევრი აქვს გასაკრიტიკებელი, მაგრამ, როგორც არ უნდა გააკრიტიკო ირაკლი ღარიბაშვილი, იმას მაინც ვერავინ იტყვის, რომ მას თავისი პოზიცია არ დაუფიქსირებია საქართველოს ომში არჩართვასთან დაკავშირებით.

თუ ჩემი მოყვანილი არგუმენტები არ არის სწორი, გამცეს პასუხი, თუ არადა, გადადგეს! ჩატარდეს ხელახალი არჩევნები, რომელშიც თვითონაც მიიღებს მონაწილეობას და გამარჯვების შემთხვევაში დაანახვებს საზოგადოებას, რომ მე და ჩემნაირი პოზიციის მქონე ადამიანები ვცდებოდით. **ქალბატონო სალომე, ბაირდებით, თუ მე ვცდები, გამოვალ და ბოდიშს მოგიხდით!**

**— აქვს კი ქვეყანას იმის ფუფუნება, რომ ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდეს?**

— ყველა ფუნქცია, რაც პრეზიდენტის მოვალეობაში შედის, შეუსრულებელია და კიდევ რამდენი ხანი უნდა ველოდოთ? ახალი კანონის თანახმად, არჩევნები გამარტივებული წესით ჩატარდება. სამასი წევრის შემადგენლობით შედგება საარჩევნო კოლეგია, რომელიც პრეზიდენტს აირჩევს.

**— სოციალურ ქსელში მიმართვის შემდეგ თუ გამოგეხმაურათ პრეზიდენტი?**

— არა!

**— შეგიძლიათ, კიდევ ერთხელ, ამჯერად ჩვენი გაზეთის ფურცლებიდანაც მიმართოთ!**

— ისინი, ვისაც სისხლიან მოძალადეებად მოიხსენიებდით, ვინც თქვენგან კომიკურ პერსონაჟს ქმნიდნენ, მომხრეებად გაიხადეთ?! ვერ ხვდებით, რომ კომიკურ სიტუაციაში ჩაიყენეთ თავი?! **ქალბატონო სალომე, ასეთ პრეზიდენტობას გადადგომა არ ჯობია?**

**„ერთხელ მაინც თუ უპასუხა უკრაინის პრეზიდენტ ზელენსკის და მის წარმომადგენლებს, რომლებიც არ წყვეტენ საქართველოს მიმართ აგრესიულ და შეურაცხმყოფელ განცხადებებს, თან რევოლუციითა და არეულობებით იმუქრებიან?!“**



*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***

## კვირგვინოსნები

**ნანა ჩხეიძე**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი, პარლამენტარი*



ჩემს სოფელში ასე ამბობენ, თუ გინდა რომ ოჯახში ყველაფერი ჰარმონიულად გქონდეს, **ცოლის ნათქვამი ყოველი მეშვიდე უნდა გაითვალისწინოო.** ნუ შეხედავ, რას გეუბნება, გადათვალე და გაითვალისწინეო. მოგიწოდებთ „ქართულ ოცნებას“, ქვეყანაში ყველაფერი დაწყობილად რომ გქონდეთ, **ოპოზიციის მეშვიდე თუ არა, მეშვიდასე მაინც გაითვალისწინეთ** და ჩვენ მივალთ იქამდე, რომ მივიღოთ კანდიდატის სტატუსი.

„აიპრესი“

**როman გოცირიძე**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



საქართველოსა და რუსეთის სპეციალური სამსახურების სავარაუდო კავშირების თაობაზე საგამოძიებო კომისიის შექმნას მხარს დავუჭერთ — **ეს იქნება ლუსტრაცია პარლამენტში,** გაბედავს თუ არა ვინმე, ვინც თავს ოპოზიციას უწოდებს, უარი თქვას.

„ინტერპრესნიუსი“

**ნინო წილოსანი**
*პარლამენტარი*



საზოგადოებამ ძალიან კარგად იცის, რომ **„საერთაშორისო გამჭვირვალობა“** პოლიტიკურად ანგაჟირებული და მიკერძოებულია თავის ხელმძღვანელიან-თანამშრომლებიანად. ეს რომ ასეა, **ეკა გიგაურის** ყოველი განცხადებით დასტურდება.

„კვირის პალიტრა“

**თინა ხიდაშელი**
*პოლიტიკის ანალიტიკოსი*



ისე ჩანს, რომ **ნაცმოძრაობა თვითლიკვიდაციის რეჟიმშია.** ჩემი აზრით, პრობლემა ნაცმოძრაობაში კი არ არის, დანარჩენ პოლიტიკურ სუბიექტებშია, რომლებიც ვერ ახერხებენ საკუთარი ხაზის, საკუთარი თავის, არჩევანის სრულფასოვნად წარმოჩენას. თუ ეს მოხერხდა, მაშინ ყველაფერი ნორმალურად წარიმართება, თუ ვერა, **2024-ში ისევ „ქართულ ოცნებას“ მივიღებთ.**

„კვირის პალიტრა“

№22-23 (146-147) ★ 2022 წლის 19 სექტემბერი ★ გამოდის 2003 წლიდან

# სამარყანდის კონფერენცია

**რუსეთისთვის მომგებიანი და ხანგრძლივად დადებით შედეგზე გათვლილი იქნება ის კონფერენცია, რომელიც თემურ-ლენგის საფლავზე კი არა, დიდი სტალინის საფლავზე გაიმართება!**



შანჰაის თანამშრომლობის ორგანიზაციის სამიტი. სამარყანდი. 2022 წლის 15–16 სექტემბერი

## პარალელური გეოგრაფიები ★

***2022 წლის 15 სექტემბერს უზბეკეთის ქალაქ სამარყანდში „შანჰაის თანამშრომლობის ორგანიზაციის“ შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად ვლადიმერ პუტინი ჩავიდა.***

**„შანჰაის თანამშრომლობის ორგანიზაცია“,** რომელიც სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი არ არის, მაგრამ აშკარად ნატოს საპირწონედ არის შექმნილი, ჯერ კიდევ შორეულ 2001 წლის 15 ივნისს დაფუძნდა **ჩინეთის, რუსეთის, ყაზახეთის, ტაჯიკეთის, ყირგიზეთისა და უზბეკეთის** მიერ. 2017 წელს ორგანიზაციას შეემატნენ **ინდოეთი და პაკისტანი.** „შანჰაის თანამშრომლობის ორგანიზაციაში“ გაწევრიანებული ქვეყნების საერთო ფართობი **34 მილიონ კვადრატულ კილომეტრს** აჭარბებს, **იგი მოიცავს ევრაზიის ტერიტორიის დაახლოებით 60 პროცენტს და 3 მილიარდ 400 მილიონ ადამიანს. „შანჰაის თანამშრომლობის ორგანიზაციის“** დამკვირვებელი ქვეყნებია **მონღოლეთი, ავღანეთი და ბელარუსი,** ხოლო პარტნიორი ქვეყნები — **თურქეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, კამბოჯა, ნეპალი და შრი-ლანკა.** ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ 2019 წლის შემდეგ ორგანიზაციის სამიტი **სამარყანდში** სრული შემადგენლობით პირველად ჩატარდა.

ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ **სამარყანდის სამიტი,** რომელსაც თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ **სამარყანდის კონფერენცია,** გაიხსნა მაინცდამაინც იმ ქალაქში, სადაც **მსოფლიოს მახრებლისა და კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი დამპყრობლის თემურ-ლენგის** საფლავია...

**სამარყანდის სამიტზე „თემურის სული“, ალბათ, ბორგავდა და ერთხელ უკვე გახსნილი სარკოფაგიდან ხელახლა ამოსვლას ლამობდა. სხვანაირად არც იქნებოდა, რადგან, როცა ქრისტიანი რუსები და უკრაინელები ერთმანეთს ხოცავენ, როცა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში**



ИЗВЕСТИЯ СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ СССР

ГОД ИЗДАНИЯ 25-й

№ 146 (7522) ВОСКРЕСЕНЬЕ 22 ИЮНЯ 1941 г.

Цена 15 коп.



Раскопки гробницы Тимура

САМАРКАНД, 21 июня. (ТАСС). Сегодня продолжались работы в мавзолее Гур-Эмир. Антропологи и химики подвергли тщательному исследованию останки Тимура. Ученые обнаружили, что на черепе сохранились остатки волос. Определена возможность восстановить довольно точный портретный облик завоевателя.

Днем научная экспедиция начала раскопки в другом древнем мавзолее Самарканда — Биби-Ханым, названном по имени погребенной здесь старшей жены Тимура. В глубокой нише мавзолея Биби-Ханым стоит массивный каменный саркофаг. Археологи поднимают его крышку. На дне саркофага мумифицированные останки Биби-Ханым. Они сохранились гораздо лучше, чем останки других тимуридов.

**რუსეთის დანგრევის შემთხვევაში ვინ დაიჭერს ჩრდილოეთი მეზობლის ადგილს და ვინ გაუმეზობლდება საქართველოს, ამაზე გვიფიქრია?**




**ქართველებს გოლგოთა მოუწყვეს, შეუძლებელია, არ ბორგავდეს და ხარობდეს „თემურის სული“, რომლის სარკოფაგზეც ასეთი წარწერა იპოვეს – „როცა შეაწუხებთ ჩემს ძვლებს, მაშინ მსოფლიოს უდიდესი უბედურება ეწვევა და ყველანი დაიხოცებით!“**

1941 წლის 19 ივნისს ნახეს ეს წარწერა, როცა ამ უდიდესი მანიაკისა და სოციოპათის აკლდამა გახსნეს და **1941 წლის 22 ივნისს მართლაც დაიქცა და დაინგრა ქვეყანა** — ფაშისტური გერმანია საბჭოთა კავშირს თავს დაესხა. არადა, მანამდე როგორ ეხვეწებოდნენ და ურჩევდნენ ადგილობრივი აღსაკალები თუ რელიგიური ავტორიტეტები მოსკოვიდან საგანგებოდ ჩამოსულ მეცნიერებს — **ნუ გაეკარებით მავზოლეუმს, რადგან თემურს დაბარებული აქვს — ჩემს საფლავს როცა შეეხებით, ქვეყანა დაიქცევაო!** მეცნიერები აღსაკალებმა და მოლებმა ვერ შეაშინეს, რადგან ექსპედიციის შედეგებით და თემურის საფლავის მდგომარეობით პირადად სტალინი იყო დაინტერესებული, რომელიც **კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე ძლევამოსილ ჯარს — 13-მილიონიან არმიას ხელმძღვანელობდ**ა და ისეთი გეგმები ჰქონდა, თემურ-ლენგს კი არა, თვით ალექსანდრე მაკედონელსაც რომ გააშტერებდა.

ერთი სიტყვით, **პუტინმა ზურგი აქცია ევროპას და ჩავიდა სამარყანდში, სადაც სხვათაშორის იმყოფებოდა ნატოს წევრი თურქეთის პრეზიდენტი ერდოღანიც,** რომელიც თავისი ბიძაშვილების გარემოცვაში იწონებდა თავს, რამეთუ **აზერბაიჯანის, ყაზახეთის, უზბეკეთის, ყირგიზეთისა და თურქმენეთის** პრეზიდენტები **სუყველა ერდოღანია — სუყველა თურქი!** მათი შეკრება და გაერთია-

გაგრძელება მე-2 გვერდზე

# სამარყანდის კონფერენცია

დასაწყისი პირველ გვერდზე

ნება **„დიდ თურანად“** თავის დროზე **მუსტაფა ქემალ ათათურქმა** ვერ შეძლო, სამაგიეროდ, **რეჯეპ ტაიპ ერდოღანი** ცდილობს და არცთუ წარუმატებლად. ასე, მაგალითად, **როცა ერდოღანის სიძე უკრაინას „ბაირახტარებს“ აწვდის და რუსების ტექნიკას უმოწყალოდ ანადგურებს, ხოლო პარალელურად თურქეთი რუსეთს ძმობას ეფიცება და მოსკოვთან სტრატეგიულ თანამშრომლობას გეგმავს, ეს სხვა არაფერია თუ არა იმის უტყუარი დასტური, რომ კეთდება არა რუსეთის ან უკრაინის, არამედ სწორედ „დიდი თურანის“ საქმე.**



„შანჰაის თანამშრომლობის ორგანიზაციის“ სამიტი. სამარყანდი. 2022 წლის 15-16 სექტემბერი

სხვათაშორის, **თემურ-ლენგიც** გათურქებული მონღოლი იყო **ბარლასთა ტომიდან,** მაგრამ ამ ფაქტს მისთვის ხელი არ შეუშლია, რომ **1402 წლის 20 ივლისს** თურქეთის დღევანდელი დედაქალაქის ანკარას მახლობლად ჩუბუკის ველზე ოსმალები პირწმინდად გაენადგურებინა და მათი სულთანი **ბაიაზიდ პირველი** ტყვედ ეგდო. დაახლოებით 70 ათასი კაცი დაიღუპა იმ დღეს ორივე მხრიდან ანკარასთან... **როცა თემურს დატყვევებული ბაიაზიდი მიჰგვარეს, სამარყანდელმა მანიაკმა ისტერიული ხარხარი ატეხა.** სულთანი **ბაიაზიდი** ამის გამო განაწყენდა და თემურს შეჰკადრა — **მართალია, დავმარცხდი, მაგრამ ნუ დამცინი, მეფე ვარ და მეფურად მომეპყარიო!** — შენ არ დაგცინი, ღმერთს დავცინი, რადგან მე კოჭლსა და შენ კიდევ ბრუციანს იმის უფლება როგორ მოგვცა, რომ 70 ათასი კაცი ერთ დღეში ჩვენი გულისთვის დაიხოცაო!

ცნობისათვის, თურქთა სულთანი ბაიაზიდი მართლაც ბრუციანი იყო.

რა უბედურებაც **თემურლენგმა** საქართველოში, კერძოდ, კახეთ-ჰერეთში **1399 წლის ზამთარში** დაატრიალა, ამის შესახებ სპარსელი ისტორიკოსი **შერეფედდინ ალი-იეზდი** ასე წერს — **ურჯულო ქრისტიანთა სისხლი თოვლზე ლალისა და ბროწეულისფრად ბრწყინავდაო! შერეფედდინი** მერე აგრძელებს — **თემურს ინდოეთში არ დაუნგრევია იმდენი სახლი და ტაძარი, რამდენიც საქართველოშიო!**

**თემურ-ლენგის** მიზანი იყო საქართველოში მეურნეობის ტრადიციული დარგების მოშლა და როგორც მემატიანე წერს — **ქართველების ულვინოდ და „უხილ-მწვანილოდ“ დატოვება.** ამიტომაც ჩეხდნენ გამეტებით ვაზს, კაკლის ხეებს, ანადგურებდნენ ბაღ-ბოსტნებსა და სავარგულებს.

**კაგებეშნიკ-ცერეუშნიკ თემურ ალასანიას დისშვილი – პალსტუხიჭამია სააკაშვილი ნამდვილად თემურ-ლენგის პირდაპირი შთამომავალი ანუ თემურიდია, რადგან ქართველი კაცის „უხილ-მწვანილოდ“ და ულვინოდ დატოვება მისმა მამა-მასწავლებელმა და დიდმა გურუმ ედუარდ შევარდნაძემ დაიწყო და სწორედ სააკაშვილმა დაასრულა!**

**ამ უკუღმართი პოლიტიკის შედეგად ხილითა და მწვანილით მდიდარ საქართველოში ხილი და მწვანილი სწორედ ერდოღანის სამბრძანებლოდან ცეცხლის ფასად შემოგვაქვს, რათა „დიდი თურანის“ იდეას კიდევ უფრო ფართო გზა მიეცეს და აღორძინდეს.**

რუსი ისტორიკოსების დიდი ნაწილი **პეტრე პირველს** წყევლის და ანათემას უგზავნის, აქაოდა, რუსეთი თავისი განვითარების ბუნებრივი კალაპოტიდან ამოაგდო და ქვეყანა გააევროპულაო! სამაგიეროდ, აქებენ და ადიდებენ **ივანე მრისხანეს,** რომელიც მართალია, თავის რძალს გასაუპატიურებლად დასდევდა, მაგრამ ქვეყანას მონღოლური წესებით მართავდა და ქვეყანაში საშინელი ტერორისტული რეჟიმი ჰქონდა დამყარებული. არსებობს **პეტრე დიდის ანდერძი,** სადაც რუსეთის უდიდესი და გენეტიკურად ქართველი ხელმწიფე ამბობს, რომ **მას ურჩევნია, იმპერია იხილოს ურალიდან ბალტიის ზღვამდე, ჰოლანდიასავით დაწინაურებული და აყვავებული, ვიდრე ვლადივოსტოკიდან ბალტიამდე გადაჭიმული, მაგრამ უბედურებასა და საშინელ სიდუხჭირეში ჩარჩენილი.**

იმ ფორმატში, რა ვითარებაშიც **სამარყანდის კონფერენცია** 2022 წლის 15-16 სექტემბერს ჩატარდა, რუსეთი, სავარაუდოდ, წააგებს, რადგან

**ამ კონფერენციაზე უმრავლესობას წარმოადგენდა და სტრატეგიულ უპირატესობას ფლობდა არა მართლმადიდებელი რუსეთი, არამედ ერდოღანი და „დიდი თურანის“ იდეა,**

**რომლის არსიც პანთურქიზმის ერთ-ერთმა მთავარმა იდეოლოგმა, ყირიმელმა თათარმა ისმაილ გასპარლიმ ასე ჩამოაყალიბა — „ერთიანობა ენა-**

გაგრძელება მე-8 გვერდზე






## რუსეთისთვის მომგებიანი და ხანგრძლივად დადებით შედეგზე გათვლილი იქნება ის კონფერენცია, რომელიც თემურ-ლენგის საფლავზე კი არა, დიდი სტალინის საფლავზე გაიმართება!

პარალელური გეოგრაფიები ★

# გიორგი ბეჟირგანის პასუხები მკითხველს ★

## როგორც ცნობილია, სტალინი მოკრძალებულად ცხოვრობდა. მაშ, რატომ არ აღკვეთდა მისი მისამართით გამოთქმულ პანეგირიკებს?



მრავალი მტკიცებულება არსებობს იმისა, რომ სტალინი ყოველმხრივ ეწინააღმდეგებოდა თავისი პიროვნების განდიდებას. ერთ-ერთ საბავშვო მწერალს, „ბელადის ყრმობის" ავტორს, მან წერილობით ურჩია: **„დაწვით ეს წიგნი,ვინაიდან ბელადის სიყრმეში არაფერი იყო განსაკუთრებული"**. წიგნი სავაჭრო ქსელიდან ამოიღეს. სტალინმა აკრძალა აგრეთვე **მიხეილ ბულგაკოვის** მშვენიერი პიესა **„ბათუმის"** დადგმა, რომელიც მის ადრეულ რევოლუციურ მოღვაწეობას ასახავდა, თუმცაღა, თავად მწერალს ბელადი დიდი ყურადღებით ეპყრობოდა და არაერთხელ უნახავს მისი პიესა **„ტურბინების ოჯახი"**.

1930 წლის აგვისტოში სტალინი მწერალ **შატუნოვსკის** სწერდა: **„ამბობთ, რომ ჩემი ერთგული ხართ... გირჩევთ, პიროვნებისადმი ერთგულების „პრინციპი" დაივიწყოთ. ეს არაბოლშევიკურია. იყავით მუშათა კლასის, მისი პარტიის, მისი სახელმწიფოს ერთგული.**

აწ გარდაცვლილი **დევი სტურუა**, რომელიც მამასთან — **გიორგი სტურუასთან** და ძმასთან — **მელორთან** ერთად სტალინის 70 წლისთავთან დაკავშირებით გამართულ საზეიმო კრებას ესწრებოდა, გაოცებული დარჩა, როცა თანამოსაგრეთა და უცხოელ მოღვაწეთა მიერ მისთვის ხოტბის შესხმის პასუხად ბელადმა მდუმარედ დატოვა პრეზიდიუმი. **გიორგი სტურუამ, რომელიც ბელადის ხასიათს კარგად იცნობდა, ვაჟს აუხსნა: „ამით სტალინმა ზიზღი გამოხატა იმ ქება-დიდების მიმართ, რომელიც მისი მისამართით ისმოდა".**

სტალინი რომ ყოფა-ცხოვრებაში ერთობ მოკრძალებული იყო, ამაზე დევი სტურუას კიდევ ერთი მოგონება მეტყველებს: **1945 წელს სოხუმში, კალინინის აგარაკზე მამასთან ერთად სტუმრობისას სტურუა საშინლად განცვიფრდა, როცა სტალინის ფეხზე დაკერებული შტიბლეტები შენიშნა. თურმე, ნუ იტყვით და, სტალინი თავად ირემონტებდა ფეხსაცმელს.**

## მიითვისა თუ არა ბერიამ გაზეთ „კომუნისტის" მთავარი რედაქტორის ერიკ ბედიას წიგნი?



წიგნი **„ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიისათვის"**, რომელიც თერთმეტჯერ გამოიცა ბერიას სიცოცხლეში, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა, ისეთივე „პლაგიატია", როგორც ხრუშჩოვის, ბრეჟნევის, ანდროპოვის, ჩერნენკოს და სხვა საბჭოთა ბელადების შრომები. **ცნობილია, რომ ლენინისა და სტალინის გარდა, რომლებიც თავიანთ ნაშრომებს თვითონ წერდნენ, ყველა ხელმძღვანელის ნაცვლად ამას რეფერენტები და მდივნები აკეთებდნენ.**

წიგნად გამოცემამდე აღნიშნული ნაშრომი ჩვეულებრივი მოხსენება გახლდათ, რომელიც საქართველოს კპ(ბ) ცეკას პირველმა მდივანმა ბერიამ ამიერკავკასიის პარტიული აქტივის კრებაზე წაიკითხა. როგორც იმხანად მიღებული გახლდათ, მოხსენებაზე მუშაობდა ავტორთა ჯგუფი — გაზეთ „კომუნისტის" მთავარი რედაქტორი **ერიკ ბედია,** მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დირექტორი **მალაქია ტოროშელიძე,** „ზარია ვოსტოკას" რედაქტორი **სეფი (სემიონ ეფრაიმოვიჩ ფრაერმანი)**, ბერიას თანაშემწეები — **ვსევოლოდ მერკულოვი, პეტრე შარია, ბორის ლუდვიგოვი** და სხვანი. აღნიშნული მოხსენება დაწვრილებით აღწერდა ი.ბ. სტალინის რევოლუციურ მოღვაწეობას ამიერკავკასიაში.

წიგნი — **„ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიისათვის"** 1935 წელს გამოიცა. 1937 წელს კი **ტოროშელიძე და ბედია** ტროცკიზმის ბრალდებით დააპატიმრეს და დახვრიტეს. რეპრესიებს შეეწირა (იმავე ბრალდებით) **სეფიც,** რომელიც შორეულ ბანაკში დაიღუპა. **შარია და ლუდვიგოვი** ბერიას გარემოცვაში დარჩნენ მისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე და მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ, 1953 წლის გაზაფხულზე შეეხოთ რეპრესიები. **ვსევოლოდ მერკულოვმა** თავბრუდამხვევი კარიერა გაიკეთა: ჯერ — ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელი, შემდგომ კი სსრკ-ის სახელმწიფო კონტროლის მინისტრი გახლდათ. 1953 წლის დეკემბერში ისიც დახვრიტეს, როგორც „ხალხის მტერ" ბერიას თანამზრახველი.

**ბედიასა და ტოროშელიძის ტრაგიკული აღსასრულის მიზეზი აღნიშნული წიგნი არ გამხდარა.** არც მისი გამოცემის დღეებში და არც შემდგომ საიდუმლოს არ წარმოადგენდა ფაქტი, რომ მასზე ავტორთა მთელი ჯგუფი მუშაობდა.

## ცნობილია, რომ სტალინი ორჯერ დაკრძალეს: 1953 წელს – მავზოლეუმში, 1961 წელს – კრემლის კედელთან. როგორ მოხდა ეს?



ისტორიამ იცის კიდევ ერთი მსგავსი მაგალითი. 1821 წელს წმინდა ელენეს კუნძულზე ლონგვუდის მიწას მიაბარეს ინგლისელთა ტყვის — **იმპერატორ ნაპოლეონის** ნეშტი, ხოლო 20 წლის შემდეგ, ფრანგი ხალხის მოთხოვნით, მისი ცხედარი პარიზში გადაასვენეს. **განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ნაპოლეონი პირველად — ყოველგვარი პატივის მიგების გარეშე, მეორედ კი დიდი ზარ-ზეიმით დაკრძალეს და მას მთელი პარიზი მიაცილებდა.**

სტალინის შემთხვევაში ყველაფერი პირიქით მოხდა. პირველად იგი მთელმა ქვეყანამ დაიტირა და უზარმაზარი პატივი მიაგო, ხოლო მეორედ მისი ნეშტი ქურდულად, ღამის საბურველქვეშ დაკრძალეს.

**გადაწყვეტილება სტალინის ცხედრის გადასვენების შესახებ, ნიკიტა ხრუშჩოვის დაჟინებით, სკკპ 22-ე ყრილობამ მიიღო.** თუმცა, მაშინ წერდნენ, რომ ეს წინადადება „ლენინგრადის პარტიულმა ორგანიზაციამ წამოაყენა და მას მხარი უკრაინისა და საქართველოს დელეგაციებმაც დაუჭირეს". საქართველოს პარტორგანიზაციის მხრიდან აღნიშნული წინადადებისთვის მხარი უნდა აება საქართველოს კომპარტიის მაშინდელ პირველ მდივანს **ვასილ მჟავანაძეს,** მაგრამ იგი გმირულად მოიქცა — ყინული მიირთვა და ფილტვების ორმხრივი ანთება „გამოიწერა", რაც კრემლის ექიმებმაც დააფიქსირეს. **მავზოლეუმიდან სტალინის ნეშტის გამოსვენებაზე წინადადების „მხარდაჭერა" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს იმჟამინდელ თავმჯდომარეს გივი ჯავახიშვილს მოუხდა.** გადასვენების აქცია 1961 წლის 1 ნოემბრის ღამისთვის დაიგეგმა. ამ მიზნით, ოქტომბრის აღლუმისთვის მზადების მოტივით, წითელი მოედნისკენ მიმავალი ყველა გზა გადაიკეტა, თუმცა, ხმებმა ნეშტის გადასვენების თაობაზე მაინც გაჟონა და აღშფოთებული ხალხი მოედნის გარშემო მჭიდროდ განლაგებულ მილიციასა და სამხედრო კორდონს მიაწყდა.

**თავდაპირველად, ხრუშჩოვის იდეით, სტალინის ცხედარი ნოვოდევიჩის სასაფლაოზე მისი მეუღლის ნადეჟდა ალილუევას გვერდით უნდა დაეკრძალათ.** თუმცა, ბელადის ერთგულმა ხალხმა ხრუშჩოვი დაარწმუნა, რომ შესაძლებელი იყო, სტალინის ნეშტი დაუცველი სასაფლაოდან გაეტაცათ. ამიტომაც პოვა სამუდამო განსასვენებელი გენერალისიმუსმა კრემლის კედელთან. **საკომენდანტო ოცეულის ჯარისკაცებმა მავზოლეუმის უკან სამარე გათხარეს და გარშემო ბეტონის ფილები შემოუწყვეს. ღამის თერთმეტი საათისთვის გადამსვენებელი კომისიის წევრები შვერნიკის ხელმძღვანელობით მავზოლეუმში შევიდნენ.** მათ შორის იყო გივი ჯავახიშვილიც. შვიდმა ოფიცერმა შენობაში სახელდახელოდ დამზადებული და წითელქსოვილგამოკრული ფიჭვის კუბო შეიტანა, რომელშიც მავზოლეუმის მომსახურე პერსონალმა სტალინის ცხედარი ჩაასვენა. **მანამდე კი... გენერალისიმუსს მუნდირიდან მოხსნეს სოციალისტური შრომის გმირის ვარსკვლავი და ოქროს ღილები, რომლებიც თითბრის ღილებით შეცვალეს.**

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი — **როდესაც კუბოს თავსახური დააფარეს, აღმოჩნდა, რომ მის მისაჭედებლად ლურსმნები არ ჰქონდათ და მათ მოსატანად ერთ-ერთი ოფიცერი გაგზავნეს. ამრიგად, მთელ პროცედურას 40 წუთი დასჭირდა.** მავზოლეუმიდან სტალინის ცხედარი ისევ შვიდმა ოფიცერმა გამოასვენა. თვითმხილველთა მოწმობით, **გივი ჯავახიშვილი და ნიკოლოზ შვერნიკი,** რომელიც სტალინთან 1925 წლიდან მუშაობდა, ბავშვებივით ტიროდნენ. **კუბო ბელადის ცხედრით ყოველგვარი ცერემონიების გარეშე მიაბარეს მიწას. არადა, ჩვეულებრივ, ომის მონაწილეებს, მათ შორის, რიგით ჯარისკაცებსაც სალუტით ემშვიდობებოდნენ.** საფლავისთვის ბეტონის ფილა არ დაუხურავთ — უბრალოდ, მიწით ამოავსეს. პირველი ბელტი **შვერნიკმა** ისროლა, შემდეგ კი ჯარისკაცებმა აამუშავეს ნიჩბები. 12 საათისთვის ყველაფერი დასრულებული იყო. დილით მოსკოველებმა მავზოლეუმის ფრონტონზე მხოლოდ ერთი წარწერა — **„ლენინი"** იხილეს.

სტალინის საფლავზე დადეს უბრალო ქვის ფილა წარწერით **„ი.ბ. სტალინი 1879-1953 წ.წ."** ცნობილი სკულპტორის, სტალინური პრემიის ხუთგზის ლაურეატის **ნიკოლოზ ტომსკის** მიერ შექმნილი ბიუსტი კი საფლავზე მხოლოდ 1970 წელს დადგეს.




## რა თანამდებობები, წოდებები და რამდენი სამთავრობო ჯილდო ჰქონდა სტალინს?

უმაღლეს მთავარსარდალს სულ 9 ორდენი და ხუთი მედალი ჰქონდა. 1939 წლის 20 დეკემბერს მას — **სოციალისტური შრომის გმირის,** ხოლო 1945 წლის ივნისში **საბჭოთა კავშირის გმირის** უმაღლესი წოდება მიენიჭა. თუმცა, ბელადი მხოლოდ პირველ ჯილდოს ატარებდა. საგულისხმოა, რომ ჭეშმარიტად დიადი ადამიანები, **ხრუშჩოვისა და ბრეჟნევისგან** განსხვავებით, მუნდირს ორდენების გირლანდებით არ იმშვენებდნენ. მაგალითად, **ნაპოლეონი** — მხოლოდ საპატიო ლეგიონის ორდენის ლენტს, **ჰიტლერი** კი ჯარისკაცის რკინის ჯვარს ატარებდა.

შედარებისათვის ომის მონაწილე ნაკლებად ცნობილი გენერლების მონაცემებს მოვიყვანთ: **ივან ვექილოვი** — 8 ორდენისა და 6 მედლის, **იური გლუხოვი** — 10 ორდენისა და 15 მედლის, **ვიქტორ ლისინოვი** 11 ორდენისა და 13 მედლის მფლობელები გახლდნენ. ამ ნუსხის გაგრძელება იოლად შეიძლება.

**1912 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე სტალინი — ბოლშევიკური პარტიის ცეკას წევრი, ხოლო 1917 წლის ოქტომბრიდან აღსასრულამდე მისი პოლიტბიუროს წევრი იყო. 1922 წლის აპრილში ცეკას გენერალურ მდივნად აირჩიეს და ამ პოსტზე სიცოცხლის ბოლომდე დარჩა.** ოქტომბრის რევოლუციის დასრულებისთანავე, პირველი საბჭოთა მთავრობის ჩამოყალიბებისას — სტალინი ნაციონალურ საქმეთა სახალხო კომისრად, ხოლო 1919 წლის მარტიდან, შეთავსებით, მუშურ-გლეხური ინსპექციის სახალხო კომისრად დანიშნეს. **სამოქალაქო ომის წლებში სტალინი რიგი ფრონტების სამხედრო საბჭოს წევრი და ცეკას საგანგებო რწმუნებული გახლდათ პურით მომარაგების საკითხში.**

1941 წლის 6 მაისიდან, პარტიის ხელმძღვანელობის პარალელურად, სტალინი სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის პოსტსაც იკავებს, 1946 წლიდან კი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეა. ამ თანამდებობაზე იგი 1953 წლის მარტამდე რჩება. **1941 წლის ივლისში სტალინი თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტს — სახელმწიფოს მთავარ ხელმძღვანელ ორგანოს უდგება სათავეში.** იმავდროულად 1941 წლის 19 ივლისიდან 1947 წლის მარტამდე — თავდაცვის სახალხო კომისარი, ხოლო იმავე წლის 8 აგვისტოდან სსრკ-ის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალია. **1943 წლის 6 მარტს სტალინს საბჭოთა კავშირის მარშლის წოდება მიენიჭა, 1945 წლის 27 ივნისს კი გენერალისიმუსი გახდა.**



## ისტორიკოსის თვალით ★



*დასაწყისი იხ. „გენერალისიმუსი“ №10-21*

***პროფესორი სვიმონ მასხარაშვილი სტალინის მიერ შექმნილ და ხრუშჩოვის მიერ განადგურებულ საბჭოთა განათლების სისტემაზე გვესაუბრება. მეცნიერი აცხადებს, რომ დღეს რუსეთს აქვს ის, რაც სტალინმა შექმნა და ხრუშჩოვმა დაანგრია:***

# სვიმონ მასხარაშვილი:

# ნიკიტა ხრუშჩოვს არავითარი განათლება არ ჰქონდა, წერა-კითხვა ოცი წლისამ ისწავლა!



— საბჭოთა განათლების სისტემაც ყველაფერთან ერთად სტალინის შექმნილია. სამწუხაროდ, ამ სისტემის ნგრევა ჯერ **ნიკიტა ხრუშჩოვმა** დაიწყო, **ბრეჟნევმა** გააგრძელა, ხოლო **გორბაჩოვის** „პერესტროიკამ“ მას ბოლო მოუღო. 1922 წლის 30 დეკემბერს, მოგეხსენებათ, საბჭოთა კავშირი შეიქმნა, მაგრამ საკავშირო სახალხო კომისარიატების, ანუ იგივე სამინისტროების ჩამოყალიბების პროცესი წლების განმავლობაში გაგრძელდა და 1930 წელს ძირითადად დასრულდა. **ერთადერთი საკავშირო მასშტაბის სამინისტრო, რომელიც სტალინის სიცოცხლეში არ შექმნილა, საბჭოთა კავშირის განათლების სამინისტრო გახლდათ, რომელიც პირველად ბრეჟნევის დროს, 1966 წელს, დაფუძნდა.**

**— ბატონო სვიმონ, რატომ არ ქმნიდა სტალინი საკავშირო განათლების სამინისტროს?**

— განათლების სამინისტროს პრეროგატივას დაწყებითი და საშუალო განათლება წარმოადგენდა. საბჭოთა მოქალაქეების დაახლოებით 98 პროცენტი დაწყებითი და საშუალო განათლებით კმაყოფილდებოდა, ხოლო დაახლოებით 2 პროცენტი უმაღლესდამთავრებული გახლდათ. სწორედ ამ სეგმენტისთვის 1936 წელს სტალინმა შექმნა უმაღლესი და სპეციალური განათლების სახალხო კომისარიატი, რომელსაც სათავეში ჩაუყენა ატომური პროექტის ერთ-ერთი ინიციატორი **სერგეი ვასილის ძე კაფტანოვი.** რაც შეეხება საშუალო განათლებას, ეს სფერო მთლიანად მოკავშირე-ეროვნული რესპუბლიკების განათლების სამინისტროთა პრეროგატივად გამოცხადდა. სწორედ **კაფტანოვი და აბრამ იოფე** იყვნენ იმის ინიციატორები, რომ საბჭოთა კავშირს ატომური პროექტი დაეწყო. მათი რჩევით, 1942 წლის 26 სექტემბერს, როცა მთელი პოლიტბიურო ამის წინააღმდეგი იყო, რადგან ჰიტლერი კავკასიას უტევდა, სტალინმა ატომური პროექტი დაამტკიცა და უკანასკნელი მილიარდები გამოყო მის დასაფინანსებლად.

**— რა იყო სტალინური განათლების სისტემის დედაარსი?**

— სტალინის პრინციპი ასეთი იყო — ერის თვითმყოფადობის უპირველესი განმსაზღვრელი არის ეროვნული კულტურა, პირველ რიგში, ენა, ხელოვნება და ტრადიციები. ყოველივე ამას ადამიანი სწორედ დაწყებით და საშუალო სკოლაში ეზიარება. **შესაბამისად, დაწყებითი და საშუალო სკოლა აუცილებლად ეროვნული უნდა იყოს, რათა საბჭოთა კავშირიდან მივიღოთ არა ახალი ბაბილონის გოდოლი, არამედ კულტურულ-თვითმყოფად ერთა მეგობრული კავშირი, სადაც ყველა ერთმანეთის ეროვნულ კულტურას პატივს სცემს და აძლიერებს.**

ყოველივე ეს სრულ შეუსაბამობაშია ბნელი ძალების მიერ საქართველოსთვის და მთელი ევროპისთვის თავსმოხვეულ ე.წ. „ბოლონიის პროცესთან“, რომელიც მიზნად ისახავს მსოფლიოს ერების განათლების სისტემების სრულ უნიფიცირებას, ანუ ერთ თარგზე მოჭრას. **ეს იმას ნიშნავს, რომ, მაგალითად, ლატვიელმა, ბერძენმა და ალბანელმა ბავშვებმა უნდა ისწავლონ ერთიანი პროგრამით, სადაც არ იქნება გათვალისწინებული არც ალბანელთა, არც ლატვიელთა და არც ბერძენთა ეროვნული თავისებურებანი.** ისტორიაში მაქსიმალურად აევლება გვერდი ეროვნულ კონფლიქტს, იგნორირებული იქნება მოწაფეთა ეთნოფსიქოლოგია, მშობლიური ენა, სარწმუნოება, ტრადიციები და ა.შ. ანუ **ე.წ. „ბოლონიის პროცესი“ ეს არის გზა ახალი ბაბილონის გოდოლისკენ, რომელიც, იმედია, ისევ დაინგრევა!** ხოლო სტალინის მიერ შექმნილი განათლების სისტემა, რომელსაც 1953 წლიდან დღემდე თითქმის სამოცდაათი წელია, ანგრევენ, დარწმუნებული ვარ, მომავალშიც იტყვის თავის სიტყვას, რადგან ეროვნულ კულტურას, როგორც ეროვნულობისა და სახელმწიფოებრიობის უმთავრეს ნიშანს, ალტერნატივა არ გააჩნია!

**— როგორი განათლების სისტემა დახვდა სტალინს და რა დატოვა მან?**

— თუ რუსეთის იმპერია განათლებისა და მეცნიერების დონით მსოფლიო ქვეყნების ხუთეულში შედიოდა, 1925 წლის მდგომარეობით, საბჭოთა კავშირი ევროპის მასშტაბით მაჩანჩალა გახლდათ. უფრო მეტიც, საბჭოთა პოლიტბიუროს წევრთა უდიდეს ნაწილს სკოლა არ ჰქონდა დამთავრებული, ხოლო რევოლუციონერთა საშუალო და ქვედა ფენა აბსოლუტურად უწიგნური იყო.

უკანასკნელ ხანს გამომზეურებული დოკუმენტებით ირკვევა, რომ სტალინს თბილისის სასულიერო სემინარია დამთავრებული ჰქონდა და მხოლოდ ერთადერთი გამოცდა არ ჰქონდა პრინციპულად ჩაბარებული, რადგან ამ შემთხვევაში ის ავტომატურად ხდებოდა მღვდელი, ეს კი მას არ სურდა და გული პოლიტიკისკენ მიუწევდა.

მაშინდელი თბილისის სასულიერო სემინარია შესაძლოა, მოსკოვისა და პეტერბურგის უნივერსიტეტების დონეს ვერ სწვდებოდა, მაგრამ დღევანდელი რუსეთისა და საქართველოს ნებისმიერი უნივერსიტეტის სწავლის ხარისხს აღემატებოდა. მაშინდელი სემინარია დღევანდელ ბაკალავრიატზე მეტ განათლებას იძლეოდა.

**ზინოვიევისა და კამენევის** გარდა, რომლებიც შეძლებული ოჯახიშვილები იყვნენ და გარკვეული განათლება ჰქონდათ, პოლიტბიუროში სრული უმეცრება სუფევდა. თვით **მოლოტოვსაც** კი არ ჰქონდა უმაღლესი დამთავრებული. რაც შეეხებათ **გლებ კრჟიჟანოვსკის, ანატოლი ლუნაჩარსკისა და ლეონიდ კრასინს,** რომლებიც ძალიან განათლებული ადამიანები იყვნენ, ისინი პოლიტბიუროს წევრები არ ყოფილან. **სტალინმა,** როგორც კი რეალური ძალაუფლება იგდო ხელთ, მაშინვე დაიწყო ძველი რუსი მეცნიერებისა და აკადემიკოსების შემოკრება. მაგალითად, **კრჟიჟანოვსკი,** რომელიც **ტროცკის** უახლოესი მეგობარი იყო, ბელადმა კი არ გაანადგურა, არამედ აკადემიაში სასათბურე პირობები შეუქმნა. არისტოკრატიული წარმოშობის **გიორგი მალენკოვი** სწორედ კრჟიჟანოვსკის ოჯახის ახლობელი იყო. კერძოდ, მალენკოვის ცოლი **გლებ კრჟიჟანოვსკის** ცოლის დისშვილი გახლდათ. მალენკოვმა დააახლოვა კრჟიჟანოვსკი წერა-კითხვის უცოდინარ **ლაზარ კაგანოვიჩთან** და აქედან დაიწყო მალენკოვის აღზევება.

**— მალენკოვი თუ იყო უმაღლესდამთავრებული?**

— მალენკოვი უმაღლესდამთავრებული გახლდათ, მაგრამ მისი დიპლომი არ იძებნება!

**— ხრუშჩოვს რა განათლება ჰქონდა?**

— ნიკიტა ხრუშჩოვს არავითარი განათლება არ ჰქონდა, ხოლო წერა-კითხვა ოცი წლისამ ისწავლა! ცნობისათვის, იგი არ იყო მშიშარა და ჰქონდა ინტრიგების ხლართვის საოცარი უნარი... ბოლო-ბოლო, სტალინის გვერდით ოცი წელი მაინც გაატარა და ამ ხნის განმავლობაში ლაპარაკი და რაღაც-რაღაცები ისწავლა.

1931 წლის გაზაფხულზე სტალინი ამბობდა — ჩვენ ათ წელიწადში ან გავივლით იმ გზას, რომელიც ას წელიწადში უნდა გაგვევლო, ან საბჭოთა კავშირი შეწყვეტს არსებობას! მართლაც, რომ არა უმაღლესდამთავრებულთა მაღალი ხვედრითი წილი, ვერავითარი სამხედრო დახმარება საბჭოთა კავშირს გერმანიასთან ომში ვერ იხსნიდა. ზემოხსენებული განცხადებიდან ორ თვეში საბჭოთა კავშირში სტალინმა დააბრუნა **განათლების პრუსიული მოდელი,** სავალდებულო გახადა შვიდწლიანი სწავლება, ხოლო, თუ ახალგაზრდას ათწლედის დასრულება არ სურდა, მაშინ მას აუცილებლად უნდა დაემთავრებინა პროფტექნიკური სასწავლებელი და რაიმე ხელობას დაუფლებოდა. 1936 წელს სტალინმა შექმნა ხელოვნების კომიტეტი, რომელიც მერე კულტურის სამინისტროდ გადაკეთდა. მანვე აამოქმედება უძლიერესი იდეოლოგიური სამსახური, რომელსაც პირადად აკონტროლებდა. ბელადმა ასევე დააფუძნა კინოს სამინისტრო, მხატვართა და კომპოზიტორთა კავშირები... **არასოდეს სტალინს კომუნიზმის არ სჯეროდა, მისი იდეალი იყო მსოფლიოს სოციალისტურ სახელმწიფოთა ერთობა, რაც ხრუშჩოვმა და მისმა ხროვამ დაანგრიეს და ამოძირკვეს!**

**— და მაინც, როგორ დაანგრია სტალინური განათლება და მეცნიერება ნიკიტა ხრუშჩოვმა?**

— სტალინმა საბჭოთა კავშირის მოსახლეობას წიგნის კითხვა შეაყვარა. მოსკოვში, მეტროში, ავტობუსში ან ტროლეიბუსში, ყველა ჩანთიდან წიგნს ამოიღებდა და ასე მგზავრობდა. თავად სტალინს 30 ათასამდე წიგნი ჰქონდა წაკითხული და ბრწყინვალედ ფლობდა გერმანულსა და ინგლისურს. კრემლის ბიბლიოთეკაში იპოვეს ინგლისური ენის სახელმძღვანელოები, რომლებშიც სტალინს თავისი ხელით აქვს კომენტარები ჩაწერილი... **ჰერბერტ უელსი** ამტკიცებს, რომ სტალინმა ზედმიწევნით იცოდა ინგლისური, მაგრამ ამას მალავდა! უელსი 30-იან წლებში შეხვდა სტალინს და იგონებს — ისე კარგად იცოდა ინგლისური, თარჯიმანი ვერ ასწრებდა გადათარგმნას, ვატყობდი, რომ პასუხი უკვე მზად ჰქონდა, მაგრამ მაინც თარჯიმანს ელოდებოდა!

როგორც კი ხრუშჩოვი მოვიდა ქვეყნის სათავეში, მაშინვე დაერია სტალინის მიერ დაწინაურებულ სამეცნიერო და ადმინისტრაციულ კადრებს. ამ საქმეში უდიდესი როლი ითამაშა აგიტაცია-პროპაგანდის სამმართველოს მაშინდელმა უფროსმა **მიხეილ სუსლოვმა,** რომელიც უმაღლეს პოლიტიკურ ელიტაში პირველად 1946 წელს გამოჩნდა. სუსლოვი **მალენკოვის** კადრი იყო უდიდესი როლი ითამაშა სტალინის, ბერიასა და თავად მალენკოვის განადგურებაში. ეს იყო ნამდვილი ქვეწარმავალი, ქართველთმოძულე, მაგრამ ამავდროულად ფანატიკოსი პარტიული მოღვაწე. ვიდრე აგიტაცია-პროპაგანდას ჩააბარებდნენ, ის საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთობის განყოფილების გამგედ დაინიშნა. ეს მოხდა სტალინის პირველი ინსულტის დროს... სხვათაშორის, არსებობს სტალინის წერილობითი შეკითხვა პოლიტბიუროსადმი — **„რა უნდა უცხოეთის ქვეყნებთან ურთიერთობის ხელმძღვანელად სუსლოვს, რომელიც მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში არ არის ნამყოფი და არცერთი უცხო ენა არ იცის?“**

**— რით მიიპყრო სუსლოვმა მალენკოვის ყურადღება?**

— **მიხეილ სუსლოვი** ლენინისა და მარქსის საზეპიროებით დადიოდა და გარეგნულად განათლებული კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა. სინამდვილეში იყო გონებაშეზღუდული, მაგრამ ძალიან ვერაგი და ბოღმიანი კაცი. აი, ასეთი ნაძირალა იქცა **ნიკიტა ხრუშჩოვის** მთავარ პროპაგანდისტად, რომელსაც აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილება სიცოცხლის ბოლომდე არ მიუტოვებია. მთელი განათლება, მეცნიერება, კულტურა და ხელოვნება მის ხელში იყო. ცხა-

# სტალინი:

**რა უნდა უცხოეთის ქვეყნებთან ურთიერთობის ხელმძღვანელად სუსლოვს, რომელიც მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში არ არის ნამყოფი და არცერთი უცხო ენა არ იცის?**



მიხეილ სუსლოვი



## ისტორიკოსის თვალით ★







დია, სტალინის სიცოცხლეში სუსლოვი საბჭოთა კავშირში აგიტაცია-პროპაგანდის პოლიტიკას ვერ განსაზღვრავდა და ის ამ დარგს მხოლოდ ფორმალურად ხელმძღვანელობდა 1947 წლიდან, მაგრამ სტალინის სიკვდილის შემდეგ **მიხეილ სუსლოვი** ნამდვილ მონსტრად იქცა. ხრუშჩოვთან ერთად მან ცეკას მდივნად დანიშნა, ხოლო შემდეგ საბჭოთა კავშირის კულტურის მინისტრად გადაისროლა სუიციდისკენ მიდრეკილი **ეკატერინე ფურცევა,** რომელიც ნიკიტას საყვარელი იყო... იგი ცნობილ ფეხბურთელს ედუარდ სტრელცოვს აიძულებდა, მისი ერთადერთი ქალიშვილი, 13 წლის გოგონა, ლოგინში ჩაეწვინა და ცოლად შეერთო! ამ მიზნით, ფურცევამ 1956 წელს ავსტრალიის ოლიმპიადაზე თავისი ქალიშვილი სტრელცოვთან ერთად გაგზავნა, მაგრამ სპორტსმენმა შემოთავაზებაზე კატეგორიული უარი თქვა — **პედოფილი არ ვარ და, ბოლოს და ბოლოს, ცოლი მყავსო!** სწორედ ეს უარი გახდა ძირითადი მიზეზი იმისა, რომ სტრელცოვი ციხეში მოხვდა... 1957 წლის ივნისში, როცა ხრუშჩოვი პრეზიდიუმმა გადააყენა, სწორედ ეკატერინე ფურცევა გამოვიდა სხდომიდან, ტუალეტში წასვლა მოიმიზეზა და **გიორგი ჟუკოვს** დაურეკა — ასე და ასეა საქმე, ხრუშჩოვი თანამდებობიდან გაათავისუფლესო!

**ფურცევამ და ჟუკოვმა გაუკეთეს ორგანიზება იმ პლენუმს, რომელმაც ნიკიტა ხრუშჩოვი გადაარჩინა და უკან დააბრუნა!** სხვათაშორის, 1957 წლის ოქტომბერში, როცა გიორგი ჟუკოვი საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრობიდან გაათავისუფლეს, ამ საქმეში უდიდესი როლი შეასრულა სწორედ ეკატერინე ფურცევამ. როცა ჟუკოვს უთხრეს — თავდაცვის მინისტრობიდან მოხსნილი ხართო, იკითხა — ჩემს ადგილზე ვინ დანიშნეს? — მარშალი **როდიონ მალინოვსკი!** — კიდევ კარგი, **ეკატერინე ფურცევა** არ დანიშნეს! — სიმწრის სიცილით გაეცინა მარშალს.

სუსლოვისა და ფურცევას დომინაციის პირობებში მოხდა ის, რომ **პასტერნაკს** ნობელის პრემიაზე უარი ათქმევინეს და მერე ამოდენა მწერალი თვითმკვლელობამდე მიიყვანეს. სწორედ სუსლოვმა დაქოქა ხრუშჩოვი ავანგარდისტების წინააღმდეგ, როცა 1961 წლის მიწურულს მანეჟში მათ ჯერ გამოფენა გაამართვინა, ხოლო შემდეგ ხრუშჩოვი მიიყვანა და ახალგაზრდებს დაატაკა.

ხრუშჩოვმა დამარხა საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტი, როცა ადმირალი **ნიკოლოზ კუზნეცოვი** გაათავისუფლა და ავიამზიდების მშენებლობის პროექტი გააჩერა.

**— ხრუშჩოვმა საქართველოს ისტორიის სწავლებაც ხომ მოსპო?**

— საქართველოს ისტორიაც მოსპეს და გამოსცეს **„ქართლის ცხოვრება“,** რომლის პირველი ტომი ტყუილებით არის გატენილი... ხრუშჩოვმა საგანგებო ცირკულარით გააუქმა უნიკალური სახელმძღვანელო — **„საქართველოს ისტორია“,** რომელიც **ივანე ჯავახიშვილმა, სიმონ ჯანაშიამ და ნიკო ბერძენიშვილმა** დაწერეს. 1948 წელს გამოვიდა ამ წიგნის ბოლო გამოცემა... ხრუშჩოვმა ბრძოლა დაუწყო ეკლესიას და ქვეყანაში 20-იანი წლების ჯოჯოხეთი გააცოცხლა.

ნიკიტა ხრუშჩოვს ფაკულტეტები და უმაღლესი სასწავლებლები არ დაუნგრევია, მაგრამ სტალინის დროს ყველაზე სასათბურე პირობები ვისაც ჰქონდა შექმნილი — მეცნიერებათა აკადემიას, გამომგონებლებსა და ნიჭიერ ინჟინრებს — ყველას დევნა დაუწყო! 1931 წელს საბჭოთა კავშირი განათლების დონით მსოფლიოში ერთ-ერთი მაჩანჩალა იყო, მაგრამ სტალინის დამსახურებით, 1941 წელს ქვეყანა ისეთ დონეზე ავიდა, რომ მთელი ევროპის ეკონომიკას გადაუსწრო და მოწინავე სამხედრო ტექნოლოგიების ათვისების წყალობით ჰიტლერი გაანადგურა!

**— მავანთა მტკიცებით, რომ არა ამერიკული „ლენდ-ლიზი“, საბჭოთა კავშირი ჰიტლერს ომს ვერ მოუგებდა!**

— ეს სიცრუეა! ყველაზე უკეთეს შემთხვევაში ზოგიერთ დარგში „ლენდ-ლიზის“ ხვედრითი წილი 3-4 პროცენტს ძლივს აღწევდა. ხრუშჩოვმა მეცნიერება დაამუხრუჭა და ქვეყანამ ნაბიჯი წინ ვერ წადგა... **ალექსანდრე კოროლიოვის** ყველა პროექტზე პირადად სტალინს აქვს ხელი მოწერილი, რაც იმას ნიშნავს, რომ მთელი სარაკეტო მშენებლობა სტალინის მიერ იყო ინიცირებული და გზაგაკვალული. ასე რომ, დღეს რუსეთს აქვს ის, რაც სტალინმა შექმნა და ხრუშჩოვმა დაანგრია!

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

> **„საბჭოთა კავშირის კულტურის მინისტრი ეკატერინე ფურცევა ცნობილ ფეხბურთელს ედუარდ სტრელცოვს აიძულებდა, მისი ერთადერთი ქალიშვილი, 13 წლის გოგონა, ლოგინში ჩაეწვინა და ცოლად შეერთო!“**

> **„ფურცევამ და ჟუკოვმა გაუკეთეს ორგანიზება იმ პლენუმს, რომელმაც ნიკიტა ხრუშჩოვი გადაარჩინა და უკან დააბრუნა!“**

## არა – პავლიკ მოროზოვებს! ★







# იცნობდეთ:

## ესენი ბავშვებს მშობლებისთვის სასამართლოში ჩივილისკენ მოუწოდებენ!



***ტუსაღი ნიკუტა გვარამიას „მთავარი არხი“, საიდანაც უკვე მგზნებარე ნაცი თამარ ბაღაშვილი და კლოუნი ვანო ჯავახიშვილიც კი გაიქცნენ, მიცვალების ბოლო სტადიაშია! თუმცა, ეს ტელებოსელი მაოხრებელი გზირივით ცდილობს კუდის მოქნევას და ქვეყნის მოწამვლას!***

დიახ, სწორედ „მთავარმა არხმა“ დაუთმო თავისი ეთერი, ალბათ, ყველაზე ზნედაცემულ სოროსელ ალქაჯებს, რომლებმაც, არც მეტი, არც ნაკლები, ბავშვების მშობლების წინააღმდეგ აჯანყების სპეცგეგმა წარმოადგინეს! ლაპარაკია არასამთავრობო ორგანიზაცია **„პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“** ორ ლიდერზე — **ანა აბაშიძეზე და ანა არგანაშვილზე,** რომლებმაც 15 სექტემბრის გადაცემა „შუადღეში“ პირდაპირი ტექსტით იქადაგეს, **როგორ უნდა უჩივლონ ბავშვებმა თავიანთ მშობლებს!**

რა თქმა უნდა, ეს ამაზრზენი გეგმა შეიფუთა **„ოჯახში ბავშვებზე ძალადობის“ ნიღბით,** მაგრამ, როგორც შუბი ხალთაში ვერ დაიმალება, ისე ეს სოროსელი ალქაჯები ვერ დამალავენ თავიანთ რეალურ სახესა და სატანისტურ მიზნებს! **აკი, ანა არგანაშვილმა პირდაპირ განაცხადა — ჩვენ ბავშვების სქესობრივი და რეპროდუქციული უფლებების დასაცავად ვიბრძვითო! ანა აბაშიძემ კი ღიად მოუწოდა ბავშვებს, ნუ შეგეშინდებათ, დაგვიკავშირდით და ერთად ვიბრძოლოთ თქვენი უფლებებისთვისო!** ანუ სოროსელი ალქაჯები უკვე პირდაპირ ბავშვებზე გადიან მათი მშობლების დაუკითხავად და არც მალავენ, ბევრი ბავშვი მშობლებისაგან დასაცავიაო!

მოდით, ახლა ახლოს გავიცნოთ, ვინ არიან ეს ალქაჯები და რა „საქმენი საგმირონი“ აქვთ გაკეთებული! მაგალითად, **ანა არგანაშვილი,** როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია **„პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის“** იურისტი და 9 წლის მოსწავლის ადვოკატი, ამ ორიოდე წლის წინათ, თბილისის საქალაქო სასამართლოში უჩიოდა განათლების სამინისტროს სკოლებში სექსუალური განათლების დანერგვის სარჩელით! **ანუ ანა არგანაშვილმა 9 წლის გოგონას დააწერინა სარჩელი, რომლითაც ეს ბავშვი სახელმწიფოს უჩიოდა, სექსუალურ განათლებას რატომ არ მაძლევთ სკოლაშიო!**

ეს სოროსელი ალქაჯი ასე ხსნიდა თავის ბრძოლას: **ჩვენ გვინდა, შევქმნათ პრეცედენტი, რათა სახელმწიფომ აღიაროს, რომ, როდესაც სკოლაში ბავშვებისთვის არ უზრუნველყოფს სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ განათლების სრულფასოვან მიწოდებას, ამით არღვევს ბავშვების უფლებებსო!**

ახლა ვნახოთ, ვინ არის მეორე სოროსელი ალქაჯი — **ანა აბაშიძე: თბილისის ლგბტ პრაიდის ერთ-ერთი ორგანიზატორი, ლგბტ სექტის ერთ-ერთი ლიდერი! ეს ის ანა აბაშიძეა, რომელიც მსოფლიო ჩოგბურთის ქართველი ვარსკვლავის ნიკა ბასილაშვილის ყოფილი მეუღლის ნეკა დოროყაშვილის ადვოკატია და პირადად ხელმძღვანელობს ჩვენი საამაყო ჩოგბურთელის წინააღმდეგ სასამართლო დევნას მისი ციხეში ჩასმის დაუოკებელი წყურვილით — აქაოდა, ქალზე მოძალადეაო!** დიახ, სწორედ **ანა აბაშიძის** პირადი მეცადინეობით უჩივის ნეკა დოროყაშვილი ნიკა ბასილაშვილს, წლების წინ მცემდა და ჩემზე ძალადობდაო!

და ამ სკანდალურ სასამართლო პროცესებში, რომლებზეც **ანა აბაშიძის დაქოქილი ნეკა დოროყაშვილი** დაწვრილებით ყვება, თურმე, როგორი მოძალადე და სადისტია **ნიკა ბასილაშვილი,** ძალაუნებურად იჭყლიტება მოდავეთა შვილი, 12-13 წლის ბიჭი **ნიკოლასი!**

**„ბავშვთა უფლებების დამცველმა“ ანა აბაშიძემ** ერთი წამით მაინც იფიქრა, რა უმძიმეს ფსიქოლოგიურ ტრავმას იღებს პატარა ბიჭი, რომელსაც განუწყვეტლივ ასმენინებენ, რომ მამამისი მოძალადეა?! **და ეს ხდება მხოლოდ იმიტომ, რომ სოროსელმა ალქაჯმა ანა აბაშიძემ დაიკმაყოფილოს თავისი კაცთმოძულეობა, ხოლო ამ ნეკა დოროყაშვილმა როგორმე შური იძიოს მსოფლიო ვარსკვლავზე, რადგან გაშორდა და ახლა მასთან ერთად კი არა, სხვა ქალთან ერთად ჩნდება მსოფლიო მედიის, მილიონობით მაყურებლის წინაშე!**

აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ სწორედ ეს **ანა არგანაშვილი** და **ანა აბაშიძე** იყვნენ ნინოწმინდის ბავშვთა პანსიონის სკანდალის ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირები და **სწორედ ისინი ხელმძღვანელობდნენ შტურმს ეკლესიის წინააღმდეგ, გადავარჩინოთ ბავშვები ქრისტიანული წესით აღზრდას, რადგან ეს ბავშვებზე ძალადობა არისო!**

აი, ასეთი „ბავშვთა უფლებების დამცველები“ არიან ეს ანა არგანაშვილი და ანა აბაშიძე! **ჰოდა, იცნობდეთ! აი, ესენი აპირებენ, აგიჯანყონ თქვენი შვილები და სასამართლოში დაგისვან ბრალმდებლებად!**

***გიორგი გიგაური***



> **სოროსელმა ალქაჯებმა მშობლების წინააღმდეგ ბავშვების აჯანყების გეგმა გაამხილეს!**

## სამხედრო ექსპერტის თვალით ★



## ტრისტან წითელაშვილი:

# სექტემბრის ბოლოსათვის საქართველოში

# შეიარაღებულ გადატრიალებას გეგმავენ!

*„ბოლო დღეებში რუსეთ-უკრაინის ომში უკრაინელებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს, მაგრამ ყოველივე დროებითია! ვითარება უახლოეს მომავალში კვლავ რუსეთის სასარგებლოდ შეიცვლება. საქართველოში კი მოვლენები ისე ვითარდება, რომ სექტემბრის ბოლოს შეიძლება შეიარაღებული გადატრიალება მოხდეს! მე გამაჩნია უტყუარი ინფორმაცია, რომ ამ მიზნით სამზადისი დაწყებულია!“* ***— ამ სიტყვებით დაიწყო ჩვენთან საუბარი სამხედრო ექსპერტმა ტრისტან წითელაშვილმა:***

— რაც უკრაინაში ბოლო დღეებში ხდება, რუსეთის მიერ ჩატარებულ მანევრად ვაფასებ, რაც იმაში მდგომარეობს, მტერი სიღრმეში შეიტყუო და, როგორც სამხედროები იტყვიან ხოლმე, „საცეცხლე ტომარაში“ მოაქციო. ეს ერთგვარი სატყუარაა, რომელსაც კონტრშეტევაზე გადასული სამხედრო ნაწილების წინააღმდეგ იყენებენ და მიზნად ისახავს, გამოააშკარაოს მტრის ჯარის რიცხოვნობა, შეიარაღება და შემდეგ საპასუხო ძლიერი დარტყმით უპასუხოს.

უკრაინელებს ბოლო 6 თვის განმავლობაში წინ ნაბიჯი არ გადაუდგამთ და არანაირი კონტრშეტევითი ოპერაცია არ უწარმოებიათ, იმის მიუხედავად, რომ ამ ხნის განმავლობაში ცოცხალი ძალის მობილიზაცია ორჯერ გამოცხადდა. **10 ათასი ახალწვეულის საომრად მომზადება უზრუნველყვეს ბრიტანეთსა და გერმანიაში განლაგებულ ბაზებზე ნატოს გენერლების ხელმძღვანელობით.** ამასთან ერთად, ამერიკელებმა, ბრიტანელებმა და გერმანელებმა უკრაინელებს მიაწოდეს იმ რაოდენობის სამხედრო ტექნიკა, რომელიც ფრონტზე ამინდის შესაქმნელად საკმარისი იქნებოდა. რუსეთს, რაღა თქმა უნდა, ამის შესახებ ინფორმაცია ჰქონდა და გეგმებსაც სახავდა. უნდა ითქვას, რომ მათ სწორედ უკრაინელების მობილიზებული ეს რესურსი შეიყვანეს „საცეცხლე ტომარაში“ და უკრაინელებმაც ძალების მობილიზაცია მხოლოდ იზიუმის მიმართულებით მოახდინეს. უკრაინული მედია იუწყებოდა, რომ რუსებმა მათ გაქცევისას შეატოვეს დიდი რაოდენობით ტექნიკა. სინამდვილეში კი რუსებმა უკან დახევისას დატოვეს მხოლოდ მწყობრიდან გამოსული და გამოუსადეგარი ტექნიკის ნაწილი, რაც თავის დროზე ისევ და ისევ უკრაინელებს აართვეს.

**— ფაქტია, რომ უკრაინელები წარმატებას ზეიმობენ...**

— წარმატება მაშინ იქნებოდა, თუ უკრაინელები შეტევას განავითარებდნენ და სხვა ტერიტორიების დაბრუნებასაც უზრუნველყოფდნენ, მაგრამ მათ ადგილის ტკეპნა დაიწყეს, ვინაიდან გამჟღავნდა, რომ ცოცხალი ძალის რესურსი ამოეწურათ. კონტრშეტევის დროს, როდესაც ძირითადი დამრტყმელი ძალა ტერიტორიებს დაიკავებს, ხელმძღვანელობამ ფრონტის ხაზს სასწრაფოდ უნდა გამოარიდოს და სარეზერვო ძალებით ჩაანაცვლოს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ასეთი ძალები აღარ ჰყავთ, გარდა 10 ათასი მეომრისა, რომლებმაც გარკვეული წარმატებები მოიპოვეს. რუსები ახლა სიღრმეში მათ შეტყუებას ცდილობენ, რის შემდეგაც თავად გადავლენ კონტრშეტევაზე და 3-ჯერ იმაზე მეტ ტერიტორიას დაიკავებენ, ვიდრე უკრაინელების წარმატებამდე ეკავათ. **საზოგადოება დაინახავს, რომ ახალ წლამდე ამ ომში რუსების სასარგებლოდ სერიოზული გარდატეხა მოხდება. კოლექტიური დასავლეთი უკრაინას ახალი მობილიზაციისკენ უბიძგებს, რასაც უკრაინის ხელისუფლება ველარ ახერხებს.** ომმა დიდძალი მსხვერპლი მოიტანა. გადარჩენილები სამხედრო სამსახურში გაწვევას ქვეყნიდან გაქცევით არიდებენ თავს, რის შემდეგადაც უკრაინა ხალხისგან დაიცალა. **კოლექტიური დასავლეთი მაინც თავგამოდებით ცდილობს, ამ ომს გრძელვადიანი ხასიათი მისცეს, საქართველოშიც ამის გამო მატულობს პოლიტიკური ტემპერატურა.**

**— რას გულისხმობთ?**

— მეორე ფრონტის გახსნის მიზნით აფუსფუსდნენ საელჩოები, არასამთავრობო ორგანიზაციები. რამდენიმე თვის წინ ბაკურიანში ტრენინგები გამართა რევოლუციების მოწყობის ერთ-ერთმა ამერიკელმა იდეოლოგმა **პიტერ აკერმანმა.** საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა უარყო, თუმცა, ზუსტად ვიცი, რომ იგი კელი დეგნანსაც შეხვდა და საქართველოში ხელისუფლების დამხობის გეგმაც განიხილეს! ამ მიზნით საქართველოში რახანია, ფინანსები შემოსულია! ის გადანაწილდება ნაციონალურ მოძრაობასა და მის ორბიტაზე მყოფ არასამთავრობოებზე, მერე კი არეულობაც უმალ დაიწყება, თანაც ბევრი დრო აღარ დარჩა!

ნაცები უკვე პირდაპირ აცხადებენ, რომ საქართველო აუცილებლად უნდა ჩაებას რუსეთთან ომში და მეორე ფრონტი გაუხსნას. ნიშანდობლივია, რომ კოლექტიურ დასავლეთს ნაცების გარდა საქართველოში სხვა გამთამაშებელი არ მოეპოვებათ, მხოლოდ ამ ძალაზე დაყრდნობით ახერხებენ ხოლმე ქვეყანაში არეულობის, პროვოკაციებისა და დივერსიების ორგანიზებას. მაგრამ შეიძლება ქართველ ხალხს ერთ მშვენიერ დღეს ეს პროვოკაციები ყელში ამოუვიდეს და ნაცები ისე „გადახნას“, როგორც თავის დროზე ბრეჟნევი ხნავდა ყამირ და ნასვენ მიწებს!

**— და მაინც, რა გზით შეიძლება მოახერხონ ნაცებმა რუსებთან ომში საქართველოს ჩათრევა?**

— საქართველოში მრავლად არიან ის მეომრები, რომლებმაც უკრაინაში საბრძოლო ოპერაციებში მიიღეს მონაწილეობა. ასეთები გახლავან **დავით ქაცარავას, ირაკლი ოქრუაშვილის** დაჯგუფებების წარმომადგენლები. **მაქვს ინფორმაცია, რომ ნაცებს პროვოკაციის მიზნით მოსყიდული ჰყავთ ოსური მხარის წარმომადგენლებიც.**

**ნაცები და ნაცმიდრეკილი პროვოკატორები ამჯერად შარვალს კი არ ჩაიხდიან, არამედ საოკუპაციო ხაზთან განლაგებულ რუსულ ბლოკ-პოსტებს ცეცხლს გაუხსნიან!**

პარალელურად, აქციები გაიმართება მთავრობის სახლთან, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ნაცების მიერ მოტყუებული და ტვინგარეცხილი ადამიანები, პირობითად, **კოლექტიური ბადრი შუბლაძეები. მიტინგზე გაკეთდება განცხადებები, რომელიც სიტუაციას იმგვარად წარმოაჩენს, თითქოს ცეცხლი რუსებმა გახსნეს და ქართველები დახოცეს და თავის მომხრეებს იარაღით ხელში შურისძიებისკენ მოუწოდებენ. ამ დროს იარაღიც გამოჩნდება...**

**— არადა, რუსების ბაზები საქართველოს სამხედრო გზიდან შეუიარაღებელი თვალითაც მოჩანს! ასე ადვილად დათმობენ პოზიციებს?**

— რუსები საოკუპაციო საზღვარს არ გადმოლახავენ და თბილისის მიმართულებით იერიშს არ დაიწყებენ, მათ საკუთარი ბაზების დასაცავად საკმარისზე მეტი შეიარაღება გააჩნიათ, რათა ამ ბაზებზე შეიარაღებული პროვოკატორების შეჭრა არ დაუშვან. **ნურავის ექნება იმედი, რომ, თუ საქართველო რუსეთს მეორე ფრონტს გაუხსნის, მაშინ ჩვენ ამერიკელები დაგვეხმარებიან...** ვიმეორებ — **რუსები იერიშზე კი არ გადმოვლენ, საქართველოში განლაგებულ სამხედრო ობიექტებს და სამხედრო დაჯგუფებების სამალავებს მომაკვდინებელ რაკეტებს — „ისკანდერებს“ დაუშენენ და მიწასთან გაასწორებენ. უკიდურეს შემთხვევაში, შეიძლება, საკუთარი შესაძლებლობების დემონსტრაციის მიზნით თბილისიც დაბომბონ.** მოგეხსენებათ, რუსების წინააღმდეგ უკრაინელების კონტრშეტევაში მონაწილეობას ნატოს საჯარისო შენაერთებიც ღებულობდნენ და საქართველოშიც თუ მსგავსი განმეორდება, იმას მივაღწევთ, რომ დამოუკიდებლობას სამუდამოდ დაკარგავს ქვეყანა — **უკრაინისგან განსხვავებით, რუსებს საქართველოს დამარცხება ერთი ხელის დაკვრით შეუძლიათ!**

**— სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე შეტაკებები მოხდა. ესეც დასავლეთის გეგმის ნაწილი ხომ არ არის რუსეთისთვის მეორე ფრონტის გასახსნელად?**

— ზუსტად ასეა! არცთუ დიდი ხნის წინ აზერბაიჯანმა თურქეთის დახმარებით და რუსების წაყრუებით სომხებს ყარაბაღი გამოგლიჯა. რუსების ყურადღების გადატანის მიზნით შეტაკებები ხდება ტაჯიკეთისა და ყირგიზეთის საზღვარზეც. ამასთან ერთად, პოლონეთში 400 ქალის შემადგენლობით ამზადებენ დივერსიულ ბატალიონს, რომელმაც ბელარუსში ხელისუფლების დამხობაში უნდა მიიღოს მონაწილეობა. **ყველაფერი იმ მიზნით კეთდება, რომ რუსეთის გარშემო, რაც შეიძლება მეტი დაპირისპირების კერა შეიქმნას, რის შედეგადაც რუსეთი და მისი ეკონომიკა დასუსტდება.** საამისოდ უკრაინელების რესურსი დასავლეთს აშკარად არ ჰყოფნის!

**— არადა, უკრაინა ახალ დახმარებას ითხოვს დასავლეთისგან...**

— დიახ, მუშაობს ფულის გათეთრებისა და მოპარული მილიონების ჩამოწერის მექანიზმი. **ამ ბოლო კონტრშეტევითი ოპერაციის შემდეგ ჩამოიწერება ის უზარმაზარი მატერიალური რესურსი, რაც სულ რამდენიმე ადამიანმა დასავლეთს გამოსტყუა.** ამ მასშტაბურ თაღლითობაში მონაწილეობს ამერიკის პრეზიდენტის **ჯოზეფ ბაიდენის შვილი ჰანთერ ბაიდენი,** რომელიც სრულად აკონტროლებს იმ მატერიალურ რესურსებს, რასაც კოლექტიური დასავლეთი უკრაინას რუსეთთან საომარი ხარჯების სახით აძლევს.

**— დავუბრუნდეთ საქართველოს. ჩვენს ხელისუფლებას ეყოფა ძალისხმევა მოსალოდნელი პროვოკაციის შესაჩერებლად?**

— ამჯერად ამაში უკვე ეჭვი მეპარება.

**რუსეთთან ომში საქართველოს ჩაბმის ასარიდებლად მხოლოდ ბიძინა ივანიშვილი და ირაკლი ღარიბაშვილი იღვწიან, ხელისუფლების დანარჩენ ნაწილში ამ მიზნით მზაობას ვერ ვხედავ.**

საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს, ეტყობა, ძალიან გაუტკბა მშვიდობა და ჰგონია, პროცესებში მათი ჩარევის გარეშეც გაგრძელდება სიმშვიდის ხანა. ღმერთმა ნუ ქნას და, ვიდრე ამნაირ ადამიანებს ყუმბარა საკუთარ ბინასთან არ აუფეთქდებათ და ტყვია ყურთან ძალიან ახლოს არ ჩაუზუზუნებთ, მანამდე აზრზე არ მოვლენ! **ხელისუფლებაც და ხალხიც სასწრაფოდ უნდა გამოფხიზლდნენ, რათა მსგავსი ტრაგედია თავიდან ავირიდოთ!**

**ხელისუფლებამ თავდაუზოგავად უნდა იზრუნოს, რათა დაიბრუნოს თავისი მხარდამჭერები, ვისზე დაყრდნობითაც ქვეყნის სათავეში მოვიდა!**

**ხელისუფლებამ უნდა გაუბედოს ამერიკის ელჩს შეპასუხება, როდესაც ის პირდაპირ და უტიფრად აიძულებს რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩასაბმელად.** მხოლოდ ამ გზით შეიძლება დამანგრეველი ომის თავიდან არიდება!

## „უკრაინისგან განსხვავებით, რუსებს საქართველოს დამარცხება ერთი ხელის დაკვრით შეუძლიათ!“

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***

# ედიშერ გვენეტაძე: პირდაპირ ვაცხადებ – ამერიკის ელჩთან სიტუაცია არ უნდა დათბეს!





**პროფესორის პოლიტიკა** ★

***ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ედიშერ გვენეტაძე იმ ე.წ. დათბობის პოლიტიკას ეხმიანება, რომელიც საქართველოს ხელისუფლებისა და ამერიკის ელჩის ურთიერთობაში ბოლო დროს აშკარად შესამჩნევი გახდა, თუმცა, მედალს აქვს მეორე მხარეც:***

— ქალბატონმა დეგნანმა რაც გინდა, ამტკიცოს, რომ უკრაინის ომში საქართველოს ჩაბმა არავის სურს და ამერიკას მსგავსი შავბნელი მიზანი არ ამოძრავებს, არის ტყუილი, რასაც ადასტურებს კონგრესმენ **ადამ კინზინგერისა** და უკრაინელი ხელისბიჭების — **პოდოლიაკის, არესტოვიჩისა და არახამიას** განცხადებები, რომლებსაც ამერიკელები რაც უნდათ, იმას ათქმევინებენ! ამავე მიზანს ემსახურებოდა **მაკ-კეინის ინსტიტუტის** მიერ თბილისში ჩატარებული კონფერენცია რადიკალური ოპოზიციის წასაგულიანებლად, რაც საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების დამხობით და საქართველოს ომში ჩაბმით უნდა დაგვირგვინებულიყო. **ძალიან მიმძიმს, ამას რომ ვამბობ, მაგრამ ამ ყველაფერს თავისი განცხადებებით ამყარებდა და კვერს უკრავდა სწორედ ამერიკის ელჩი!**

**— ბატონო ედიშერ, კელი დეგნანი წინა კვირას ტელეკომპანია „იმედის“ სტუდიაში გამოჩნდა, რაც მრავლისმთქმელი მოვლენაა... როგორ ფიქრობთ, ამერიკის ელჩთან ხელისუფლებამ სიტუაციის დათბობა განიზრახა?**

— პირდაპირ ვაცხადებ: ამერიკის ელჩთან სიტუაცია არ უნდა დათბეს! ქალბატონი დეგნანი მხარს უჭერდა და უჭერს ისეთ ოდიოზურ ძალებს, როგორებიც არიან **ნაცმოძრაობა და ეკა გიგაურის „საერთაშორისო გამჭვირვალობა“**, რომელიც ამერიკელების გრანტებით ფინანსდება. სწორედ ეს ძალები იბრძვიან ხელისუფლების დასამხობად და როგორ შეიძლება ჭკუათამყოფელი კაცი არ იყოს იმის მომხრე, რომ ამოდენა ვეშაპთან, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია, სიტუაცია დალაგდეს? არადა, არ გამოვა ეს ამბავი, რადგან **კელი დეგნანს** ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტიდან და სხვა სტრუქტურებიდან, რომლებსაც სპეცსამსახურები ჰქვიათ, მიღებული აქვს დავალება, რომ მოიქცეს და ილაპარაკოს ისე, როგორც იქცევა და ლაპარაკობს... გაგახსენებთ 2020 წლის დასაწყისს, როცა კელი დეგნანი საქართველოში ელჩად დაინიშნა. ეს ქალბატონი ისეთ განცხადებებს აკეთებდა და საქართველოს დამაქცევარ ნაცებს თავიდან ისე შეუტია, იმთავითვე ვთქვი — მოდით, ქალბატონი დეგნანი საქართველოში წლის ადამიანად გამოვაცხადოთ-მეთქი! მაგრამ როგორც კი ამერიკაში ხელისუფლება შეიცვალა და ტრამპის ნაცვლად პრეზიდენტი ბაიდენი გახდა, ამერიკის მმართველი პოლიტიკური ელიტა ნეოლიბერასტულ მარაზმში აღმოჩნდა, კელი დეგნანმა ფირფიტა გადააბრუნა და ნაცებისა თუ ეკა გიგაურების მეხოტბე გახდა. სწორედ აქედან გამომდინარე ვაცხადებ, **ელჩის თითოეული სიტყვისა და მოქმედების უკან დგას ამერიკის სახელმწიფო და ელჩი ამ განცხადებებს მისი ზემდგომი უწყებების კარნახით აკეთებს!**

**— რატომ და როდემდე არ უნდა შეწყდეს დიპლომატიური ომი ამერიკის ელჩთან?**

— ამერიკის ელჩთან ჩვენი მხრიდან დათბობის პოლიტიკის წარმოება უაზროდ მიმაჩნია, რადგან მას დირექტივა აქვს მიღებული და ყურებზეც რომ გაფიაროთ, მაინც თავისას იზამს. ვფიქრობ, ერთადერთი ფაქტორი, რამაც ელჩისა და ამერიკის მმართველი ელიტის რიტორიკა საქართველოს მიმართ შესაძლოა, შეცვალოს, ამერიკაში ნოემბერში დანიშნული არჩევნებია. **ეჭვი არ მეპარება და დარწმუნებული ვარ, რომ შუალედურ არჩევნებში, სადაც კონგრესის 435-ივე წევრი და სენატორთა ერთი მესამედი უნდა აირჩიონ, ბაიდენი და მისი გუნდი დამარცხდებიან.** არჩევნები ასევე უნდა ჩატარდეს ისეთ კონკურენტულ შტატებში, როგორიცაა ნევადა, არიზონა და ჯორჯია. სანამ ბაიდენის ადმინისტრაცია არჩევნებში კისერს არ მოიტეხს და ამერიკის ხელისუფლების სათავეში რესპუბლიკელები არ მოვლენ, მანამდე ჩვენი საშველი არ იქნება!



ჯო ბაიდენი ველოსიპედიდან უკვე ჩამოვარდა! როდის ჩამოვარდება იგი აშშ-ის პრეზიდენტის სკამიდან?

**— თუ ასეა, მაშ, რისთვის მივიდა ამერიკის ელჩი „იმედში“?**

— **კელი დეგნანი** იმ ტელევიზიებთან მეგობრობს, რომლებსაც საქართველოში გადატრიალების მოწყობა სურთ, მაგრამ, როცა დაინახა, რომ საქართველოს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს არც უკრაინის ომში ჩარევა სურს და არც გადატრიალება, იძულებული გახდა, პროსახელისუფლებო კურსის გამტარებელ ტელეკომპანია „იმედშიც“ მისულიყო! იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ საგანგებო დავალების გარეშე ელჩი არც „იმედის“ სტუდიაში მივიდოდა და ამ ფაქტს ამერიკაში მოახლოებულ შუალედურ არჩევნებს ვუკავშირებ!

**— სააკაშვილი, რომელსაც, ფაქტობრივად, არაფერი აწუხებს, როდემდე უნდა იყოს კლინიკა „ვივამედში“?**

— სააკაშვილი გახლავთ მსოფლიოს ბნელი ძალების „ტროას ცხენი“, რომელიც საქართველოში შემოაგორეს, რათა საჭიროების შემთხვევაში ვითარება აჭრას. დრომ დაადასტურა, რომ საქართველოს მტრები ამას ვერ ახერხებენ და ვერც აწი მოახერხებენ, მაგრამ ეს პოლიტიკური ლეში მაინც ჰყავთ შემონახული. რომ არა მსოფლიოს ნეოლიბერასტული სექტა, სააკაშვილი საქართველოში დაბრუნებას ვერ გაბედავდა. სამწუხაროდ, ამ სექტას მსოფლიოს მასშტაბით უდიდესი გავლენები აქვს!




ჯერ კიდევ მანამ, სანამ ბაიდენი ველოსიპედიდან ჩამოვარდებოდა, ტრამპი „მძინარა ჯოს“ ეძახდა!

**„სანამ ბაიდენის ადმინისტრაცია არჩევნებში კისერს არ მოიტეხს და ამერიკის ხელისუფლების სათავეში რესპუბლიკელები არ მოვლენ, მანამდე ჩვენი საშველი არ იქნება!“**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

# სამარყანდის კონფერენცია

**რუსეთისთვის მომგებიანი და ხანგრძლივად დადებით შედეგზე გათვლილი იქნება ის კონფერენცია, რომელიც თემურ-ლენგის საფლავზე კი არა, დიდი სტალინის საფლავზე გაიმართება!**

*დასაწყისი პირველ გვერდზე*

**ში, მოქმედებასა და აზროვნებაში!“**

ეს იდეოლოგია უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში სასწაულებრივ ძალას იკრებს და **ერთიან კულტურულ და გეოფიზიკურ სივრცესაც** ქმნის, რომელიც ევრაზიის კონტინენტზე დაახლოებით 500 მილიონამდე ადამიანს აერთიანებს.

**კონფერენციაზე „შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციაში“** გააწევრიანეს, ირანი თეოკრატიული სახელმწიფოა და ქვეყანაში, სადაც შარიათის კანონები მოქმედებს, შეუძლებელია, წინასწარ განსაზღვრო, ხვალ-ზეგ რა მოხდება. ირანი უდიდესი და უძველესი ცივილიზაციის მემკვიდრეა, მაგრამ ქვეყანა შესულია ისეთ გეოპოლიტიკურ ჩიხში, საიდანაც თავის დაღწევა მას ძალიან გაუჭირდება. **რუსეთისთვის მომგებიანი და ხანგრძლივად დადებით შედეგზე გათვლილი იქნება ის კონფერენცია, რომელიც თემურ-ლენგის საფლავზე კი არა, დიდი სტალინის საფლავზე გაიმართება!**

ეს უნდა იყოს **ქრისტიანობის ზეიმი,** სადაც მოხდება ჭეშმარიტი ბელადის სრული რეაბილიტაცია და მის სახელს ჩამოშორდება ყველა ის ზადი და სიბინძურე, რაც ბოროტმა

საქართველო უიმედო მდგომარეობაში მხოლოდ მას შემდეგ აღმოჩნდა, რაც თურქებმა ბიზანტია გაანადგურეს და მერე საქართველოსაც შემოუტიეს. **ამიტომ თქმა და ფიქრი იმისა, რომ, თუ დასავლეთი და ამერიკა რუსეთს დაშლიან და კისერს მოუგრეხენ, ამით საქართველოს ეშველება, გონებამოღრეცილი და ჭკუასუსტი კაცის ნაბოდვარს ჰგავს.**

## რუსეთის დანგრევის შემთხვევაში ვინ დაიჭერს მის ადგილს და ვინ გაუმეზობლდება საქართველოს ჩრდილოეთიდან, ამაზე გვიფიქრია?

**საქართველო ვერ შეაჩერებს იმ ჩრდილოკავკასიელ**



1453 წლის 29 მაისი. გამარჯვებული სულთანი მეჰმედ მეორე დაცემულ კონსტანტინოპოლში შედის

**ველურებს, რომლებიც მყისვე ისარგებლებენ უზარმაზარი დერჟავის გაცამტვერებით და გამეორდება ის, რაც ყირიმის ომის დროს შამილმა და მისმა ბანდამ კახეთში, კერძოდ, წინანდალში დაატრიალეს... მეორე დღესვე აღდგება ლეკიანობა!** აღარაფერს ვამბობთ იმ საშინელებაზე, როცა აფხაზეთის ომის დროს მთელი ჩრდილოეთ კავკასია ჩვენ წინააღმდეგ შეიკრა და გადამთიელმა ველურებმა ქართველების თავებით გაგრის სტადიონზე ფეხბურთი ითამაშეს!

**სამარყანდის კონფერენცია** ისტორიას იმაზე მეტად ვერ შეცვლის, რაც სამარყანდში დასაფლავებულმა თემურ-ლენგმა მზისქვეშეთში ერთხელ უკვე შეცვალა, როცა ხალხები და სახელმწიფოები მოსპო.

**ხალხი და ქალაქები უკრაინაში დღესაც ისპობა...**

**ეს უბედურება უნდა შეწყდეს!**

**სამარყანდის კონფერენციით, სადაც „თემურ-ლენგის სული“ დაბორიალობდა, ომი არ დამთავრდება! დიდი ომი, როგორც წესი, პოტსდამის კონფერენციით მთავრდება!**

*დიტო ჩუბინიძე*



პოტსდამის კონფერენცია. ბერლინი. 1945 წლის 17 ივლისი-2 აგვისტო

## პარალელური გეოგრაფიები



**ჩინეთს ადამიანური კუთხით ისეთი ამოუწურავი რესურსები აქვს, „დიდი თურანის“ აგრესიული ზრახვანი ვერას ავნებს ისევე, როგორც თემურ-ლენგმა ვერაფერი დააკლო მას, როცა 1404 წელს ქვეყანაში შეიჭრა, მაგრამ 1405 წლის თებერვალში დღევანდელი ყაზახეთის ტერიტორიაზე ქალაქ ოთრარში სული განუტევა და ჩვენი ჭირიც წაიღო!** ათჯერ უფრო მეტი ვაჭრობა აქვს ჩინეთს ევროპასთან და ამერიკასთან, ვიდრე რუსეთთან... ამიტომ **სი ძინპინი** იმას არავითარ შემთხვევაში არ იზამს, რომ რუსეთის გამო ჩინეთის ეკონომიკა ჩამოაქციოს და მთელი ევროპა და ამერიკა გადაიმტეროს. რაც შეეხება **ირანს,** რომელიც **სამარყანდის** ხრუშჩოვმა და მისმა ხროვამ ფაშიზმის დამსამარებელსა და მსოფლიოს მხსნელს სრულიად დაუმსახურებლად მიაწებეს. ამ კონფერენციაზე მიწვეული უნდა იყოს ქრისტიანული საქართველო და უკრაინა, რომელიც დღეს სისხლისგან იცლება... თუ ეს ასე არ მოხდება, თუ რუსეთის ხელისუფლება თავის სტრატეგიას არ გადახედავს, მაშინ აუცილებლად გამეორდება ის, რაც თურქებმა ევროპელების წაყრუებით და ცრუქაქუნობით **1453 წლის 29 მაისს** კონსტანტინოპოლს დამართეს, როცა ბიზანტიის იმპერია დასცეს და გაანადგურეს. **მართალია, ბიზანტია სისხლს უშრობდა საქართველოს, მაგრამ ბიზანტია საქართველოსთვის დიდი იმედიც იყო...**


ვანეჰალისთესი

2022 წლის 19 სექტემბერი, № 22-23 (146-147)

სარედაქციო კოლეგია

**„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი.** ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com** ელ-ფოსტა: **mail@asavali.com**

ფეისბუქი: **www.facebook.com/Asavali.com** გამოდის **2003 წლის 7 აპრილიდან.**




„კეზერაშვილის მიზანია, ქართველი ჯარისკაცების გვამებზე გაკეთებული მილიარდები როგორმე დაიკანონოს და პოლიტიკურად დევნილის იმიჯი შეიქმნას. ეს დაახლოებით იგივე პროცესია, რისი მომსწრეც ჩვენი საზოგადოება მამუკა ხაზარაძის გაპოლიტიკოსებისას გახდა!“



# ზურაბ ქადაგიძე:

# დავით კეზერაშვილის გეგმით, ნიკა მელია პარტიის ლიდერშიპს უნდა ჩამოსცილდეს და მის ნაცვლად რომელიმე ყურმოჭრილი მონა, მაგალითად, ლევან ხაბეიშვილი დაინიშნოს!

***ანალიტიკოსი ზურაბ ქადაგიძე ნაცსექტაში მიმდინარე პროცესებს მიმოიხილავს და აცხადებს, რომ დავით კეზერაშვილს, რომელიც ნაცმოძრაობასა და „ფორმულას“ აფინანსებს, პარტიაში გამეფებული ტოტალური ბორიაყისა და ბაქქანალიის ფონზე თავისი კონკრეტული მიზნები აქვს:***

— ფაქტია, რომ კლინიკა „ვივამედში“ სააკაშვილის ამდენი ხნით დაყოვნება საქართველოს სახელმწიფოებრიობას ვნებს. თუ მას ისეთი დაავადება ჭირს, რომელიც საქართველოში არ იკურნება, მაშინ სახელმწიფო უნდა მოიქცეს ადეკვატურად, წინააღმდეგ შემთხვევაში **ეს კაცი უნდა დაუბრუნდეს საპატიმრო დაწესებულებას და სასჯელი მოიხადოს ზუსტად იმ პირობებში, როგორშიც დანარჩენი პატიმრები იმყოფებიან!** მოგეხსენებათ, იუსტიციის მინისტრმა განაცხადა, რომ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობას შეისწავლიდა კომპეტენტურ ექსპერტთა ჯგუფი. ვფიქრობ, ეს გამოკვლევა დროზე უნდა ჩატარდეს და სააკაშვილის მდგომარეობა ადეკვატურად შეფასდეს. რა თქვა სააკაშვილის ჯანმრთელობაზე ამერიკელმა **ბოლდსმიტმა** და რას ამბობენ სხვა ექსპერტები, ეს ნაკლებად მნიშვნელოვანია, მთავარია, რას იტყვის სახელმწიფო... აი, ეს არის აუცილებლად და სასწრაფოდ გასაკეთებელი!

**— ბატონო ზურაბ, ნაცსექტიდან ხმები გამოდის, რომ პარტიაში დიდი არეულობაა! კერძოდ, კეზერაშვილი იბრძვის, რათა ნაცმოძრაობის სადავეები ხელში ჩაიგდოს. მაინც რა მიზნები აქვს დავით კეზერაშვილს?**

— დღესავით ნათელია, რომ **ნიკანორ მელიას** პარტიაში არავითარი პერსპექტივა არა აქვს და პარტია, რომლის დღის წესრიგიც თავიდან ბოლომდე ეფუძნება რადიკალიზმსა და შიდა დაპირისპირებას, პროცესების რადიკალიზაციას ვერ ახერხებს. ერთდღიან ეფექტებს ნაცები ასე თუ ისე ქმნიან, მაგრამ პოლიტიკურ პროცესს ვერ აყალიბებენ... რაც შეეხება **დავით კეზერაშვილს,** რაკი იგი ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მსუყე დამფინანსებელია, ფიქრობს, რომ ლეგიტიმური უფლება აქვს, პარტიის ხელმძღვანელობაში გარკვეული გადანაცვლებები მოახდინოს. **დავით კეზერაშვილის გეგმით,** ნიკა მელია პარტიის ლიდერშიპს უნდა ჩამოსცილდეს და მის ნაცვლად რომელიმე ყურმოჭრილი მონა, მაგალითად, **ლევან ხაბეიშვილი** დაინიშნოს! მაგრამ ხაბეიშვილის უბედურება ის არის, რომ მას არამარტო ქართველ საზოგადოებაში, არამედ თვით ნაცსექტაშიც კი არ გააჩნია არავითარი ავტორიტეტი.

ხაბეიშვილს საცირკო სანახაობის მოწყობის უნარი აქვს — სადმე შევარდება, აყვირდება, რაღაცას აჭედავს, სადღაც ბოქლომს ჩამოკიდებს, მაგრამ მას არ გააჩნია ის თვისებები, რაც ნაცსექტას შეკრავს. კეზერაშვილს ასევე უთანხმოება აქვს **კობა ნაყოფიასთან,** რომელსაც ნიკა მელია იცავს... აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, თუ რა სიტყვებით მოიხსენია **რომან გოცირიძემ ნიკა ჩალაძე,** რომელსაც, ფაქტობრივად, „კრისობაში“ დაასდო ბრალი — „ალამუტიდან“ წინა დღით გამოიპარე, გულისტკივილი მოიგონეო!.. გაგახსენებთ, **ჩალაძე** სააკაშვილის უახლოესი გარემოცვის წევრი და ოჯახის ახლობელია... მოკლედ, ნაცპარტიაში ისეთი „ბარდაგია“, ვინ ვის ლანძღავს, ძნელი გასარკვევია!

**— ამ ყველაფრის ფონზე სააკაშვილის გავლენა პარტიაზე შემცირებულია?**

— ცხადია, შემცირებულია, რადგან პარტიიდან ნებისმიერი ინფორმაცია ჟონავს. **დღეს ნაცმოძრაობაზე სააკაშვილის გავლენა იმდენად ნომინალურია, ბოლო განცხადებებს თუ დავაკვირდებით, მის სახელს აღარც კი ახსენებენ.**

**— კეზერაშვილს ვინ აიძულებს, „ფორმულაში“, რომლის რეიტინგიც განულებულია, ფული გადაიხადოს და პარტია დააფინანსოს?**

— **დავით კეზერაშვილს** ამის გაკეთებას აიძულებს საკუთარი მომავალი. იგი ცდილობს, თავისი ფინანსებით პარტიის მთლიანი თუ არა, გარკვეული სეგმენტი მაინც დაიჭიროს. **კეზერაშვილის მიზანია, ქართველი ჯარისკაცების გვამებზე გაკეთებული მილიარდები როგორმე დაიკანონოს და პოლიტიკურად დევნილის იმიჯი შეიქმნას.** ეს დაახლოებით იგივე პროცესია, რისი მომსწრეც ჩვენი საზოგადოება **მამუკა ხაზარაძის** გაპოლიტიკოსებისას გახდა. მოკლედ, იმისათვის, რათა მოპარული მილიარდები შეინარჩუნოს, კეზერაშვილს ნაცმოძრაობა, ან მისი სეგმენტი სჭირდება... ამიტომაც აფინანსებს „ფორმულას“, რომელიც არავითარ ამინდს არ ქმნის და ამიტომაც ეძებს ყურმოჭრილ მონას, რომელიც ნაცსექტაში დასაყრდენად გამოადგება. აი, ეს არის კეზერაშვილის სტრატეგიული ამოცანა...




**— ნაცსექტა საშემოდგომოდ გადატრიალებასა და ხელისუფლების დამხობას გეგმავდა, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ჯერჯერობით მათი გეგმები ჩაფლავებულია, რას იტყვით?**

— კიდევ ერთხელ ვიმეორებ: **არავითარი პერსპექტივა და რესურსი ნაცმოძრაობას არ გააჩნია! სააკაშვილის სექტა, ფაქტობრივად, დაშლილია და დაყოფილია რამდენიმე მტრულ ბანაკად,** სადაც პარტიის ლიდერ **ნიკანორ მელიას** უკანასკნელი სიტყვებით მოიხსენიებენ და მის ლეგიტიმაციას არ ცნობენ! აი, ეს არის უდიდესი პრობლემა. აქედან გამომდინარე, რა გასაკვირია, ნაცმოძრაობას თავისი განზრახვა რომ ჩაუფლავდა და გადატრიალებას ვეღარ აწყობს?




**რაც დრო გავა, სააკაშვილის პარტიის საქმეები კიდევ უფრო აიწეწება და საბოლოოდ ყველაფერი იმით დასრულდება, რომ ეს ბოროტება, რომელმაც ქვეყანას ამდენი უბედურება მოუტანა, ერთხელ და სამუდამოდ განადგურდება.** ვერც სააკაშვილი იქნება კლინიკაში დიდხანს, ეს ამბავი ძალიან მალე უნდა გადაწყდეს და დამნაშავე იქ მიაბრძანონ, სადაც მისი ადგილია!

„სააკაშვილის სექტა, ფაქტობრივად, დაშლილია და დაყოფილია რამდენიმე მტრულ ბანაკად, სადაც პარტიის ლიდერ მელიას უკანასკნელი სიტყვებით მოიხსენიებენ და მის ლეგიტიმაციას არ ცნობენ!“

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

### მიხეილ სააკაშვილი
*პატიმარი*



2012 წელს ლონდონის ოლიმპიადის გახსნაზე ჩავედი, **ბუკინგემის სასახლეში მიღება გაიმართა,** რომელსაც ბევრი სახელმწიფოს მეთაური დაესწრო. მე კიბეზე გამოვედი დასარეკად და სახით კედელთან ვიდექი. **უცებ ვიღაცამ ტელეფონი ხელიდან გამომტაცა, მოვტრიალდი და ხელში შემრჩა დედოფალი** — ბატონო პრეზიდენტო, თქვენ რა, არ იცით, რომ ამ სასახლეში მსგავსი მოწყობილობების გამოყენება არ შეიძლება?! — ღიმილით მითხრა მან.

„აიპრესი“

### გიული ალასანია
*მიხეილ სააკაშვილის დედა*



მიშას ვკითხე, **რატომ ქანაობ-მეთქი** და რა ვქნა, **მექანავებაო!**

„TV პირველი“

### ლევან ხაბეიშვილი
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



„ქართული ოცნების“ დეპუტაციის ძალიან დიდი ნაწილი პირადადაც მხვდება იმასთან დაკავშირებით, რომ **ისინიც ვერ ხედავენ ამ ხელისუფლების პირობებში პერსპექტივას** და მოვა დრო, როცა სახელებით და გვარებით ვილაპარაკებ.

„ახალი თაობა“

### ნიკა მაჭუტაძე
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



**სააკაშვილის** ქართული პოლიტიკისგან გამიჯვნა **ვალერი გელბახიანის** სიტყვებია და არა სააკაშვილის!

„აიპრესი“

### სოსო ცინცაძე
*პოლიტოლოგი*



ნაციონალურმა მოძრაობამ **დიდი ხნით დაკარგა** არჩევნებში გამარჯვების გასაღები.

„ახალი თაობა“

# სვეტიცხოველში ჯვარს

***ახლახან ქუჩაში მეგობარი შემხვდა და გაოგნებულმა მითხრა: სვეტიცხოველში ვიყავი, ნეტავ, რაც ვნახე, არ მენახა — ტაძრის შესასვლელში მარჯვნივ, სადაც ჩვილებს ემბაზში ნათლავენ, უზარმაზარი სამმეტრიანი ჯვრისთვის კონუსისებური ქუდი დაუფარებიათო და თან მის მიერვე გადაღებული ფოტოები მაჩვენა. ვუპასუხე: იქნებ ეგ კონუსი კანონიკურ ფარგლებში ჯდება-მეთქი. — არაო — მითხრა და თან „გუგლის“ საძიებოში სიტყვები — „ჯადოქრის წვეტიანი ქუდი“ ჩაწერა. ღმერთო დიდებულო! — ზუსტად იმ კონუსის მსგავსი ფოტოები არ ამოვარდა?!***



„ჯვრის წინააღმდეგ ბნელი ძალები რახანია, იბრძვიან და გასაკვირი არ იქნება, შავ მაგიასაც მიმართონ. ეს არ არის სახუმარო თემა, საპატრიარქომ, ტაძრების წინამძღვრებმა აუცილებლად უნდა მიაქციონ ყურადღება!“

მეორე დღესვე სვეტიცხოვლისკენ გავემართე, რათა ყველაფერი საკუთარი თვალით მენახა. **ვხედავ, უზარმაზარ ჯვარს მართლაც უცნაური ქუდი ახურავს — სად აღარ ვყოფილვარ, მაგრამ აქამდე არასოდეს მსგავსი არსად მინახავს!** იქვე მახლობლად მღვდელმსახური იდგა. მორიდებით ვკითხე — **ჯვარი ასეთ უცნაურ ფორმაში რატომ არის-მეთქი? — ესაო, ადრე, ეტყობა, გარეთ იდგა და წვიმას და თოვლს რომ არ გაეფუჭებინა, თავზე ქუდი ამიტომ დაამფარესო.** — ახლა ხომ ტაძარში დგას და ქუდი რატომ დაუტოვეს-მეთქი? — **ეგ აღარ ვიცი, ეტყობა, ყურადღება აღარ მიაქციესო.**

პასუხმა აშკარად არ დამაკმაყოფილა. ჩვენი საუბარი კი რამდენიმე მომლოცველმა მოისმინა და მათაც ანალოგიურად გაკვირვება გამოხატეს. ტაძარში ვერავინ ვნახე, ვინც დამაჯერებელ პასუხს გამცემდა, რომ ჯვარი, რომელსაც საკუთარი თვალებით ვუმზერდი, ასეთ ფორმაში ქრისტეს მტრებმა შეგნებულად არ გამოაწყვეს!

მცხეთიდან დაფიქრებული წამოვედი. გზად ჩემს ნაცნობ რამდენიმე მღვდელმსახურს დავურეკე, მაგრამ ვერავინ ვერაფერი მითხრა, ზოგმა კი, როგორც კი შეიტყო, რაც მაინტერესებდა, პასუხის გაცემას შეგნებულად აარიდა თავი.

***თხინვალას წმიდა გიორგის სახელობის მონასტრის წინამძღვარი, მამა მიქაელი (ოთარაშვილი) კი უყოყმანოდ დამთანხმდა კომენტარზე, მიუხედავად იმისა, რომ წინასწარ გავაფრთხილე, მისი პასუხი გაზეთში უნდა დაბეჭდილიყო:***

— ვერ გეტყვით, რასთან შეიძლება გვქონდეს საქმე. ზოგადად, ყველა ტაძარში მიმდინარე მოვლენებზე მისი წინამძღვარი არის პასუხისმგებელი. ასე, მაგალითად, მე პასუხს ვაგებ, რომ ჩემს ტაძარში დაცული იყოს ყოველი მართლმადიდებლური სიმბოლო, ეს იქნება არქიტექტურა, ჩუქურთმა, ფრესკები, ხატები თუ ჯვრები. სულ თავიდან, თუ მრევლი ან ტაძარში მომსვლელი ადამიანი რაიმეს შეამჩნევს, უნდა აცნობოს ტაძრის წინამძღვარს. ისეც ხომ შეიძლება ხდებოდეს, რომ წინამძღვარი არ იყოს საქმის კურსში. თუ რაიმე ცდომილებას ექნება ადგილი, ამის გამოსასწორებლად არსებობს საპატრიარქოს წიაღში მოქმედი სპეციალური კომისიები, ხუროთმოძღვრების განყოფილება, ასევე ქორეპისკოპოსი, ვისაც ასეთი მოვლენების მეთვალყურეობა ევალება. შემდეგ ეს მოვლენა განიხილება საპატრიარქოში და იქ ხდება გადაწყვეტილების გამოტანა — არის თუ არა რაიმე სახის დარღვევა. თუ როგორი უნდა იყოს მართლმადიდებლური სიმბოლო, ყოველივე დადგენილია მსოფლიო მართლმადიდებლურ კრებებზე და ამ დადგენილებებისგან ნებისმიერი გადახვევა დაუშვებელია! ასევე ჯვართან დაკავშირებითაც მოცემულია ყველაფერი — როგორი შეიძლება იყოს მართლმადიდებლური ჯვარი, რამდენად შეიძლება იყოს ჯვრის ზედაპირიდან მაცხოვრის სხეულის ბარელიეფი და სხვა. მე ვერ გაგცემთ პასუხს, ჯდება თუ არა მართლმადიდებლურ ჩარჩოებში. **სწორად მოიქეცით, ამ საკითხის ძიებას რომ შეუდექით, ოღონდ ჩემი რჩევაა, დაიცვათ სუბორდინაცია და საკითხის გარკვევა, უპირველესად, ტაძრის წინამძღვართან სცადოთ.**

●

*სამწუხაროდ, სვეტიცხოვლის ტაძრის წინამძღვრის,* ***მამა სერაფიმეს (ჭედია)*** *ვერ დავუკავშირდით და კომენტარისთვის მიტროპოლიტ* ***ქრისტეფორეს (წამალაიძე)*** *მივმართეთ:*

— როდის იყო, იესო ქრისტეს ჯვარს წვეტიანი ქუდი ხურებოდა? მსგავსი შემთხვევა არ მახსენდება, **ეს არც ქრისტიანობიდან მოდის, არც საერო ტრადიციიდან, ხოლო რაც იესო ქრისტესგან არ მოდის, ის ქრისტეს ეწინააღმდეგება.** როგორც ჩანს, ვიღაცას ძალიან უნდა ჩვენი სარწმუნოებრივი ტრადიციის გარდაქმნა და შეცვლა!

ჩვენ ვცხოვრობთ ეპოქაში, როცა უკეთური ძალები მართლმადიდებლურ სარწმუნოებას გაშმაგებით უტევენ. ფიზიკურად რომ ვერაფერი დაგვაკლეს, ცდილობენ, ყველაფერი შეგვაცვლევინონ, რაც ქრისტეს უკავშირდება! ჯერ ვითომ უვნებელ ცვლილებას გვთავაზობენ, მაგრამ გაივლის ათიოდე წელი და ის „უვნებელი ცვლილება“ დიდი უბედურების მომტანი აღმოჩნდება! ამიტომ მართლმადიდებლობა ჩვენში უნდა იყოს მოწოდების სიმაღლეზე და არ დავუშვათ შესწორებები, რასაც თავს გვახვევენ!

**— იქნებ სულაც შავი მაგიის ხელი ურევია?**

— ბიბლიაში არის მაგალითები, როცა მეომარი მხარეები მოწინააღმდეგის დასაჩოქებლად წყევლას იყენებენ, რისთვისაც მჩხიბავებს მიმართავენ. **ჯვრის წინააღმდეგ ბნელი ძალები რახანია, იბრძვიან და გასაკვირი არ იქნება, შავ მაგიასაც მიმართონ.** ეს არ არის სახუმარო თემა, საპატრიარქომ, ტაძრების წინამძღვრებმა აუცილებლად უნდა მიაქციონ ყურადღება, რომ ვიღაცის ნაწყევლ-ნაჯადოები ჯვრებზე არ დაიდოს და ტაძრებში არ აღმოჩნდეს, ჯვარს ხომ უდიდესი ძალა აქვს, რაც მტერს აშინებს და აღიზიანებს... სად გაგონილა, ჯვარს ქუდი ეხუროს! ეს არ არის სახუმარო!

***საინტერესოა, რას ფიქრობენ ამ საკითხზე საპატრიარქოში? ამის გასარკვევად და-***





**ვშიშობთ, ბნელმა ძალებმა ჯვრის თავზე სრულიად უწყინარი მიზნით გაკეთებული გუმბათი საკუთარ მაგიურ სიმბოლოსთან, ჯადოქრის წვეტიან ქუდთან გააიგივონ და სხვა დატვირთვა შესძინონ!**

## კვირგვინოსნები

**კახა ქემოკლიძე**
*პარტია „საქართველოსთვის“ გენერალური მდივანი*



ნებისმიერი **შტურმი სახელმწიფო ინსტიტუციაზე** დაუშვებელია. **ბახარია** იცავდა და უფრთხილდებოდა პოლიციას. მათ სამწუხარო გადაცდომებსაც თვითონ გადაეფარა 20 ივნისს, **ამ კაცმა ყველაფერი თავის თავზე აიღო!** სხვებისგან განსხვავებით, არც გაქცეულა და არც დამალულა. **ვინც ვადამდელ არჩევნებს ითხოვს, ის, შეგნებულად თუ შეუგნებლად, ეხმარება „ქართულ ოცნებას“.**

„ახალი თაობა“

**ავთანდილ ცინცაძე**
*საბურთალოს რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი*



მთელი ქალაქის მასშტაბით **სკოლები, საბავშვო ბაღები და ბევრი სხვა ტერიტორია გაყიდული დაგვხვდა.** დღეს მათ ჰყავთ კერძო მესაკუთრეები. **ძალიან ძვირი გვიჯდება ჩვენ და ჩვენს მოქალაქეებს ნაციონალური მოძრაობის დანაშაულებრივი ქმედებების გამოსწორება.**

„ინტერპრესნიუსი“

**კახა გოგოლაშვილი**
*ევროპული კვლევების ცენტრის დირექტორი*



**სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე** ბოლო დროს განვითარებული მოვლენები **საქართველოსთვისაც სარისკოა** — თუ გაიზარდა დაპირისპირების ხარისხი, აუცილებლად ჩაერევიან **თურქეთიც და რუსეთიც!**

„ინტერპრესნიუსი“

**გრიშა ონიანი**
*საზოგადოება „სტალინელების“ თავმჯდომარე*



**რუსებო!** ამ გახურებულ ომში, სადაც თქვენი ბედი ბეწვზე ჰკიდია, **სააგიტაციოდ ფილმ „ელიზავეტას“ უკეთებთ პოპულარიზაციას და ერთ სიტყვასაც არ ამბობთ სტალინგრადზე და სტალინზე.** ვფიქრობდი, გაჭირვების ჟამს რუსებს მაინც დასჭირდებოდათ **სტალინის** სახელი. თურმე, არც მაშინ გჭირდებათ.

„ფეისბუქი“

# ქუდი დაახურეს!

***ვით მეფსალმუნის სახელობის მონასტრის მღვდელმსახურს, საპატრიარქოს ციფრული მომსახურების ხელმძღვანელს, მამა მიქაელს (ბრეგვაძე) დავუკავშირდით:***

— რაც სვეტიცხოველში დგას — ეს სტაროპეგიალური, გარეთ დასადები ჯვარია. ასეთი ჯვარი იდგმებოდა ისეთ ადგილზე, სადაც მომავალში ტაძარი უნდა აშენებულიყო და მას სათაყვანო-მომლოცველობითი დანიშნულება ჰქონდა, ტაძრის აშენებამდე დროებით ეკლესიის ფუნქციას ასრულებდა. ასეთი ჯვარი ომებშიც დაჰქონდათ და ბრძოლის წინ მასზე ლაშქარს აფიცებდნენ. რაც სვეტიცხოველში დგას, ალბათ, ისტორიული ჯვარია, მაგრამ სვეტიცხოვლის ვერ იქნება, ისეთი ძველიც არ არის, სვეტიცხოვლის ასაგებ ადგილზე ყოფილიყო აღმართული... რომელიღაც ტაძრიდან იქნება წამოღებული. სვეტიცხოველში, ალბათ, იმიტომ ინახება, რომ მონასტრებისა და ტაძრების დაფუძნება-აშენება სწორედ საკათედრო ტაძრის პრივილეგია გახლდათ, სიწმინდე აქედან გადიოდა და ბეჭდის დასმას უდრიდა, რომ ცენტრალურმა საეკლესიო ხელმძღვანელობამ გასცა კონკრეტულ ადგილზე ტაძრის აშენების ნებართვა. მსგავსი გუმბათოვანი ჯვარი სვანეთშიც არის შემორჩენილი, ლაგურკა ეწოდება. იქ, ალბათ, იმ პერიოდში მოხვდა, როცა ბარში მტრის შემოსევები იყო და, როგორც წესი, სიწმინდეები სვანეთში გაჰქონდათ ხოლმე, რათა მტრის თარეშისგან გადაერჩინათ. ის ჯვარი, რაც სვეტიცხოველშია, განძარცული გუმბათით არის, ანუ მოძრობილი აქვს ქვები და მოკაზმულობა, რაც თავიდან უნდა ჰქონოდა. ცნობილია გუმბათიანი ჯვრები სხვა ქვეყნებშიც. ჩვენში ასეთ ჯვარს ქართული გუმბათი აქვს, სხვაგან — ადგილობრივი, არაქართული.

**— მაგრამ ასე რატომ წააგავს ჯვრის გუმბათი შუა საუკუნეებში მოღვაწე ჯადოქრის ქუდს?**

— როგორც მოგახსენეთ, აღნიშნული ჯვრის გუმბათი განძარცულია და მსგავსებაც ამით აიხსნება. არავითარი მაგიური დანიშნულება აქ არ არსებობს და ჯადოქრის ქუდი არაფერ შუაშია.



## მიტროპოლიტი ქრისტეფორე (წამალაიძე):

**როდის იყო, იესო ქრისტეს ჯვარს წვეტიანი ქუდი ხურებოდა? მსგავსი შემთხვევა არ მახსენდება, ეს არც ქრისტიანობიდან მოდის, არც საერო ტრადიციიდან!**



## მამა მიქაელი (ბრეგვაძე):

**ალნიშნული ჯვრის გუმბათი განძარცულია და მსგავსებაც ამით აიხსნება. არავითარი მაგიური დანიშნულება აქ არ არსებობს და ჯადოქრის ქუდი არაფერ შუაშია!**



## ბოლოთქმის მაგიერ

ყოველ ქრისტიანულ სიმბოლოში გარკვეული ინფორმაცია არის ჩაქსოვილი. ჯვარი კი უდიდესი მისტიკური სიმბოლოა, რომლის ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ფრთებს კონკრეტული დატვირთვა გააჩნია და ჯვრის ცხოველმყოფელი ძალა სწორედ იმაზეა დამოკიდებული, რომ ეს სიმბოლო სწორად, დარღვევების გარეშე იყოს გამოსახული! **აკი, მართლმადიდებლები არ აღიარებენ კათოლიკურ ჯვარს, რომელზეც მაცხოვარს ფეხები პარალელურად კი არა, გადაჯვარედინებულად აქვს მილურსმული. ამბობენ, რომ ასეთი ჯვრიდან ცხოველმყოფელი ძალა არ მოდის! რაში უნდა სჭირდებოდეს ჯვარს გუმბათი? განა რა სიმბოლური დანიშნულება აქვს?** შესაძლოა, წვიმისგან და თოვლისგან დასაცავად ასეთი რამ გამართლებულიც იყოს, მაგრამ **ვშიშობთ, ბნელმა ძალებმა სხვა მიზანი არ ჩააქსოვონ, ჯვრის** მოიპოვება, სადაც აღნიშნულია, რომ **„...პირამიდის ფორმის წვეტიანი ქუდი მუშაობს როგორც ანტენა. გვეხმარება, გავზარდოთ და მივმართოთ ვიბრაცია ქვემოდან ზემოთ. სხვა მოსაზრებით, ის არ გვაშორებს ფიზიკური სამყაროსგან და ასრულებს ერთგვარი იზოლაციის ფუნქციას სულიერ სამყაროსა და ადამიანს შორის...“** ვინ და რატომ მოიტანა ასეთი ჯვარი სვეტიცხოველში, ან რად არ დატოვეს ის ჯვარი იმავე ტაძარში, რომლის აშენებამდეც გარეთ იყო აღმართული? **ვინმე გამიზნულად ხომ არ ცდილობს, ისედაც ყელამდე ცოდვებში მყოფი ქართველი საზოგადოება სულიერად დაიმონოს და თავზე სრულიად უწყინარი მიზნით გაკეთებული გუმბათი საკუთარ მაგიურ სიმბოლოსთან, ჯადოქრის წვეტიან ქუდთან გააიგივონ და სხვა დატვირთვა შესძინონ.** მითუფრო, გაურკვეველია, რატომ დგას უცნაური, ჯადოქრის ქუდის მსგავსი გუმბათოვანი ჯვარი იმ ტაძარში, რომლის საძირკველში თვით მაცხოვრის კვართი ძევს! განა ტაძრის გუმბათი არ არის საკმარისი ყველა იმ საფრთხისგან დასაცავად, რაც ჯვარს წვიმასა და თოვლში ემუქრება? მაინც რა დანიშნულება აქვს პირამიდის მსგავს ქუდს? ინტერნეტში უამრავი მასალა **კოსმოსთან, უფალთან დამაკავშირებელი გზები გადაუკეტოს?** აი, კითხვები, რომლებიც მორწმუნეებს აწუხებთ და ამ კითხვებს აუცილებლად უნდა გაეცეს დამაჯერებელი პასუხი. მე კი, ამ დილემატური საკითხის კვლევის დასასრულ ცნობილი პოეტის და „ასავალ-დასავალის“ რედაქტორის **ლაშა ნადარეიშვილის** მრავალმნიშვნელოვანი ლექსი ამეკვიატა:

**ვისჯებით, ვიდრე გადათხრილია...**

**ყური მიუგდე —**
**დღეს ეს ზარები**
**გულგახეთქილი**
**ტაძრიდან რეკენ, —**
**სადაც კედლების**
**ცივი ბზარებიც**
**კვლავ ჩუქურთმები**
**ჰგონია რეგვენს.**
**ძმამ გაიმეტა**
**გუშინ აბელი,**
**მერე სენაკში**
**შევიდა ლოცვად...**
**ბადეში ოქროს**
**თევზის გამბმელი**
**ყველა მოკვდავი**
**ამაოდ მოცდა!**
**გუმბათზე ჩუმად**
**ჩამოჯდა ყვავი,**
**დაიყრანტალა**
**და რაღაც გვითხრა...**
**გსურს, იბატონო? —**
**მაშინ, დაყავი! —**
**რომ ვერ იპოვო**
**უფალი დიდხანს!**
**როცა სიმართლე**
**თვალდათხრილია,**
**მართავს ეშმაკი**
**სოფელს ანარევს...**
**ვისჯებით, ვიდრე**
**გადათხრილია**
**გაბრიელ ბერის**
**თბილი სამარე!**

*მოამზადა*
***ზაზა დავითაია***

## კვირგვინოსნები



**ირაკლი რუხაძე**
*ტელეკომპანია „იმედის“ მფლობელი*

**უნდათ, რომ გამომიყვანონ, როგორც ბუა, ცუდი ადამიანი,** მაგრამ რატომ ვარ ცუდი ადამიანი მათთვის? იმიტომ, რომ „იმედს“ ვფლობ. **დიახ, მათთვის ძალიან ცუდი ადამიანი ვარ ამ კუთხით,** რადგან, სანამ ეს ტელევიზია არსებობს, **ყველა ლეგალურ მეთოდს გამოვიყენებთ, რომ ნაცმოძრაობა ამ ქვეყანაში ხელისუფლებაში ვერ მობრუნდეს.**

„XNEWS.GE“



**ირაკლი მელაშვილი**
*ექსპერტი*

ჩვენ 20 წელია, ამ პოლიტიკას ვაწარმოებთ, რომ **ბოლომდე მივაბათ აფხაზეთი რუსეთს.** ჩვენ თუ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა გვინდა და ამ ხალხთან ერთად ცხოვრება, იდეა იმის თაობაზე, რომ ვიღაცა მოვა და აფხაზებს ყურს აუწევს და ეტყვის, რომ **„თქვენ საქართველოში უნდა იცხოვროთ“** და აფხაზები ამას დასთანხმდებიან, ეს არის აბსურდი!

რადიო „პალიტრა“



**მიხეილ სარჯველაძე**
*პარლამენტარი*

არსებობენ ძალები, რომლებსაც აქვთ სურვილი, აქ **„მეორე ფრონტი“** გახაღდეს, მაგრამ **ვინ შეიძლება ამის უკან იდგეს,** საჯაროდ ვერ ვისაუბრებ.

„GTMEDIA“



**ირაკლი ქადაგიშვილი**
*პარლამენტარი*

მიუხედავად იმისა, რომ **ჩვენ გარშემო ცხელი და დამანგრეველი ომი მიმდინარეობს,** უნდა მოვახერხოთ და ქვეყანა სამშვიდობოზე გავიყვანოთ.

„რეზონანსი“

# პატიმარ სააკაშვილის ციხეში საკითხავი

# სააკაშვილის „ძალის გამოღვიძება“ და რუსთავის საპყრობილეში მიძინება!




***„ასავალ-დასავალი“ აგრძელებს მიხეილ სააკაშვილის ქართულ ენაზე დასტამბული მემუარების მიმოხილვას. ეს წიგნი ნაცთა ფიურერმა ჯერ კიდევ უკრაინაში ცხოვრებისას გამოსცა და იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც სწორედ ამ ნაშრომით გეგმავდა საქართველოში სარევოლუციოდ „ძალის გამოღვიძებას“, როგორც ადოლფ ჰიტლერი თავისი „მაინ კამპფით“, ანუ „ჩემი ბრძოლით“!***

მიხეილ სააკაშვილი აგვისტოს ომის პერიპეტიების გახსენებისას არაერთ მამალ ტყუილს აბრეხვებს! მაგალითად, მემუარისტი გვიყვება, როგორ გადაარჩინეს სანაპირო დაცვის კატარღები ფოთში:

***„რუსულმა ჯარმა ფოთი დაიკავა. ფოთში ასი მილიონი დოლარის ღირებულების, ძალიან თანამედროვე სანაპირო დაცვის კატარღები იდგა. კატარღების ნაწილი ამერიკელებმა იყიდეს, ნაწილი კი — ჩვენ.*** *რუსმა სამხედრომ გამოიძახა ადგილობრივი ხელმძღვანელი და უთხრა:* ***„მე ძალიან არ მომწონს თქვენი კატარღები, მაგრამ საოცრად დაღლილი ვარ და ახლა მათი აფეთქების დრო არ მაქვს. წავალ, გამოვიძინებ. ხვალ კი ზუსტად ამ დროს დავბრუნდები. ხომ გამიგე, რაც გითხარი? ჩვენ კატარღები სასწრაფოდ თურქეთში გავიყვანეთ“*** *(მ. სააკაშვილი, „ძალის გამოღვიძება“, გვ. 183).*

ჯერ ერთი, რუსეთის ჯარის ფოთში შესვლამდე რატომ დატოვეს იქ 100 მილიონი დოლარის ღირებულების კატარღები?! მათი ბათუმში გაყვანა იყო საჭირო, კოსმოსში გაფრენა ხომ არა?!

მეორეც, როგორ წარმოგიდგენიათ რუსი სამხედრო მეთაური, რომელიც ამხელა ქონებას არ მიითვისებდა, როდესაც რუსი ჯარისკაცები უნიტაზებსაც კი იპარავდნენ. უბრალოდ, მემუარისტი ცრუპენტელობს, ვითომ სამხედრო ქონება გადავარჩინეთო.

სააკაშვილი კრინტსაც არ ძრავს, იმავე ფოთის ბაზაზე როგორ დაუტოვა რუსებს ძვირფასი დაჯავშნილი ამერიკული „ჰამერები“, რომლებიც რუსებმა დიდი ზარ-ზეიმით მიითვალეს სამხედრო ალაფში.

და, საერთოდ, სააკაშვილის რეჟიმმა არცერთი სამხედრო ბაზა არ დანაღმა და არ ააფეთქა მილიონობით დოლარის ღირებულების იარაღით სავსე სამხედრო საწყობები — ასე ლანგარზე მიართვა რუსებს.

სააკაშვილის ბიძა — კაგებეშნიკი **თემურ ალასანია,** რომელიც რუსებთან ერთად იარაღის ბიზნესში იყო ჩართული, აგვისტოს ომისას, ალბათ, დიდ მოგებას იმავე რუსებთან ერთად სადღესასწაულო შამპანურით აღნიშნავდა.

სააკაშვილი იხსენებს, როგორ ელაპარაკა ჯერ კიდევ აგვისტოს ომის დაწყებამდე ნატოს გენერალურ მდივანს:

***„ჯერ კიდევ 6 აგვისტოს, მედვედევთან დაკავშირების ამაო მცდელობის შემდეგ, საქართველოში განვითარებული მოვლენების თაობაზე ვაცნობე NATO-ს გენერალურ მდივანს იაპ დე ჰოპ სხეფერს, თუმცა, ვუთხარი მხოლოდ ის, რისი თქმაც ღია არხით შემეძლო.*** *შემდგომში ის სულ მეკითხებოდა, ყველაფერი დაწვრილებით რატომ არ მოვუყევი.* ***ჩვენს საუბარს რუსები ნამდვილად უსმენდნენ, მე კი არ მინდოდა, მათ გაეგოთ, რომ ჩვენ უფრო მეტ ინფორმაციას ვფლობდით, ვიდრე მათ ეგონათ“*** *(იქვე, გვ. 183).*

სააკაშვილი ან მართლა კრეტინია, ანდა, ჩვენ ვგონივართ კრეტინები. თუ მას ნატოს გენერალურ მდივანთან მართლა რაიმე მნიშვნელოვანის თქმა სურდა, რა საჭირო იყო ეს კლოუნადა — აუ, რუსები გვისმენენ და ყველაფერს ვერ გეტყვიო! სპეცრეისი ბრიუსელში და საგანგებო დავალებათა ელჩი სულ რაღაც სამ საათში პირადად ჩაუტანდა ნატოს გენერალურ მდივანს სააკაშვილის გზავნილს! მაგრამ არაფერიც არ ჰქონდა სააკაშვილს **სხეფერთან** სათქმელი და...

თუ 6 აგვისტოს სააკაშვილს ნატოს გენერალური მდივნისთვის განსაკუთრებული ინფორმაცია ჰქონდა რუსეთის არმიის საქართველოზე თავდასხმის შესახებ, მაშინ თავისი ხელით რატომ დაწერა მემუარებში, 7 აგვისტოს პეკინის ოლიმპიადის გახსნის ცერემონიალზე გასაფრენად ვემზადებოდიო?! ამ პათოლოგიას, თუ რუსეთის არმიის საქართველოში შემოჭრის შესახებ იცოდა, რა პეკინ-ოლიმპიადებოდა?!

შემდეგ სააკაშვილი იხსენებს, როგორ ჩამოიყვანა თბილისში უკრაინისა და პოლონეთის პრეზიდენტები:

***„როდესაც რუსეთის ჯარმა ცხინვალის დაცვა გაარღვია და თბილისისკენ წამოვიდა, იუშჩენკოს დავუკავშირდი. სასწრაფოდ ჩამობრძანდით, ვუთხარი მე, ჩამოვიდნენ ყველა, ვისაც შეუძლია, წინააღმდეგ შემთხვევაში, უკვე გვიან იქნება.***

***იუშჩენკო თავის სიმდიდრეზე აღმოჩნდა. იგი დაუკავშირდა ლეხ კაჩინსკის. უფრო მეტიც, შეეცადა, შეეჩერებინა სევასტოპოლიდან რუსეთის ფლოტის გასვლა. საშუხაროდ, საქმიდ გვიან შეატყობინეს. გემები უკვე ზღვაში იყო გასული“*** *(იქვე, გვ. 184).*

ანუ სააკაშვილმა უკრაინის დაზვერვას გადააბრალა ის, რაც პირადად მისი დანაშაული იყო სააკაშვილი საგანგებოდ კეთილმოსურნე **ტიმოშენკოს** — აგვისტოს ომის დროს უკრაინის პრემიერ-მინისტრს:

***„ტიმოშენკო უცნაურად მოიქცა. მან საქართველოში რუსეთის აგრესია არ დაგმო და არათეციალურად ჩვენ გვაკრიტიკებდა. ფაქტობრივად, იგივე პოზიცია დაიჭირა, როგორიც დღეს ბევრმა ლიდერმა, რომელთა აზრით, „ამ ისტორიით“ სააკაშვილმა ყველა მათგანი საფრთხეში ჩააგდო“*** *(იქვე, გვ. 184).*

შემდეგ სააკაშვილი იხსენებს, როგორ ჩამოვიდა მოსკოვიდან თბილისში საშვიდობო გეგმით იმ დროის ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის — საფრანგეთის პრეზიდენტი **ნიკოლა სარკოზი:**

***„ჩვენ პარლამენტის შენობასთან მივედით, რომლის წინ უამრავ ადამიანს მოეყარა თავი. სარკოზის შეეთავაზე, თბილისელების წინაშე სიტყვით გამოსულიყო. მან შეხვედრას თავი აარიდა: „ამ საქმეში ნუ გამრევთ. მე მხოლოდ მომლაპარაკებელი ვარ და ნეიტრალური პოზიცია უნდა მქონდეს“ — მითხრა მან.*** *ჩვენ შენობაში შევედით. სარკოზიმ თავისი საშვიდობო გეგმის ექვსი პუნქტი გაგვაცნო... მეექვსე პუნქტი აღნიშნული იყო, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სტატუსი გადაწყდება მოგვიანებით, საშვიდობო მოლაპარაკებების პროცესში.* ***სიხამდვილეში საუბარი იყო ტერიტორიების წართმევაზე. ეს ქაღალდი სარკოზის უკან მივუგდე: „შენ, ალბათ, ხუმრობ. მე ამას ხელს ცხოვრებაში არ მოვაწერ“*** *(იქვე, გვ. 185).*

არადა, აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ სტატუსის შესახებ საერთაშორისო მოლაპარაკებები არანაირად არ ნიშნავდა ტერიტორიების წართმევას, რადგან ეს მოლაპარაკებები ევროკავშირის მონაწილეობით გაიმართებოდა და საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში იგულისხმებოდა ამ ტერიტორიების დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით.

მემუარისტი იქვე იხსენებს, ექსპერტიანი შეთანხმების ხელმოწერაზე უარის გამო, როგორ გამოვიდა წყობილებიდან **სარკოზი:**

***„სარკოზმა მოთმინება დაკარგა და ყვირილი დაიწყო — რომ მე არაფერი მესმის, რომ რუსები ხვალვე თბილისში იქნებიან. „შენმა მეგობარმა პუტინმა ხომ არ გამოგიგზავნა ჯარისკაცები, მეც არ მყავს ჯარისკაცები, შენ რომ დაგეხმარო! შენი საქმე წასულია. ხომ გითხარი, მას შენი ჩამოხრჩობა უნდა და ამას გააკეთებს. ვიცი, რომ არ ხუმრობს“ — და ბევრი მსგავსი რამ.***

***„კარგი, აბა სცადოს“ — ვუპასუხე მე, „მაგრამ ამ გეგმას ხელს არასოდეს მოვაწერ“*** *(იქვე, გვ. 185).*

მოკლედ, სააკაშვილი გვიმტკიცებს, რომ მოსკოვის შეხვედრაზე, რუსეთ-საქართველოს საშვიდობო გეგმის შემუშავებისას, პუტინმა **სარკოზის** პირადად გაუმხილა — **სააკაშვილის ჩამოხრჩობა მაქვს გადაწყვეტილი და, დედას გეფიცები, არა ვხუმრობ!**

სააკაშვილის უარის შემდეგ, ხელი მოეწერა ასეთ საშვიდობო გეგმაზე, სარკოზი მოსკოვში დაუკავშირდა მაშინდელ რუსეთის პრეზიდენტ **მედვედევს**, მაგრამ საფრანგეთის პრეზიდენტს უთხრეს, ახლა რუსეთის პრეზიდენტი იძინებს და ვერ დაგელაპარაკებათო!

მემუარისტი იხსენებს, რომ ამასობაში სარკოზი თავის მეუღლეს **კარლა ბრუნის** ურეკავდა პარიზში და დეტალურად უყვებოდა, ქართველები საშვიდობო გეგმის ამა და ამ პუნქტზე თანხმობას არ აძლევენო:

***„სარკოზის მეუღლესთან მორიგი საუბრის შემდეგ მოულოდნელად მედვედევმა „გამოიღვიძა“ და გადმორეკა. იგი მეექვსე პუნქტის ამოღებაზე დაგვეთანხმა, რომელშიც ტერიტორიების დია სტატუსზე იყო საუბარი — მხოლოდ უსაფრთხოების ზონა დარჩეს, აღნიშნა მან. მე სარკოზის ვუპასუხე, რომ ხელს არ მოვაწერდი, თუ უსაფრთხოების ზონის გაუქმების ზუსტ ვადებს არ დავადგენდით. მედვედევი ამაზეც დაგვეთანხმა. ეს ერთადერთი პუნქტი იყო, რომელიც ნაწილობრივ დაეთმეთ“*** *(იქვე, გვ. 186).*

მოკლედ, სააკაშვილი თავად წერს, როგორ უპრობლემოდ დათანხმდა მედვედევი იმ ავადსახსენებელი მეექვსე პუნქტის ამოღებას, რადგან ამით რუსეთს ხელ-ფეხი გაეხსნა, 12 აგვისტოს საშვიდობო შეთანხმებიდან სულ ორიოდე კვირაში, 26 აგვისტოს, ოფიციალურად ეღიარებინა აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობა!

დიახ, სააკაშვილი რომ დათანხმებოდა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის სამომავლო სტატუსის განსაზღვრას, ეს წლების მანძილზე გაიწელებოდა და რუსეთს აღარ ექნებოდა საბაბი, ეთქვა — **აგერ, საქართველო უარს ამბობს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის სტატუსზე საშვიდობო მოლაპარაკებებზე, ჰოდა, სააკაშვილმა ისევ ომი რომ არ დაიწყოს, ჩვენ ამ ტერიტორიებს დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ვაღიარებთ და მათთან სამხედრო დახმარების ხელშეკრულებებსაც ვაწერთ ხელსო!**

აი, ასე დაეხმარა სააკაშვილი რუსეთს საქართველოს ძირძველი ტერიტორიების „დამოუკიდებელ სახელმწიფოებად“ აღიარებაში!

**გიორგი გიგაური**

გაგრძელება იქნება




ლია: ცხინვალის დაცვა რუსეთის ჯარმა 9 აგვისტოს გაარღვია, ომი კი 8 აგვისტოს დაიწყო! ანუ როდესაც სააკაშვილი იუშჩენკოს ტელეფონით ელაპარაკა, რუსული ფლოტი სევასტოპოლიდან კარგა ხნის დაძრული იყო აფხაზეთისკენ! და სააკაშვილმა ხომ ზუსტად იცოდა რუსეთის შეიარაღებული ძალების საქართველოზე თავდასხმის გეგმა?! რატომ მანამდე არ დაუკავშირდა უკრაინის პრეზიდენტს, სევასტოპოლიდან რუსული ფლოტის გამოსვლა არ დაუშვითო?!

## 30

## მიხეილ სააკაშვილი:

# სარკოზიმ მითხრა, პუტინს შენი ჩამოხრჩობა უნდა და ვიცი, რომ არ ხუმრობსო!

## კეირგვინოსნები



**კირა ანდრონიკაშვილი**

*მსახიობი*

ძალიან მიყვარს ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხე, კახეთზე ხომ ვგიჟდები და არანაკლებად ძვირფასია სხვა კუთხეებიც... არ ვამბობ, რომ ჩვენი ქვეყანა ვინმეს ჩავაბაროთ, პირიქით, ყველა გოჯს უნდა გავუფრთხილდეთ, თუმცა, **აფხაზეთში ჩვენი მხრიდან ყველაფერი იმპულსურად იყო გადაწყვეტილი ისევე, როგორც 2008 წელს სამაჩაბლოში.** როგორც **ჭაბუა ამირეჯიბმა** თქვა, ჩვენ ობოლი ერი ვართ. ძალიან ძნელია, ასეთ გარემოცვაში თავი გადაირჩინო, მაგრამ **ღვთისმშობლის მადლით ჩვენ მაინც ვარსებობთ.**

„კვირის პალიტრა“



**ირმა სოხაძე**

*მომღერალი*

სამწუხაროდ, **არცერთი შვილიშვილი არ მღერის.** ამას თავიდან განვიცდიდი, მაგრამ ახლა ვფიქრობ, რომ მთავარია, კარგი ადამიანები გაიზარდონ.

„კვირის პალიტრა“



**ეკა კვალიაშვილი**

*მომღერალი*

სამი შვილიშვილი მყავს. **მე ბებიას ვეძახი, მაგრამ ესენი ცოცხალი თავით არ მეძახიან ბებოს** — ეკა და მორჩა!

„კვირის პალიტრა“

# რა იწვევს შემოდგომის დეპრესიას?





***შემოდგომას ჩვენი ორგანიზმისთვის დიდი ცვლილებები მოაქვს. ცნობილი ჰომეოპათი, ექიმი კახა საბახტარიშვილი იმ მიზეზებს ჩამოთვლის, რის გამოც შემოდგომა დეპრესიულ ფონს ქმნის და ჩვენს ჯანმრთელობას სერიოზულად ემუქრება:***

## კახა საბახტარიშვილი:

# შემოდგომაზე სუსტი ნერვული სისტემის მქონე ადამიანებში თვითმკვლელობის რისკი იზრდება!



## „თუ გვინდა, შემოდგომის დეპრესია დავამარცხოთ, ტრიპტოფანით მდიდარი საკვები მივირთვათ!“

— ზაფხულის სეზონის დამთავრება და შემოდგომის დადგომა ადამიანის ფსიქიკაზე უდიდეს ზეგავლენას ახდენს. შემოდგომაზე სუსტი ნერვული სისტემის მქონე ადამიანებში სუიციდის, ანუ თვითმკვლელობის რისკი იზრდება. გარდა ამისა, ხშირია ფსიქიკური აშლილობებიც. ადამიანებს, რომლებიც ფსიქოტროპული პრეპარატებით მკურნალობენ და მთელი ზაფხულის განმავლობაში თავს კარგად გრძნობენ, შემოდგომაზე მდგომარეობა მკვეთრად ეცვლებათ. ისინი ხშირად ხდებიან დეპრესიულები და მელანქოლიურები. **ნერვული სისტემის მხრივ აბსოლუტურად ჯანმრთელი ადამიანიც კი შემოდგომაზე შესაძლოა, გახდეს მოწყენილი, პესიმისტი, მოეძალოს ცუდი აზრები და ფიქრები, არადა, ამ დროს ცუდად ყოფნის არავითარი ობიექტური მიზეზი არ არსებობს.**

**— ბატონო კახა, კი მაგრამ, შემოდგომაზე რა ხდება ისეთი, რომ ადამიანის ფსიქიკა უარესობისკენ იცვლება?**

— იმის გამო, რომ შემოდგომაზე დღე მოკლდება და ღამე გრძელდება, ბუნებრივია, მზის სხივების ინტენსივობაც იკლებს. შესაბამისად, ბედნიერების ჰორმონის **სეროტონინის** რაოდენობა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ დღის შუქზე წარმოიქმნება, ორგანიზმში მცირდება. პარალელურად იზრდება ძილის ჰორმონის **მელატონინის** გამომუშავება, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ სიბნელეში წარმოიშობა. ის ორგანიზმის ფუნქციონირებაში უდიდეს როლს ასრულებს, მაგრამ მისი სიჭარბე დეპრესიას იწვევს. მოკლედ თუ ვიტყვით, **შემოდგომაზე ჩვენს ორგანიზმში ძილის ჰორმონი მელატონინი მატულობს, ხოლო ბედნიერების ჰორმონი სეროტონინი შემცირებულია!**

**— მაინც სად გამომუშავდება ბედნიერების ჰორმონი სეროტონინი და რა უნდა გავაკეთოთ მისი რაოდენობის გასაზრდელად?**

— ბევრი ფიქრობს, რომ დადებითი ემოციები და განწყობა მხოლოდ თავის ტვინს უკავშირდება. ეს ნაწილობრივ სიმართლეა, რადგან სეროტონინის ნაწილი თავის ტვინში მდებარე ეპიფიზში გამომუშავდება, რომელიც ზომით ნუშის მარცვლისხელაა, მაგრამ უდიდესი ფუნქციის მატარებელი. ძველად მას „მესამე თვალსაც“ კი უწოდებდნენ. რაც გინდა, უჩვეულოდ მოგეჩვენოთ, **ბედნიერების ჰორმონ სეროტონინის 80 პროცენტი კუჭნაწლავში გამომუშავდება, ანუ შეიძლება ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ითქვას, რომ ბედნიერების გზა მართლაცდა კუჭზე გადის!** აქედან გამომდინარე, ძალიან მარტივი ასახსნელია ის ამბავი, რომ შემოდგომის დადგომასთან ერთად ადამიანს უფრო მეტი საკვების მიღების მოთხოვნილება უჩნდება.

**— ბედნიერების ჰორმონის წარმოქმნასთან საკვები რა კავშირშია?**

— არსებობს ამინომჟავა **ტრიპტოფანი,** რომელსაც ადამიანი სხვადასხვა საკვებთან ერთად იღებს. მსხვილ ნაწლავში მობინადრე სასარგებლო ბაქტერიები, რომელთა რიცხვი დღე-ღამის განმავლობაში 17 ტრილიონს აღწევს და მათი საერთო მასა 3-4 კილოგრამს შეადგენს, ამინომჟავა ტრიპტოფანს ბედნიერების ჰორმონ სეროტონინად გარდაქმნის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ, თუ გვინდა, შემოდგომის დეპრესია დავამარცხოთ, **ტრიპტოფანით** მდიდარი საკვები მივირთვათ!

**— მაინც რომელია ტრიპტოფანით მდიდარი საკვები?**

— ტრიპტოფანის შემცველობით ჩემპიონობას არავის უთმობს **ბანანი.** ის არამარტო ბევრ სასარგებლო ნივთიერებას შეიცავს, არამედ ძალზე მდიდარია ვიტამინ B6-ით, რომელიც ტრიპტოფანის სეროტონინად გარდასაქმნელად არის აუცილებელი. გარდა ამისა, ბანანი შეიცავს სასარგებლო ნახშირწყლებს, რომლებიც ორგანიზმს ენერგიას აძლევენ და თავის ტვინს კვებავენ. არაფერს ვიტყვი ბანანში შემავალ **კალიუმზე,** რომელიც გულ-სისხლძარღვთა სისტემისთვის სწორედ რომ მისწრებაა! ასე რომ, ზოგიერთის ირონიული დამოკიდებულება და განცხადებები იმის შესახებ, რომ თითქოს „ბანანი მაიმუნების საჭმელია“, კრიტიკას ვერ უძლებს! **სწორედ ბანანი და მზის სხივების ინტენსივობა განაპირობებს იმ ფაქტს, რომ სკანდინავიის ქვეყნებში, სადაც ცხოვრების დონე ძალიან მაღალია, მაგრამ დღის შუქი — მცირე, გაცილებით მეტია დეპრესიის ნიადაგზე გამოწვეული თვითმკვლელობათა რიცხვი, ვიდრე ლათინური ამერიკის ქვეყნებში, სადაც ცხოვრების დონე ძალიან დაბალია.**



## „ტრიპტოფანით ძალიან მდიდარია კვერცხი, ინდაურის ხორცი, ყველა სახის თევზეული და განსაკუთრებით წითელი ჯიშის თევზი!“

ტრიპტოფანით ძალიან მდიდარია კვერცხი, ინდაურის ხორცი, ყველა სახის თევზეული და განსაკუთრებით წითელი ჯიშის თევზი... შემოდგომაზე სეროტონინის გამოსამუშავებლად ძალზე კარგია დღეში 35-40 გრამი **მზესუმზირის** მიღება. ამით სეროტონინის დღიურ დოზასაც შევავსებთ და ორგანიზმს მაგნიუმსაც მივაწვდით, რომელიც ნერვული იმპულსების გამტარიანობას განაპირობებს და დამამშვიდებელი მოქმედებაც გააჩნია. მზესუმზირა საუკეთესოა მეხსიერების გასაუმჯობესებლად. შემოდგომის დეპრესიის დასამარცხებლად **სელის ზეთის** თუნდაც სამი-ხუთი გრამი შეუდარებელია. იგი შეიცავს **„ომეგა-3“-სა და „ომეგა-6“-ს.** ეს უძვირფასესი ცხიმოვანი მჟავები ნერვული სისტემის შეუცვლელი საშენი მასალაა. ამასთან, შემოდგომაზე რაც შეიძლება ბევრი მწვანე ჩაი უნდა მივიღოთ, რადგან ასევე უწყობს ხელს ბედნიერების ჰორმონის **სეროტონინის** გამომუშავებას!




**— კვების გარდა, კიდევ რა ფაქტორები განაპირობებს შემოდგომაზე სეროტონინის რაოდენობის გაზრდას?**

— რადგან შემოდგომით დღის შუქი ნაკლებია და ამის გამო სეროტონინი ნაკლებად გამომუშავდება, **ვეცადოთ, რომ ყველა ოთახში გვენთოს ე.წ. დღის შუქის ეფექტის მქონე ნათურები...** ხშირად დავობენ იმაზე, რომელი ნათურაა უკეთესი — ყვითელი თუ თეთრი? **ერთხელ და სამუდამოდ დავიმახსოვროთ — ყვითელი ნათურა ჯანმრთელობისთვის უსარგებლოა და სახლიდან მოვაშოროთ!**

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**მალხაზ დოლიძე**
*პურის მცხობელთა ასოციაციის ხელმძღვანელი*



ქალაქის მერი რომ ვიყო, **გამოვუყოფდი პურის მსხვილ მწარმოებლებს ადგილებს მეტროებთან, ხალხმრავალ ადგილებში და თვითღირებულებით გავაყიდვინებდი პურს** და დაინახავდით, ეს მაღაზიებზე როგორ იმოქმედებდა. 1996 წელს **ლიბერალიზაციის კანონი** რომ შემოიღეს, სახელმწიფომ მოიხსნა პასუხისმგებლობა, პური გახდა მთლიანად კერძო ბიზნესი და გეუბნება, მე ფასებს ვერ დავაწესებო. მაშინ სახელმწიფოს **ხორბლისა და ფქვილის მარეგულირებელი კომისიაც** ჰყავდა და ბაზარზე ფასებს არეგულირებდა, **ლიბერალიზაციის კანონის** შემდეგ კი ეს ყველაფერი გაქრა. თუმცა, ვხედავ, რომ საჭიროა.

„კვირის პალიტრა“

**ანზორ მესხიშვილი**
*აგრარული დარგის სპეციალისტი*



საქართველოში შიმშილობა არ იქნება, რადგან, წინასწარი მონაცემებით, **ხორბლის მოწოდების მხრივ პრობლემა არ გვემუქრება.** არც სხვა საკვების დეფიციტია მოსალოდნელი.

„რეზონანსი“

**ზურა ბალანჩივაძე**
*ტელეწამყვანი*



**ცირკის ორივე მხარეს** არსებული ქვის მოპირკეთება, რომელიც, ალბათ, ყველას გვაქვს შემჩნეული, **საფლავების ქვებით არის შესრულებული.** თუ კარგად დააკვირდებით ამ ქვის ფილებს, მათზე წარწერებს აღმოაჩენთ. **პარლამენტის უკან, ინგოროყვა-ჩიტაძის ქუჩების კვეთასთან დგას,** ერთი შეხედვით, უწყინარი შენობა, რომელშიც **ათასობით ადამიანს გამოუტანეს სასიკვდილო განაჩენი,** რომელთა შორის იყვნენ მწერალი **მიხეილ ჯავახიშვილი,** მხატვარი **დიმიტრი შევარდნაძე,** თეატრის მხატვარი **პეტრე ოცხელი,** რეჟისორი **სანდრო ახმეტელი,** დირიჟორი **ევგენი მიქელაძე,** გენერალი **გიორგი მაზნიაშვილი** და სხვები.

„თბილისელები“

**თემურ თათარაშვილი**
*მომღერალი*



**ახალი ბრალდება** წამიყენა ერთმა ბოროტმა და შეუმდგარმა არსებამ — **თურმე, სიდედრისთვის წართმეული ქონებით ვცხოვრობ!**

„ახალი თაობა“

# ზელენსკის კიდევ ერთი რუპორი ქართველებს აფხაზებისა და ოსების ხოცვისკენ მოუწოდებს!



ფიოდორ ვენისლავსკი „ტვ პირველის“ ეთერში

***„ასავალ-დასავალის“ წინა ნომერი, რომელშიც ვწერდით, რომ ზელენსკის უკრაინა საქართველოს მტრად უნდა გამოცხადდეს, სულ ახალი დასტამბული იყო, როცა კიდევ ერთი არგუმენტით გამყარდა ჩვენი მოსაზრება იმის შესახებ, რომ ზელენსკის უკრაინა მართლაც საქართველოს მტრად უნდა გამოცხადდეს!***


ფიოდორ ვენისლავსკი ვოლოდიმირ ზელენსკისთან ერთად

საქმე ის არის, რომ რუსეთ-უკრაინის ომში საქართველოს ჩათრევის მოსურნეთა ერთ-ერთმა პროპაგანდისტულმა რუპორმა, ხალხში **„ჭუტავიზიად“ წოდებულმა „ტვ პირველმა“** მაყურებელს შესთავაზა ინტერვიუ უკრაინის რადას დეპუტატთან, თავდაცვის, უსაფრთხოებისა და დაზვერვის კომიტეტის წევრ **ფიოდორ ვენისლავსკისთან,** რომელმაც განაცხადა:

***„ქართველ ხალხს აქვს უნიკალური შესაძლებლობა, მოახდინოს კონსოლიდირება და აიძულოს საქართველოს ხელისუფლება, რომ გადადგას კონკრეტული ნაბიჯები აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დეოკუპაციასთან დაკავშირებით. რუსეთის ფედერაცია ახლა მთლიანად ორიენტირებული და კონცენტრირებულია უკრაინის საკითხებზე და თუ საქართველოს ხელისუფლებას ექნება სურვილი, მას შესაძლებლობა ექნება, მოხდეს ქვეყნის ტერიტორიების დეოკუპაცია“.***

მოდით, დავსვათ ძალიან მარტივი კითხვები:

**ზელენსკის ხელისუფლება,** რომლის წარმომადგენელი **ვენისლავსკი** აცხადებს, რომ საქართველოს ხელისუფლება სოხუმსა და ცხინვალში ტანკებით უნდა შეგრიხინდეს, **საქართველოს მეგობარია თუ საქართველოს მტერი?**

**ზელენსკის ხელისუფლება,** რომლის წარმომადგენელი ვენისლავსკი აცხადებს, რომ ქართულმა სახელმწიფომ საკუთარ მოქალაქეებს — აფხაზებსა და ოსებს ბომბები უნდა დააყაროს, **საქართველოს მეგობარია თუ საქართველოს მტერი?**

**ზელენსკის ხელისუფლება,** რომლის წარმომადგენელი ვენისლავსკი ქართველ ხალხს ეუბნება, რომ საქართველოს საკუთარი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა სამხედრო ძალით შეუძლია, მაგრამ ამას მთავრობა უშლის ხელს, **საქართველოს მეგობარია თუ საქართველოს მტერი?**

**ზელენსკის ხელისუფლება,** რომლის წარმომადგენელი ვენისლავსკი ცდილობს, საქართველოს მოსახლეობა დაარწმუნოს, რომ, თუ საქართველოს ხელისუფლება აფხაზეთსა და ცხინვალში ტანკებს შეიყვანს, თბილისიდან ოცდაათიოდე კილომეტრში დისლოცირებული რუსული ჯარი ვერაფერსაც ვერ მოიმოქმედებს, **საქართველოს მეგობარია თუ საქართველოს მტერი?**

ცხადია, ესენი რიტორიკული კითხვებია და ამ კითხვებზე ერთადერთი პასუხი არსებობს: **ზელენსკის ხელისუფლება, თავის ვენისლავსკიან-არესტოვიჩიან-დანილოვიან-პოდოლიაკიან-ერმაკიან-გონჩარენკოიან-არახამიანად, საქართველოს მტერია!**

სინამდვილეში, **ვენისლავსკიმ,** რომელიც რადას დეპუტატობასთან ერთად უკრაინის საკონსტიტუციო სასამართლოში პრეზიდენტ ზელენსკის წარმომადგენელიც არის, მშვენივრად უწყის, რომ **საქართველოს მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის დეოკუპაციის მცდელობას, ანუ აფხაზებთან და ოსებთან სამხედრო დაპირისპირებას უზარმაზარი მსხვერპლი და ნგრევა მოჰყვება, რადგან რუსეთი კონფლიქტის ესკალაციას გულხელდაკრეფილი არ შეხედავს და უკრაინაში ომის მიუხედავად, ნამდვილად გამონახავს იმდენ რესურსს, რამდენიც უკრაინაზე ტერიტორიულად თითქმის 9-ჯერ პატარა და მოსახლეობის რიცხოვნობით თითქმის 12-ჯერ მცირე საქართველოსათვის კისრის მოსაგრეხად იქნება საკმარისი.**

კი, ძალიან კარგად იციან ეს **ზელენსკიმ და მთელმა მისმა ბიჭბუჭობამ,** მაგრამ მაინც ძალიან ცდილობენ, საქართველო რუსულ სამხედრო მანქანას შეატაკონ, რადგან ფიქრობენ, რომ ამით უკრაინა მცირეოდენ შვებას იგრძნობს! **იმ მოკლე დროის განმავლობაში, ვიდრე რუსული ავიაგამანადგურებლები საქართველოს ქალაქების დაბომბვით იქნებიან დაკავებული, უკრაინულ ქალაქებს ოდნავ ნაკლები რაოდენობის ბომბები დაეცემა! ვიდრე რუსული ჯარი ქართველების ხოცვას მოუნდება, ამასობაში ოდნავ ნაკლები უკრაინელი დაიხოცება! აკი, უკრაინის თავდაცვისა და უსაფრთხოების საბჭოს მდივანმა** დანილოვმა **პირდაპირ თქვა — თუ საქართველო აფხაზეთსა და ცხინვალს შეუტევს, ეს ძალიან დაგვეხმარება, რადგან რუსებს უკრაინელი ქალებისა და ბავშვების ხოცვის გარდა სხვა საქმეც გამოუჩნდებათო!**

სწორედ **დანილოვის** ამ განცხადების გაგრძელებაა უკრაინის რადას თავდაცვის, უსაფრთხოებისა და დაზვერვის კომიტეტის წევრის **ფიოდორ ვენისლავსკის** სიტყვები — **ქართველმა ხალხმა საქართველოს ხელისუფლება უნდა აიძულოს, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის დეოკუპაცია მოახდინოსო!**

რაც მთავარია, **დანილოვისა და ვენისლავსკის, არახამიასა და პოდოლიაკის, არესტოვიჩისა და გონჩარენკოს** პირებით **პირადად ზელენსკი** ლაპარაკობს, **ის ზელენსკი,** რომელმაც საქართველოდან ელჩი გაიწვია, რადგან ქართულმა სახელმწიფომ უკრაინაში საომრად მოხალისეების გაგზავნის ორგანიზება არ მოახდინა, ანუ რუსეთთან ომში არ ჩაება!

**ამიტომ არის ზელენსკი საქართველოს მტერი!**

**ამიტომ უნდა გამოცხადდეს ოფიციალურად, რომ ზელენსკის უკრაინა საქართველოს მტერია!**

**ზელენსკის კიდევ ერთი რუპორი — ფიოდორ ვენისლავსკი ქართველებს აფხაზებისა და ოსების ხოცვისკენ მოუწოდებს და მეტი რაღა უნდა მოხდეს, რომ მტერს მტერი დაერქვას?**

და კიდევ:

## „ტვ პირველი“ და სხვა ნაცტელეკანალიზაციები, რომლებიც ზელენსკის რუპორებს ქართველების მიერ აფხაზებისა და ოსების ხოცვის პროპაგანდისათვის ეთერს უთმობენ, ქართული სახელმწიფოს შინაური მტრები არიან!

**მათ ისტორია აუცილებლად მიუჩენს ადგილს სერგო ორჯონიკიძის, ფილიპე მახარაძისა და კოლექტიური ყორღანოვების გვერდით!**

***ჯაბა ხუბუა***


ზელენსკის უკრაინა საქართველოს მტრად უნდა გამოცხადდეს!
უკრაინის ხელ... მიერ გამოქვ... სასანქციო ს... ოფისში დ...
ესენი არიან!
„ასავალ-დასავალი“. 2022 წლის №38

## აი, კიდევ ერთი არგუმენტი, თუ რატომ უნდა გამოცხადდეს ზელენსკის უკრაინა საქართველოს მტრად!

## კვირგვინოსნები

**დიმიტრი ხუნდაძე**
*დამოუკიდებელი პარლამენტარი*



**„სტრატეგია აღმაშენებელმა“ უსინდისობით და უზნეო ქმედებით ნაციონალურ მოძრაობას გაუსწრო.** დადიან უცხოეთში კარდაკარ და საქართველოში პოლიტიკურ თანამდებობებს ითხოვენ ისე, რომ ქვეყნის ბედი არ აინტერესებთ. **ამდენი მარცხის შემდეგაც ვერ ისწავლეს, რომ ჯერ ქართველ ხალხს უნდა ემსახურონ და მერე — უცხოეთს, ჯერ საკუთარი ქვეყნის ინტერესები უნდა დაიცვან და მერე — სხვისი.** სანამ ამას არ შეიგნებენ, მანამდე მათი სიტყვა დარჩება „მდაბიოთა ხმა მღაღადებლისა“.

„ინტერპრესნიუსი“

**გიორგი ვაშაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერი*



შოკში ვარ, ცოტა ხნის წინ გავიგე, რომ მხოლოდ ჩემზე ათიათასგვერდიანი ფაილი აქვთ შექმნილი. **15 კაცი მითვალთვალებს, მისმენს, თუ რას ვაკეთებ, სურათს ვისთან ვიღებ, რომელ ელჩს ვხვდები, ტელეფონზე ვის რას ველაპარაკები და ასე შემდეგ...** კი, ვიცოდი, რომ მისმენდნენ, მაგრამ ასეთ მასშტაბს ნამდვილად არ ველოდი.

„კვირის პალიტრა“

**ალუდა ღუდუშაური**
*პარლამენტარი*



**კობახიძე** არის ჩვენი ქვეყნის უმრავლესობის არჩევანი და ეს მოსწონს თუ არა **კუბილიუსს,** ან ვინმე სხვას, არის მეათეხარისხოვანი. **კრამონი** უცხო ქვეყნის მოქალაქეა და პირდაპირ ერევა ქვეყნის შიდა საქმეებში. **მეგობრებო, ჩვენ არ ვართ იმ რეალობაში, ვინმემ თავში წამოგვარტყას.**

„აიპრესი“

**რატი იონათამიშვილი**
*პარლამენტარი*



ნამდვილად არ მეგონა, რომ გადაწყვეტილება **ელექტრონულ არჩევნებთან დაკავშირებით** ასეთ სასოწარკვეთაში ჩააგდებდა რადიკალურ ოპოზიციას.

„იმედინიუსი“

**უკანასკნელ ხანს თბილისში დაახლოებით ოცამდე რესტორანი შემოწმდა და გამაოგნებელი შედეგები გამოვლინდა — ერთ-ერთი რესტორნის მენიუში ერთი თვის წინათ დამზადებული ლობიო ჰქონდათ, მეორეგან ხორცს პირდაპირ ტუალეტში რეცხავდნენ, ხოლო მესამეგან იპოვეს ხორცი, რომლის წარმომავლობაც დღემდე გაურკვეველია. ტარაკანებზე, ბუზებსა და ანტისანიტარიაზე აღარაფერს ვამბობთ. ზემოხსენებული საშინელი დარღვევების გამო ქალაქში არაერთი პოპულარული რესტორანი, მაგალითად, „ბალნარი“, „იბერია“, ფორტუნა“, „თბილისი“, „ძველი დუქანი“, „უშბა“, „დე გი“ და „მეგრული ოდა“ დაილუქა. „მომხმარებელთა ფედერაციის“ თავმჯდომარე მადონა კოიძე აცხადებს, რომ ყველაზე დიდი პრობლემები მაინც პურის საწარმოებშია, რომლებსაც ტარაკნები და ვირთხები უტევენ:**

— საქართველოში მოქმედი რესტორნებისა და კვების სხვა ობიექტების ძირითადი პრობლემა სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების, ანუ სისუფთავის დაცვის უგულებელყოფაა. „სურსათის ეროვნულმა სააგენტომ“ ამ ბოლო დროს მორიგი რეიდი განახორციელა, მაგრამ, სამწუხაროდ, მათი ნაშრომი არ ჩანს! სამაგიეროდ, ჩანს ჩვენი მუშაობის შედეგი, როცა გადაცემას ვამზადებთ და კამერის მეშვეობით ყველაფერს ცხადსა და ხილულს ვხდით!

**— ქალბატონო მადონა, მაინც სად არის ყველაზე მეტი დარღვევა რესტორნებსა და კვების პოპულარულ ობიექტებში?**

— ყველაზე მეტი პრობლემები, როგორც წესი, სამზარეულოებსა და შემნახველ მაცივრებშია! „სურსათის ეროვნული სააგენტო“ მაქსიმალურად ცდილობს ამ პრობლემის ერთხელ და სამუდამოდ აღკვეთას, მაგრამ აშკარაა, რომ კვების ობიექტებზე სასაკლაოს გვერდის ავლით ძალიან დიდი ოდენობით ხორცი შედის. ეს გახლავთ უდიდესი რისკ-ფაქტორი გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში სახეზე გვაქვს ხუთი ზოონოზური დაავადება, რომლებსაც მართალია, სახელმწიფო გარკვეული პროგრამებით ებრძვის, მაგრამ ხიფათი მაინც დიდია. ზოონოზურია ის დაავადება, რომელიც ცხოველიდან ადამიანზე გადადის. ყველაზე მეტად ამ მხრივ საშიშია ჯილეხი.

**— მაინც როგორ უნდა მოწმდებოდეს ხორცი?**

— წესით და რიგით, ხორცი ცხოველის ან ფრინველის დაკვლამდეც და დაკვლის შემდეგაც უნდა მოწმდებოდეს. **პირუტყვი, რომელიც სასაკლაოზეა მოყვანილი, დაკვლის წინ ვეტერინარმა უნდა შეამოწმოს და დასვას შესაბამისი ბეჭედი. დაკვლის შემდეგ ხორცი ისევ უნდა შემოწმდეს და ფორმა №2-ით და სპეციალური ეტიკეტირებით სწორედ ასე შევიდეს კვების ობიექტებზე.** ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ საწარმოებს, სადაც ცხოველური პროდუქტების გადამუშავება ხდება. ყველა ასეთ საწარმოში დანერგილი უნდა იყოს ე.წ. ჰასპი, რაც საკონტროლო წერტილების იდენტიფიცირებასა და მათ მართვას ნიშნავს... იგივე ეხება რძესა და რძის პროდუქტებს. საქართველოში რძესა და რძის პროდუქტებს განსაკუთრებით დიდი მომხმარებელი ჰყავს და მყიდველმა მათი წარმომავლობის შესახებ ყველაფერი უნდა იცოდეს!

**— თქვენს გადაცემას — „სახალხო კონტროლს“, რომელიც „აჭარის ტელევიზიაზე“ კვირაში ერთხელ გადის, ბევრი მაყურებელი ჰყავს! კვების ობიექტების მოულოდნელი შემოწმებისას ყველაზე საშინელი და ამაზრზენი მაინც რა შეგხვედრიათ?**

— ჩვენი გადაცემის მეშვეობით თვეში დაახლოებით 15 ობიექტს ვამოწმებთ. ამაზე მეტს „სურსათის ეროვნული სააგენტო“ დღეში აკეთებს, მაგრამ, როგორც გითხარით, რაკი ჩვენი საქმიანობა ტელევიზიით შუქდება, ჩვენი შრომა უფრო ჩანს. მიმაჩნია, რომ დღეს სისუფთავისა და სანიტარიულ-ჰიგიენური წესების დაცვის მხრივ ყველაზე დიდი პრობლემები მაინც პურის საწარმოებშია! ზოგიერთი მეპატრონე ჯიუტად აცხადებს, რომ, რაკი პური 300 გრადუსზე ცხვება, სისუფთავის დაცვა მთლად აუცილებელი არ არის.

**— მაინც რა დარღვევები შეგხვედრიათ პურის საწარმოებში?**

— მთავარი პრობლემა ის არის, რომ პურის ფორმებზე ხშირად მიმხმარი და მიმწვარია თვეებისა და წლების ცომი, რაც კატეგორიულად დაუშვებელია! ტარაკნები, ვირთხები და, ზოგადად, მღრღნელები, პურის საწარმოების უმთავრესი პრობლემაა... ჩვენი მუშაობის პრინციპი ასეთია — ვახდენთ პრობლემების იდენტიფიცირებას და მერე „სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან“ ერთად ვცდილობთ მათ აღმოფხვრას!

**— უდიდეს პრობლემებს ქმნის მოხარშული ზეთი, რომელსაც საცხობებში ხშირად მესამე და მეხუთე ჯერზეც იყენებენ!**

— ასეთი ზეთი კიბოს იწვევს და მისი ერთჯერ მეტად გამოყენება კატეგორიულად დაუშვებელია. ბევრმა არ იცის, რომ




# მადონა კოიძე:

# ყველა რესტორანში არ შევალ და არც შეკვეთას მივცემ!

**ერთხელ უკვე გამოყენებული საკვები ზეთის კანალიზაციაში ჩაშვება ან ქუჩაში გადაღვრაც კატეგორიულად დაუშვებელია. ასეთი ზეთი, რომელიც კიბოს გამომწვევია, სამედიცინო ნარჩენების მსგავსად, უტილიზებული უნდა იქნეს!**

არსებობს ძალიან მაღალი დონის ფირმები, რომლებიც ახდენენ ამ ზეთის უტილიზაციას. არის შემთხვევები, როცა ეს მეორადი ზეთი ფერმებში მიაქვთ და ცხოველების ან ფრინველების საკვებად იყენებენ, რაც ასევე კატეგორიულად დაუშვებელია! მეორადი ზეთი ცხოველისა და ფრინველის ხორცს აბინძურებს და მის სტრუქტურას ცვლის, რაც, საბოლოო ჯამში, ადამიანის ჯანმრთელობაზეც აისახება.

**— ის რესტორნები, რომლებიც დიღმის ტრასაზე დალუქეს, მუშაობას ვერ გააგრძელებენ?**

— ჩემი ინფორმაციით, ამ რესტორნებმა უკვე გადაიხადეს **სამარცხვინოდ მიზერული ჯარიმა — 1000 ლარი** და მიეცათ დრო, აღმოფხვრან ნაკლოვანებები. ცხადია, ამის შემდეგ ისინი მუშაობას გააგრძელებენ, მაგრამ მეორეჯერაც თუ დაჯარიმდებიან, მერწმუნეთ, რესტორნის მფლობელებს ასეთ შემთხვევაში ბევრად უფრო დიდი თანხის გადახდა მოუწევთ, რადგან ჯარიმის თავდაპირველი ოდენობა რამდენჯერმე იზრდება.

**— თბილისში ყველა რესტორანში შეხვალთ და სუფრას შეუკვეთავთ?**

— არა, ყველა რესტორანში არ შევალ და არც შეკვეთას მივცემ! რამდენიმე გამორჩეული რესტორანი და კვების ობიექტი არსებობს, სადაც სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები ზედმიწევნით არის დაცული და მე ყოველთვის მათ ვირჩევ!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***













**ჩემი ინფორმაციით, ამ რესტორნებმა უკვე გადაიხადეს სამარცხვინოდ მიზერული ჯარიმა – 1000 ლარი და მიეცათ დრო, აღმოფხვრან ნაკლოვანებები!**




## კვირგვინოსნები

**ზაალ მიქელაძე**
*პარლამენტარი*



**რომან გოცირიძეს** ულვაშები წამოეზარდა, ხელს უშლის არამხოლოდ სუნთქვაში, არამედ სმენაში.

„აიპრესი“

**ირმა ჭკადუა**
*ნიკოლოზ ბასილაშვილის ადვოკატი*



**ნელი დოროყაშვილი** შურისძიების მოტივით შეპყრობილი ადამიანია, მას შურისძიება იმიტომ უნდა, რომ **ბასილაშვილს** სხვა რჩეული ჰყავს!

„ინტერპრესნიუსი“

**ალეკო ელისაშვილი**
*პარტია „მოქალაქეების“ თავმჯდომარე, პარლამენტარი*



სრულდება ეპოქა, როცა **არჩევნებზე ხმების დასათვლელად** საანგარიშოებს და დომინოს ქვებს ახრიგინებდნენ.

„ინტერპრესნიუსი“

**ირაკლი ზარქუა**
*პარლამენტარი*



ქვეყანას სჭირდება **დუღილის ტემპერატურის შემცირება,** კანონპროექტებზე მუშაობა და არა **„გიჟი ჯაფარა“** რომ დარბის და ზომავს, როდის შემოვარდეს პარლამენტში.

„ინტერპრესნიუსი“

**მამუკა გამყრელიძე**
*„ევროპული დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერი*



მგონია, **ურჩ ზელენსკის** ბოლოს მაინც ტურებივით დაგლეჯენ ბებერი პოლიტიკოსები.

„აიპრესი“

**ანა ნაცვლიშვილი**
*პარტია „ლელოს“ წევრი, პარლამენტარი*



„ოცნებისთვის“ **საკუთარ თანაგუნდელებსაც კი არანაირი ფასი არა აქვს** — დღეს შეიძლება მოგიჩინონ **„პოლის ჯოხის“** როლი, ხვალ — **ბუჩქის** და ზეგ თქვან, რომ ხარ **ზევსი!**

„ინტერპრესნიუსი“

**რამდენიმე დღის წინათ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში ტრაგედია დატრიალდა: 3 წლის გოგონას სასულეში შინდის კურკა გადასცდა და დაიღუპა. რა შემთხვევაში შეიძლება დადგეს ფატალური შედეგი და რა სახის პირველადი დახმარებაა აუცილებელი კურკის გადაყლაპვის შემთხვევაში? გვესაუბრება ექიმი, კლინიკა „ავერსის“ ქირურგი ბადრი ქობალავა:**




## ბადრი ქობალავა:

# ასე გადავარჩენთ სიკვდილისგან ადამიანს, ვისაც კურკა სასუნთქ გზებში გადასცდება!

— პირველ რიგში, ვიზიარებ გარდაცვლილი მოზარდის ოჯახის მწუხარებას. მიზეზი, რამაც პატარა გოგონას დაღუპვა გამოიწვია — ობსტრუქციაში, ანუ უცხო სხეულით სასუნთქი გზების დახშობაში მდგომარეობს. ამ დროს ჟანგბადის გარეშე რჩება ტვინი, რის გამოც პაციენტი ჯერ გონებას დაკარგავს, ხოლო, თუ სასუნთქი გზების დახშობა დროში გაიწელა, შესაძლოა, შემთხვევა ფატალურადაც დამთავრდეს. ამიტომ ვალდებული ვართ, ყველამ ვიცოდეთ, როგორ დავეხმაროთ მსგავს განსაცდელში ჩავარდნილ ადამიანს.

**— რამდენად ხშირია კურკის გამო ადამიანის დაღუპვა?**

— სამწუხაროდ, არცთუ იშვიათია, მაგრამ კიდევ უფრო სამწუხარო ის გახლავთ, რომ ასეთი შემთხვევების უმრავლესობა მცირეწლოვნებზე მოდის. საქმე იმაშია, რომ მოზრდილ ადამიანს კარგად აქვს განვითარებული დაცვითი მექანიზმები, მაგალითად, ხველების რეფლექსი, რაც აღნიშნული პათოლოგიის პროფილაქტიკას ახდენს. სასუნთქ გზებში მოხვედრილი უცხო სხეული აღიზიანებს ხახის კედლებს, იწვევს ხველებას, რის შედეგადაც ხდება სასუნთქი გზიდან ამ სხეულის გამოდევნა. ბავშვს ასეთი რეფლექსი სრულად ჩამოყალიბებული არა აქვს, ამიტომ ასფიქსია უფრო ხშირად სწორედ მოზარდებს ემართებათ. **აუცილებელია, ბავშვი არამხოლოდ კურკას, არამედ ნებისმიერ მცირე ზომის საგანს მოვარიდოთ.** მშობლის მხრიდან ოდნავ ყურადღების მოდუნებაც კი საკმარისია, რათა ბავშვმა რაიმე მცირე საგანი პირში ჩაიდოს და სასუნთქ გზებში გადასცდეს. განსაკუთრებით საშიშია მცირე ზომის სათამაშო. ამასთან, მას არ უნდა ჰქონდეს დეტალები, რომლებიც ადვილად მოტყდება.

პირის ღრუ, რომელიც საჭმლის მომნელებელი სისტემის ნაწილია — სასუნთქი სისტემის ნაწილთან — ხორხთან და ტრაქეასთან არის დაკავშირებული, ეს გზები კისრის მიდამოში ერთდებიან, ამიტომ ძალიან იოლად შეიძლება, პირის ღრუში არსებული საგანი საყლაპავში კი არა, სასუნთქ გზებში მოხვდეს და გადაკეტოს. ყველაზე ვიწრო ადგილი სასუნთქ გზებში არის სახმო იოგებთან, ამიტომ უცხო საგანი ყველაზე ხშირად ამ ადგილზე, ან ცოტა ქვემოთ — ტრაქეაში იჭედება, ახშობს და აღარ ატარებს ჰაერს,. ასეთ დროს ტრაგიკული შედეგი ძალზე სწრაფად დგება, ამიტომ უნდა შეგვეძლოს, პირველ რიგში, სასუნთქი გზების დახშობის კლინიკური სურათის უსწრაფესად ამოცნობა, რათა საფრთხეში მყოფის გადარჩენა შევძლოთ.

**— როგორია კლინიკური სურათი?**

— როგორც წესი, ამ დროს ბავშვიც და მოზრდილი ადამიანიც ხელს კისერზე იკიდებს. მეტყველების უნარი ან მთლიანად ეკარგება (რადგან უცხო სხეული სახმო იოგებზეა), ან პაციენტი ძალზედ ჩახლეჩილი ხმით იუწყება, რომ იგუდება. სისხლის მოდინების გამო სახე ჯერ წითელია, შემდეგ სიწითლე თანდათან სილურჯეში გადადის. სილურჯე პირველ რიგში, ტუჩების ირგვლივ და ხელის თითებზე ვლინდება. ბავშვებში შესაძლოა, სილურჯის ნაცვლად, ფერმკრთალობას ჰქონდეს ადგილი. ამ დროს სუნთქვა ან საერთოდ წყდება და არ ისმის, ან იწყება სტრიდორი — ხმაურიანი, ხრინწიანი სუნთქვა. ორგანიზმი რეფლექსურად ცდილობს უცხო სხეულის გამოდევნას, ამიტომ ხშირად იწყება შეტევითი ხასიათის ხველა, რამაც შეიძლება თვითგანკურნება განაპირობოს.




**— ტრაგიკული შედეგი კურკის ზომაზეა დამოკიდებული?**

— რა თქმა უნდა! სასუნთქი გზების ობსტრუქცია შეიძლება, მოზრდილმა ატმის კურკამაც გამოიწვიოს, მაგრამ უფრო ხშირად, მცირე ზომის — შინდის, ჭერმის, გარგარის, ქლიავის და ა.შ. კურკები და მათი ზომის სხვა საგნები იწვევენ გამოუსწორებელ შედეგს. გაგუდვა შეიძლება არამყარმა საკვებმა კომპონენტმაც გამოიწვიოს. **ბავშვებისთვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს ტკბილეული,** რომლის წიაღშიც მცირე ზომის სათამაშოა. ძალზე ბევრ ქვეყანაში ასეთი ტკბილეული აკრძალულია.

მშობელმა უნდა იზრუნოს, რათა მცირეწლოვანი ბავშვი მეთვალყურეობის გარეშე არ მიუშვას თუნდაც ბალის საჭმელად. ძნელად წარმოსადგენია, ბავშვი ატმის კურკამ დაახრჩოს, მაგრამ შინდი, ქლიავი, ჭანჭური, ბალი, ანუ ასეთი ხილის ბავშვისთვის მეთვალყურის გარეშე მიწოდება დაუშვებელია, რადგან ადვილად გადასცდება სასუნთქ გზებში.




**— მსმენია, ადამიანს შეიძლება ზიანი მიაყენოს დიდი რაოდენობით კურკის შიგთავსის ჭამამაც...**

**— ატმის, ჭერმის, გარგარის და მსგავსი ხილის კურკების შიგთავსის, ასევე ნუშის დიდი რაოდენობით მირთმევა საშიშია, რადგან ისინი ციანიდს შეიცავენ.**

ამის მიუხედავად, მცირე რაოდენობით ისინი სასარგებლოც კია, რადგან მნიშვნელოვანი მიკროელემენტებით ავსებენ ორგანიზმს.







**— როგორ ვიხსნათ სიკვდილისგან ადამიანი, ვისაც სასუნთქი გზები კურკამ ან უცხო საგანმა დაუხშო?**

— დიაგნოზის დასმისთანავე, უპირველესად, აუცილებელია ე.წ. **ჰეიმლიხის მანევრის** ჩატარება, რაც დიაფრაგმის ქვეშ მუცელში დარტყმებსა და ზურგის არეში დარტყმებს გულისხმობს. ადამიანის ასაკის შესაბამისად, მანევრი სხვადასხვაგვარად ტარდება, განსხვავებულია ჩვილისთვის, მცირეწლოვანი ბავშვისთვის და მოზრდილი ადამიანისთვის.

ჩვილის შემთხვევაში მანევრი გულისხმობს გულმკერდის ქვემო და მუცლის ზედა ნაწილში, ანუ დიაფრაგმის მიდამოში ბიძგისებურ ძლიერ ზეწოლას, რაც განაპირობებს ფილტვების სწრაფ, ძლიერ შეკუმშვას, იქიდან ნარჩენი ჰაერის სწრაფ გამოშვებას, რასაც მოსდევს სასუნთქ გზებში მოხვედრილი უცხო სხე-




# „ბავშვებისთვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს ტკბილეული, რომლის წიაღშიც მცირე ზომის სათამაშოა!“

ულის გამოდევნა.

რაც არ უნდა წარმატებული იყოს მანიპულაცია, ჩემი რჩევა იქნება, პირველადი დახმარების დაწყებისთანავე სასწრაფო დახმარების სამსახურიც გამოვიძახოთ. **ჰეიმლიხის მანევრი** ყველა შემთხვევაში ორი ეტაპისგან შედგება, რომლებიც ერთმანეთს უნდა შევანაცვლოთ, ვიდრე პაციენტი ორგანიზმიდან უცხო სხეულს გამოდევნის.

ჩვილ (1 წლამდე ბავშვს) ხელისგულსა და მაჯაზე ვიწვენთ გულდაღმა. გავითვალისწინოთ, რომ ჩვილებს კისრის კუნთები არა აქვთ განვითარებული და თავი მტევნის თითებით უნდა დავიჭიროთ, ოღონდ ისეთ დამრეც პოზიციაში, რომ თავის არე უფრო დაბლა იყოს მოქცეული, ვიდრე ტანი და ფეხები. მეორე ხელისგულით ბიძგისებური მოძრაობებით ხუთჯერ ვურტყათ ბეჭებს შორის, შემდეგ ბავშვს ფრთხილად გადმოვატრიალებთ სახით ზემოთ, ოღონდ თავის არე ტანსა და ფეხებთან შედარებით ისევ დაბლა უნდა იყოს მოქცეული. მკერდის ძვალზე, ძუძუს თავებიდან ოდნავ ქვემოთ ვაწვებით ორი თითით ისე, რომ გულმკერდმა 4-5 სანტიმეტრის სიღრმეზე ჩაიწიოს. შემდეგ ჩვილს კვლავ გადმოვატრიალებთ და პირველ ეტაპს ვუბრუნდებით, ასეთი მონაცვლეობით ხუთჯერ ვმოქმედებთ, ვიდრე ბავშვი უცხო სხეულს ამოაგდებდეს.

**— მოზარდებს როგორ მივუდგეთ?**

— მოზარდებსა და მოზრდილებში პროცედურა თითქმის ერთნაირად ტარდება, განსხვავება იმაშია, რომ მოზრდილს უბრალოდ უკან დავუდგებით; ბავშვის შემთხვევაში კი, უკან დავუდგებით და თან დავიჩოქებთ, რათა ბავშვის სიმაღლის შესაბამისად ვიმოქმედოთ. მოქმედება იმაში მდგომარეობს, რომ ბავშვს უკნიდან ხელებს შემოვხვევთ გულმკერდისა და მუცლის საზღვარზე. ერთი ხელით ვაკეთებთ მუჭს, მეორე ხელით ამ მუჭს ბიძგებით ხუთჯერ ვაჭერთ ნეკნების ქვემოთ, მუცლის ზემო ნაწილში. შემდეგ კი პაციენტს ბეჭებს შორის ძლიერად ვურტყამთ ხელისგულს და ასეთ მონაცვლეობას ხუთჯერ მივმართავთ, ვიდრე პაციენტი ნარჩენ ჰაერთან ერთად სასუნთქ გზებში მოხვედრილ უცხო სხეულს გამოდევნიდეს.

**— რა ვიღონოთ, თუ სასუნთქ გზებში კურკა ან უცხო საგანი მაშინ გადაგვცდა, როცა ჩვენ მახლობლად არავინ არის?**

— თვითდახმარება მდგომარეობს სკამის საზურგეზე მიყრდნობასა და მუცლის ზემო ნაწილში მუჭის დადებაში, რის შემდეგაც მუჭს რაც შეიძლება ძლიერად მივიჭერთ დიაფრაგმაზე და სკამის საზურგეზე ზეწოლის გზით შევეცდებით ფილტვებიდან ნარჩენი ჰაერის გამოდევნას, რამაც სასუნთქ გზებში მოხვედრილი უცხო საგანი უნდა გამოიყოლოს. ამ პროცედურას რამდენჯერმე ვასრულებთ. თუ **ჰეიმლიხის მანევრით** წარმატებას ვერ მივაღწიეთ, აუცილებელია გულ-ფილტვის რეანიმაცია, რასაც ჩვეულებრივი ადამიანი ვერ შეძლებს, რადგან სპეციალური მომზადება სჭირდება.

## გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჰეიმლიხის მანევრის გამოყენებით შეიძლება პაციენტი გაგუდვისგან კი გადავარჩინოთ, მაგრამ მას სხვა სახის ზიანი მივაყენოთ, კერძოდ, გავუხეთქოთ ელენთა ან ღვიძლი, ან ნეკნი მოვტეხოთ.

ამიტომ ჩემი რეკომენდაცია იქნება, თუნდაც ჰეიმლიხის მანევრი შედეგიანად ჩავუტაროთ, მისი დასრულებისთანავე მივიყვანოთ კლინიკაში იმის გამოსაკვლევად, დახმარების აღმოჩენის დროს რამე ხომ არ დავუზიანეთ.

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***



***ნესვის ნაყოფში შემავალი ვიტამინები — A, B1, B2, B5, B6, B9, C, E, H, PP; ორგანიზმისთვის აუცილებელი მინერალური ნივთიერებები: კალიუმი, კალციუმი, მაგნიუმი, თუთია, სპილენძი, მანგანუმი, რკინა, ქლორი, გოგირდი, იოდი, ფტორი, ფოსფორი, ნატრიუმი, ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები, შაქარი, წყალი — ყველა ეს სასარგებლო ნივთიერებები, რომელსაც ადამიანი საკვების სახით შინაგანად იღებს, ეს მისი მოქმედების ერთი მხარეა, მაგრამ გარდა ამისა, ნესვის ნაყოფის გარეგან გამოყენებას, როგორც კოსმეტიკური საშუალება, ძალიან ბევრი სილამაზის ფაქტორის შექმნა შეუძლია.***

ნესვის რბილობში შემავალი **ბეტა-კაროტინი** შესანიშნავად მოქმედებს **კანის სიჯანსაღისა და ახალგაზრდობისათვის.** განსაკუთრებით მასში ჭარბად შედის **ინოზიტი,** რომელიც უშუალოდ დადებითად მოქმედებს **თმაზე.**

წარმოვადგენთ **ნესვისაგან** დამზადებული კოსმეტიკური საშუალებების ზოგად ჩამონათვალს.



## ნესვის ლოსიონი მშრალი, მოდუნებული, დონდლო კანისათვის, რომელიც კანს ჭიმავს, აახალგაზრდავებს და ახალისებს

ვიღებთ **ნესვის** რბილობს, გამოვწურავთ მისგან წვენს და ვუმატებთ **რძეს** და **წყალს** — ფარდობით **1:1:1.**

გამოყენება: **აღნიშნული ნარევით დილა-საღამოს სახეს ვიმუშავებთ გაწმენდით.**

## ნებისმიერი ტიპის კანისათვის მკვებავი, გამაახალგაზრდავებელი ნიღაბი

ვიღებთ **ნესვის** გადამწიფებული ნაყოფის რბილობს და ვთქვეფთ ენერგიულად (უკეთესია მიქსერით).

გამოყენება: **აღნიშნულ ფაფას ვისვამთ სახეზე** (უკეთესია საღამოს ძილის წინ) **მასაჟირებით ყველგან. ნიღაბს ვაყოვნებთ 15 წუთი და ჩამოვიბანთ ცივი წყლით, რის შემდეგაც ვისვამთ მკვებავ მალამოს.**

## ნესვის მოხარშული რბილობით შესაძლებელია სახის კანიდან პიგმენტების, ჭორფლის და ფერიმჭამელების მოცილებაც

ვიღებთ **ნესვის** კანს, ვხარშავთ 5 წუთი და შემდეგ ვთქვეფთ. ამის შემდეგ ვწურავთ და ნახარშს ვინახავთ. **გამოყენება:** ჯერ კიდევ თბილ მასას ვიდებთ სახეზე, მორგებულად, ყველგან. ნიღაბს ვაყოვნებთ 15-20 წუთი, რის შემდეგაც სახეს ვიწმენდთ ნესვის კანის ნახარშში დასველებული ბამბის ფთილით. ეფექტი სწრაფია და ერთი კვირის თავზე აშკარად შეინიშნება.

## ნესვის გული კანის იერს დაუჯერებლად ცვლის და აძლევს ძალიან ლამაზ ელფერს

ვჭრით **ნესვს,** ვაცლით გულს თესლებითურთ, რის შემდეგაც გულს ვანთავისუფლებთ თესლებისაგან. თესლის გარეშე დარჩენილ **ნესვის** გულს ხელით ან მიქსერით ენერგიულად ვთქვეფთ და ვცდილობთ, მისგან მიღებული იქნას ერთგვაროვანი ფაფისებური მასა. აღნიშნულ ფაფას ვისვამთ სახეზე თანაბარი და თხელი შრით და ვაყოვნებთ **15-20 წუთი.** ეს ნიღაბი შეიძლება ჩავთვალოთ ჯადოსნურ ნიღბად. აღნიშნული ნიღბის გაკეთების შემდეგ **კანი ხდება ძალიან ნაზი და ბარხატოვანი.**

## კანის გაახალგაზრდავება ნესვის თესლითაც შეიძლება

ვიღებთ **ნესვის თესლის ერთ ს/კ**-ს და ვფქვავთ ყავის საფქვავში. ასეთ მასალაზე ვასხამთ **1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალს და ვაყოვნებთ 2-3 საათი, რის შემდეგაც ვწურავთ.**

გამოყენება: **აღნიშნული ნაყენით სახეს ვიბანთ სისტემატურად. იგი კანს ხდის რბილს და აძლევს გარედან ლამაზ, სასიამოვნო ტონს.**

## თუ გინდათ, გქონდეთ არისტოკრატიული და ლამაზი კანი

თუ გინდათ, გქონდეთ არისტოკრატიული და ლამაზი კანი, ამისათვის საჭიროა მხოლოდ ერთი, შედარებით დიდი ზომის **ვაშლი.** პროცედურა სირთულესთან არაა დაკავშირებული და იგი ძალიან მარტივად კეთდება. ამისათვის საჭიროა **ვაშლის** გათლა. გათლილ **ვაშლს** ვხეხავთ პლასტმასის სახეხზე და ხილფაფას ვუმატებთ 8-10 წვეთ ახლად გამოწურულ **ლიმონის** წვენს, 0,5 ჩაის კოვზ ნატურალურ **თაფლს** და ამდენივე ნატურალურ **კარტოფილის ფქვილს.** ასეთი შედგენილობის ნარევს ვურევთ ენერგიულად ერთგვაროვანი მასის მიღებამდე.



გამოყენება: **აღნიშნული ნარევი შეგვაქვს სახეზე თანაბარი, თხელი შრით და ვაყოვნებთ 20 წუთი. ამის შემდეგ ვიბანთ სახეს თბილი წყლით. ასეთი მარტივი პროცედურით კანი ხდება ნაზი, ფაფუკი და, რაც მთავარია, იგი იღებს არაჩვეულებრივ და სასიამოვნო ფერს.**



## მალამო მშრალი კანისათვის

***მშრალი კანისათვის შეიძლება დამზადდეს მკვებავი, რომელიც კანის ამ დეფექტს კარგად ხსნის.***

საჭირო მასალა: **ფუტკრის სანთელი** — 15 გ; **ნუშის ზეთი** — 60 გ. აღნიშნულ მასალას ვათავსებთ ჭურჭელში და ამ ჭურჭელს ვათავსებთ წყლის აბაზანაზე. სანთელი დადნება, რის შემდეგაც ვიღებთ წყლის აბაზანიდან და ვთქვეფთ მთლიან მასას სრულად ქაფად ქცევამდე. შეუწყვეტლად ვაგრძელებთ ათქვეფას და თან ვამატებთ მცირე ულუფებით წვეთ-წვეთობით ვარდის წყალს, ისე რომ მასამ მიიღოს მალამოსებრი სახე. **გამოყენება: მალამო გამოიყენება ჩვეულებრივად საერთო წესით. იგი სახის კანს ხდის ნაზს, მიმზიდველს და აძლევს ახალგაზრდულ იერს.**




## ნაოჭების საწინააღმდეგო ნიღაბი

**1. გახეხილი ნუშის თესლი — 50 გ; 2 კვერცხის გული — 12,5 გ; 3. გლიცერინი — 12,5 გ; 4. სპირტი — 10 მლ; 5. თიმოლი (სამედიცინო შემოწმებით) — 1 გ; 6. ქაფურის ზეთი — 1,5 მლ.**

**დამზადების წესი:** ჩამონათვალ კომპონენტებს, თიმოლის გარდა, კარგად ვურევთ ერთმანეთში ერთგვაროვანი მასის მიღებამდე. შერევას ვახდენთ გამოხდილი წყლის დამატებით და მიგყვავს პასტის კონსისტენციამდე. რეცეპტში წარმოდგენილ 1 გ თიმოლს ცალკე ვყრით ფაიფურის პატარა სანაყზე და ვხეხავთ აბსოლუტურად წმინდა ფხვნილის მიღებამდე. აღნიშნულ ფხვნილს აქვე ვამატებთ მცირე რაოდენობის ამ რეცეპტში წარმოდგენილ ჩვენგან დამზადილ ნარევს და კვლავ ვაგრძელებთ ინტენსიურ ხეხვას. საბოლოოდ თიმოლიან და ძირითად ნარევს კვლავაც ვურევთ ერთმანეთში ენერგიულად ერთგვაროვან მასის მიღებამდე. **გამოყენება:** აღნიშნულ ნარევს ვისვამთ ნაოჭებიან ადგილებში 1-1,5 საათის დაყოვნებით, რის შემდეგაც ხდება კანის კარგად გაწმენდა — სიმშრალემდე.

## ნაოჭების გაქრობა სახის კანიდან პრობლემა არ არის

სახის კანიდან ნაოჭების გაქრობისათვის ვიღებთ **3 კვერცხის ცილას,** ვთქვეფთ ენერგიულად **15 გ ზეითუნის ზეთთან, 3 ს/კ დაფნის ფოთლის ნახარშთან** (5 ცალ დაფნის ფოთოლს ვასხამთ 300 მლ წყალს და 10 წთ ვადუღებთ დაბალ ცეცხლზე) ერთად. ნარევს ვამატებთ **10გ დამწვარ შაბს** და ვაგრძელებთ დამუშავებას ერთგვაროვანი მასის მიღებამდე.

გამოყენება: **აღნიშნულ ნარევს ვუსვამთ ნაჭერზე და პლასტირით ვიმაგრებთ ნაოჭებიან კანზე მთელი ღამით. შედეგი აშკარაა და ძალიან სწრაფად იწყებენ ნაოჭები გაწოვა-გაქრობას.**



# მიხეილ ცაგარელი: ზოდიაქოს ნიშანი, მბრძანებელი პლანეტა და კარმული განვითარების მიმართულების არჩევა

*— კირჩხიბის ნიშნით დაბადებულს კარმული მბრძანებელი მთვარე რა მოთხოვნებს უყენებს? მისი სუსტი და ძლიერი მხარის ზეგავლენა რაში ვლინდება და რა შემთხვევაში იხსნება უმაღლესი კარმული პროგრამა? ლომს კარმული მბრძანებელი მზე რას ასწავლის და რა შემთხვევაში გახდება მისი აურა უფრო ნათელი? როდის აღავსებს წარმოუდგენლად დიდი ენერგიით და რა შემთხვევაში დაკარგავს მზის მფარველობას? ქალწულს კარმული მბრძანებელი პლანეტა მერკური რის შესაძლებლობას ანიჭებს? რა შემთხვევაში მოიპოვებს წარმატებასა და აღიარებას ანდა რა არის მისი ამოცანა, ცხოვრებისეული გაკვეთილი და განვითარების კარმული გზა? სასწორს კარმული მბრძანებლის პლანეტა ვენერას ზემოქმედების გამო სულის განწმენდაში რა დაეხმარება? რა წარმოადგენს მის კარმულ მისიას ანდა რისი გაცნობიერება მართებს? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი* ***მიხეილ ცაგარელი*** *გვესაუბრება.*

**— განვაგრძოთ ამა თუ იმ ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულთა მთავარი მმართველი და კარმის მბრძანებელი პლანეტების ზემოქმედებისა და მოთხოვნების შესახებ საუბარი. კირჩხიბთა კარმის მბრძანებელი მთვარე რა გავლენას ახდენს მათზე და რას ითხოვს?**

— 4. **მგრძნობიარე და ცვალებადი ხასიათის ტიპური კირჩხიბის ნიშნით დაბადებული ადვილად ექვემდებარება მთვარის ენერგიის გავლენას და მისი აქტიური ზემოქმედების გამო უმეტესწილად გარშემო მყოფებზე დამოკიდებულია, ამიტომაც ტოქსიკური ურთიერთობების გაწყვეტა უჭირს. ეს მთვარის სუსტი მხარეა, რომელიც ემოციურ არამდგრადობაში ვლინდება და ფსიქიკას ზიანს აყენებს.** ამგვარ ადამიანს მუდმივად აქვს საკუთარი ცხოვრებით დაუკმაყოფილებლობის შეგრძნება. ის ემოციურად სუსტია და სტრესების გადატანა უჭირს. თუმცა, **მთვარის ძლიერი მხარე საპირისპიროა და ხელს უწყობს კირჩხიბთა ძლიერი თვისებების გამოვლენას,** როგორიც არის ნებისმიერ პირობებსა და გარემოცვაში გადარჩენა და ანალიტიკური მონაცემების მართებულად გამოყენება, რაც ეხმარება წინსვლასა და წარმატების მოპოვებაში. ამ შემთხვევაში ყოველთვის იხსნება **უმაღლესი კარმული პროგრამა — ხალხისთვის მსახურება წინაპართა დადებითი გამოცდილების საფუძველზე და სწორედ ეს არის კირჩხიბის ნიშნით დაბადებულთა უმაღლესი კარმული განვითარების გზა.**

5. **ლომის ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულის კარმის მბრძანებელი მზეა, რომელიც ცდილობს, მას სიკაშკაშე ასწავლოს როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით. უპირველეს ყოვლისა, ეს გონიერების პრიზმაში გატარებული სულის სინათლეა. შესაბამისად, რაც უფრო სუფთა და ამაღლებულია გონიერება, მით უფრო ნათელი და კაშკაშაა ამ ადამიანთა აურა.** მზე ლიდერის კარმას განაპირობებს, ამ შემთხვევაში წარმატება არ არის თვითმიზანი, მთავარი ადამიანებისთვის მსახურებაა. ნიშანდობლივია ისიც, რომ, თუ **ლომის ნიშნით დაბადებული** მზადაა, აიღოს სხვა ადამიანებზე პასუხისმგებლობა და იცხოვროს და იღვაწოს არამხოლოდ საკუთარი თავისთვის, არამედ ყველასთვის, მაშინ მზე მას წარმოუდგენლად დიდი ენერგიით, თავდაჯერებულობითა და ბედნიერებით აღავსებს, მაგრამ მაშინვე, როგორც კი გადაწყვეტს, იცხოვროს მხოლოდ საკუთარი თავისთვის, იგი დაკარგავს თავისი კარმული მბრძანებლის მფარველობას და ბედნიერებისა და წარმატების შეგრძნებაც მალევე გაქრება.

6. **ქალწულის ნიშნით დაბადებულის კარმის მბრძანებელი კი პლანეტა მერკურია, რომელსაც კარმული პრობლემები უფრო აქტიურ, მოძრავ მდგომარეობაში გადაჰყავს, რისი მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება კარმული კვანძებისგან გათავისუფლება უფრო სწრაფად და ეფექტურად. ქალწულის კარმულ ამოცანას წარმოადგენს სწავლა, შრომა და სამყაროსა და ადამიანების უანგაროდ მსახურება.** ამ ნიშნით დაბადებულთაგან ის მოიპოვებს წარმატებასა და აღიარებას, ვინც მუდმივად სიახლის გაგება-შეცნობას ცდილობს და საკუთარი სამყაროს ხედვა და მსოფლმხედველობა გააჩნია. ინტელექტისა და გონების მმართველი **პლანეტა მერკური ქალწულის** ნიშნით დაბადებულს მუდამ აძლევს ინტელექტუალური განვითარების, ინტერესების სფეროს მაქსიმალურად გაფართოების საშუალებას. ნიშანდობლივია, რომ **შრომისმოყვარეობა და თვითშემეცნება ქალწულთა უმთავრესი ცხოვრებისეული გაკვეთილია.** მხოლოდ შრომისმოყვარეობის მეშვეობით არის შესაძლებელი დაშვებული შეცდომების გამოსწორება, საგნების, მოვლენებისა და მთლიანად სამყაროს ჭეშმარიტი არსის გააზრება, ამიტომ, თუ ამ ნიშნით დაბადებულს რაიმე არ გამოსდის, არ უნდა მოიწყინოს და ფარ-ხმალი არ უნდა დაყაროს, რამეთუ მათი განვითარების კარმული მიმართულებაა შრომა, ანალიზი, გააზრება და ძიება.

7. **სასწორის კარმის მბრძანებელია პლანეტა ვენერა, ამიტომ სწორედ სიყვარული ეხმარება ამ ნიშნით დაბადებულს, სული განიწმინდოს. მისი მიზანია, გულწრფელად, ნათელი გრძნობებით იცხოვროს, მატერიალურ ფასეულობას არ მიეჯაჭვოს და წვრილმანი ცხოვრებისეული ლამაზი მომენტებით ტკბობა შეძლოს. ვენერას** ენერგია ზოგჯერ მაცდურია, რის გამოც ყველა სახის სიამოვნებაზე დამოკიდებულება, ამპარტავნება და სიხარბე იზრდება, ამიტომაც **სასწორთა კარმულ მისიას წარმოადგენს ამ ცდუნებათა დაძლევა, დიპლომატიურობის, მზრუნველობის, ყურადღების განვითარება, სილამაზის შეგრძნება და დანახვა ყველგან და ყველაფერში.** მშვენიერებით ტკბობა მარტივი საქმე არ არის, რათა სილამაზის მონა არ გახდე და მის ტყვეობაში არ აღმოჩნდე. **სასწორის ნიშნით დაბადებულმა უნდა გააცნობიეროს, რომ სილამაზე მხოლოდ ახალისებს, აცოცხლებს სამყაროს. ჭეშმარიტი ჰარმონია კი მიიღწევა უმაღლესი, უმანკო, ღვთიური სიყვარულისა და ალმაფრენის მეშვეობით.**

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***

## 19 – 25 სექტემბრის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
**შესაძლოა, პარტნიორთან ურთიერთობა დაიძაბოს, რაც კავშირის დაშლის საბაბი გახდება. გარისკვის გარეშე მოინდომებთ ცხოვრების აწყობას, თუმცა, ამის შესაძლებლობა ჯერ არ მოგეცემათ და ეს პირად ურთიერთობებს დაძაბავს. საკუთარ ბიზნესთან დაკავშირებით მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ნუ მიიღებთ. ახალი ინფორმაციის მიღება-დამუშავება გაგიჭირდებათ. მოგზაურობას შესაძლოა, დამატებითი სირთული და პრობლემა მოჰყვეს, გაცივების ალბათობაც არსებობს.**

**კურო** (21.04-20.05)
**ეცადეთ, სამსახურის გამო მეგობრები არ გაანაწყენოთ. რთულ სიტუაციაში დაგეხმარებათ ახლობლებთან და ნათესავებთან გულთბილი ურთიერთობა. სამუშაო ბევრ დროს წაიღებს და შესაძლოა, ჯანმრთელობის გაუარესების მიზეზიც გახდეს. სასიყვარულო სფეროში კი განსაკუთრებული სიფრთხილე გმართებთ, რადგან მცირეა დანაკარგის დაბრუნების შანსი. მოგზაურობაც ჯობს, გადადოთ, რათა უცხო ადგილას პრობლემა არ შეგექმნათ და დრო უშედეგოდ არ დაგეხარჯოთ.**

**ტყუპი** (21.05-22.06)
**სამსახურში წარმატების მისაღწევად არაორდინარული გზები და მეთოდები გამოიყენეთ. სწავლისთვის და კვალიფიკაციის ამაღლებისთვის კარგი დროა. შორეული მოგზაურობისას შესაძლოა, მღელვარე რომანი წამოიწყოთ. კარგი პერიოდია ახალი ადამიანების გასაცნობად და უცხოელებთან ან იქ მყოფ მეგობრებთან საქმიანი მოლაპარაკებებისთვის. გადაადგილებები და კონტაქტები ერთიორად გაგიუმჯობესებთ განწყობას და გაგახალისებთ.**

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
**ენერგომაჩვენებელი დაქვეითებულია, ამიტომ ბევრ ადამიანთან ურთიერთობა დამღლელი იქნება, ხოლო მოგზაურობა — უშედეგო. ჩანაფიქრის განსახორციელებლად თანამოაზრენი დაიხმარეთ და ახალი პარტნიორული კავშირები დაამყარეთ. საოჯახო და სასიყვარულო სფეროში დროულად, მაგრამ დიპლომატიურად გაარკვიეთ გაუგებრობა და თქვენი მოთხოვნებიც წამოაყენეთ. ხშირად დაისვენეთ, რათა გადაღლამ თავის ტკივილი და ავადმყოფობა არ გამოიწვიოს.**

**ლომი** (23.07-23.08)
**ეცადეთ, ამ პერიოდში არაფერი შეცვალოთ, რადგან დამატებითი პრობლემები შეგექმნებათ. სამსახურში კი გაუგებრობას ადვილად მოაგვარებთ. ფსიქოსომატური მდგომარეობის გამოსასწორებლად სულიერი პრაქტიკა დაიხმარეთ. ჯანმრთელობასაც დროულად მიხედეთ. სასიყვარულო სფეროში ყველა დეტალი გაითვალისწინეთ და დიპლომატია გამოავლინეთ. უცხოელებისგან მიღებული ინფორმაცია კი აუცილებლად შეამოწმეთ.**

**ქალწული** (24.08-23.09)
**ოჯახის წევრებთან და შეყვარებულთან ტაქტი და დიპლომატია გამოავლინეთ, რათა არ აწყენინოთ და ბოდიშის მოხდა არ მოგიწიოთ. ახალ ნაცნობებთან ყურადღებით იყავით, რათა არ გიღალატონ ან საქმე არ წაახდინონ. მოგზაურობა-გადაადგილებები შეამცირეთ, რადგან ენერგოპოტენციალი კლებას იწყებს და დიდი დატვირთვის და გადაღლის ატანა გაგიჭირდებათ. არსებობს თანამდებობის პირთან სასიყვარულო კავშირის დამყარების ალბათობა.**

**სასწორი** (24.09-22.10)
**ნუ გარისკავთ, კრედიტს ნუ აიღებთ, ნაკლები იმსახიობეთ და სასიყვარულო პარტნიორსაც სათუთად მოეპყარით. გაზრდილი ენერგოპოტენციალი ახალი კავშირების დამყარებასა და ძველი ურთიერთობების აღდგენაში დაგეხმარებათ. უცხოელებთან ურთიერთობისას სიფრთხილე გმართებთ, თავი შეიკავეთ ნაჩქარევად სხვა ქვეყანაში გამგზავრებისგან. ცეცხლთან და ელექტროგაყვანილობებთან მიმართებით სიფრთხილე გამოიჩინეთ, არსებობს დაშავების ალბათობა.**

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
**ავადმყოფურად მგრძნობიარე გახდებით და შეეცდებით, დაფარულად იცხოვროთ. თუ საკუთარ ემოციებს და გრძნობებს არ მოთოკავთ, ოჯახის წევრებთან ბევრი წინააღმდეგობა შეგექმნებათ. ნურავის მოატყუებთ, რადგან ამ შემთხვევაში ბევრი ადამიანის პატივისცემასა და ერთგულებას დაკარგავთ. ეს დრო დასვენებასა და ენერგიის დაგროვებას დაუთმეთ. რელიგიასა და სულიერ პრაქტიკას ჩაუღრმავდით, რათა შინაგანი არასტაბილურობა გადალახოთ.**

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
**ოჯახის პრობლემების მოგვარება ბევრ დროს წაგართმევთ, ამიტომ სამუშაოს გარკვეული ნაწილის შესრულება შესაძლოა, სახლში მოგიწიოთ. ხშირი კონტაქტების მიუხედავად, საჭირო ინფორმაციის სრულად მიღება მარტივი არ იქნება. ურთიერთობებისას სიფრთხილე გამოიჩინეთ და ეცადეთ, თქვენი გეგმები წინასწარ არ გაამხილოთ. შორეული მოგზაურობა და უცხოელებთან ურთიერთობა კი შესაძლოა, დიდ ხარჯებს დაუკავშირდეს.**

**თხის რქა** (22.12-19.01)
**დიდი ფინანსური გარიგებებისა და ოპერაციებისთვის არახელსაყრელი პერიოდია. უცხოელი პარტნიორების დაპირებანი და შემოთავაზებები მომავალში კარგ პერსპექტივას გიქადით. ოჯახში მეუღლესთან და შეყვარებულთან არსებული გაუგებრობა ჯობს, დროულად გაარკვიოთ. ნაჩქარევად ოჯახის შექმნა კი რეკომენდებული არ არის. ფიზიკური ამტანობის დაქვეითების შემთხვევაში, დროულად მიაკითხეთ ექიმს და ხშირად დაისვენეთ.**

**მერწყული** (20.01-18.02)
**არსებულ გარემოებათა გამო ცვლილებების სურვილი დაგეუფლებათ, მაგრამ ჩანაფიქრის განსახორციელებლად შესაძლოა, დრო ან ფინანსები არ გეყოთ. მხარდაჭერის მიღება გარშემო მყოფების მხრიდან მარტივი არ იქნება. ნერვიულობამ და დაღლამ კი შესაძლოა, თავის ტკივილი და ავადმყოფობა გამოიწვიოს. პირადი ურთიერთობისას ეცადეთ, გრძნობები დროულად გამოხატოთ, რათა შემდგომ გული არ დაგწყდეთ. მოგზაურობა კი რეკომენდებულია მხოლოდ დასვენების მიზნით.**

**თევზები** (19.02-20.03)
**ახალ პარტნიორებს და ნაცნობებს სიტყვიერად ნუ ენდობით. ფინანსური მდგომარეობა სახარბიელო არ იქნება, თუმცა, ახლო ნათესავები დაგეხმარებიან. პროფესიული ცოდნის ამაღლებასა და გამოცდილების დაგროვებას მეტი დრო დაუთმეთ, შეყვარებულთან დაკავშირებით, შესაძლოა, ფარული ინფორმაცია შეიტყოთ, რაც თქვენს ეჭვებს დაადასტურებს. ჯანმრთელობის მდგრადობის შესანარჩუნებლად დიეტა დაიცავით და სპირტიან სასმელს მოერიდეთ.**



## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია 19,22,24 და 25 სექტემბერი

**10 სექტემბერი – სავსემთვარეობა;**
**26 სექტემბერი – ახალმთვარეობა.**

# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 19 სექტემბერი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 05.45 საათზე, ჩადის 18.04 საათზე. **მთვარე** კირჩხიბის ზოდიაქოშია. ამოდის 23.41 საათზე, ჩადის 20 სექტემბერს 14.58 საათზე (მთვარის 24-ე დღე იწყება 23.53 საათზე. მე-4 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** სასიკეთოა გეგმაზომიერად მუშაობა. პროვოკაციებს ნუ აჰყვებით, ცუდ წინათგრძნობას ნუ დაუჯერებთ. ურთიერთობისას ხელის შემშლელი ფაქტორი იქნება თავდაჯერების სიმცირე და გონებაგაფანტულობა. კარგი დღეა საოჯახო-სანათესაო ურთიერთობებისთვის, საყოფაცხოვრებო ნივთების შესაძენად, ვაჭრობისთვის, კულინარიული საქმიანობისთვის, ფოტოგრაფიისთვის, სასამართლო პროცესის დასაწყებად, მცენარეთა დარგვა-გადარგვისთვის, ტრადიციების შესასწავლად. არ არის სასურველი ქორწინება, ბინის შეცვლა, სესხის აღება, ალკოჰოლური სასმლის, მწარე და მლაშე საკვების მიღება. საბუთები ხელმოწერამდე კარგად შეამოწმეთ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია კუჭი, მკერდი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი. **ქვები:** ზურმუხტი, მარგალიტი, ოპალი, აქატი, რაუხტოპაზი. **პოზიტიური დღეა** კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, სასწორისთვის.

## 20 სექტემბერი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 05.46 საათზე, ჩადის 18.02 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (23.39) ლომის ზოდიაქოში. ამოდის 23.59 საათზე, ჩადის 21 სექტემბერს 15.41 საათზე (მთვარის 24-ე დღე გრძელდება. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 19.57 საათიდან 23.59 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს წარმატების საწინდარია აქტიურობა და დამოუკიდებლად მოქმედება. შესაძლოა, საკუთარ ქვეცნობიერ სიღრმეებს ჩასწვდეთ. ნუ შეეცდებით პარტნიორის მანიპულირებას და სხვათა სუსტი მხარის გამოყენებას. არ არის სასურველი ქორწინება, ბინის შეცვლა, სესხის აღება. მაღალია ფინანსური შეცდომების ალბათობა. საბუთები ხელმოწერამდე კარგად შეამოწმეთ. კარგი დღეა ბავშვის ჩასახვისთვის, საოჯახო-სანათესაო ურთიერთობებისთვის, ტრადიციების პატივსაცემად, ანტიკვარიატის, საყოფაცხოვრებო ნივთების შესაძენად, ვაჭრობისთვის, ფოტოგრაფიული და კულინარიული საქმიანობისთვის, ვარჯიშებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია კუჭი, მკერდი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, გული. **ქვები:** ზურმუხტი, მარგალიტი, აქატი, მალაქიტი, ოპალი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 21 სექტემბერი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 05.47 საათზე, ჩადის 18.00 საათზე. **მთვარე** ლომის ზოდიაქოშია. ამოდის 00.41 საათზე, ჩადის 16.17 საათზე (მთვარის 25-ე დღე იწყება 01.02 საათზე. მე-4 ფაზა). **ტენდენციები:** სასიკეთოა ლოცვა საკუთარი ბედნიერებისთვის. პარტნიორთა შორის ურთიერთგაგება იმატებს. შედეგიანია თვალებისა და ნერვული სისტემის მკურნალობა. კარგი დღეა მშვიდად მუშაობისთვის, ახალი სამსახურის დასაწყებად, იურიდიული საქმეებისთვის, ხელმძღვანელთან ურთიერთობისთვის, მეგობრული კონტაქტებისთვის, ტანსაცმლის, ძვირფასეულობის, საჩუქრების შესაძენად, მშენებლობის დასაწყებად, თმის შეჭრა-მოვლისთვის. არ არის სასურველი ნერვიულობა, სიმძიმეების აწევა, ფიზიკურ-ემოციური გადატვირთვა, ფინანსური გარიგება, ქორწინება, ბინის ან ადგილსამყოფლის (ქალაქის) შეცვლა, ხელშეკრულების დადება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი. **ქვები:** ბრილიანტი, მთის ბროლი, სერდოლიკი, ქარვა, სარდიონი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის. **ნეგატიურია** კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 22 სექტემბერი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 05.48 საათზე, ჩადის 17.59 საათზე. **მთვარე** ლომის ზოდიაქოშია. ამოდის 01.44 საათზე, ჩადის 16.48 საათზე (მთვარის 26-ე დღე იწყება 02.18 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 15.07 საათიდან 23.59 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს ნაკლები ილაპარაკეთ და სხვის არასწორ გამონათქვამზე ზედმეტად ემოციურ რეაგირებასაც ნუ მოახდენთ, პარტნიორთა შორის შესაძლოა, საიდუმლო გამომჟღავნდეს. უცნაურმა მოვლენამ კი შესაძლოა, სასიამოვნოდ გაგაკვირვოთ. კარგი დღეა კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, მეგობრული კონტაქტებისთვის, სამსახურის დასაწყებად, პარფიუმერია-კოსმეტიკის, ტანსაცმლის, ძვირფასეულობის, საჩუქრების შესაძენად, იურიდიული საქმეებისთვის, თმის შეჭრა-მოვლისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, ბინის შეცვლა, ხელშეკრულების დადება, ფინანსური გარიგება, ნერვიულობა, სიმძიმეების აწევა. შედეგიანია თვალებისა და ნერვული სისტემის მკურნალობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი. **ქვები:** ბრილიანტი, მთის ბროლი, სარდიონი, ქარვა, სერდოლიკი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, ღრიანკალისთვის.

## 23 სექტემბერი, პარასკევი

**მზე** გადაინაცვლებს (05.05) სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 05.49 საათზე, ჩადის 17.57 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (11.55) ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 02.48 საათზე, ჩადის 17.14 საათზე (მთვარის 27-ე დღე იწყება 03.38 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 01.00 საათიდან 11.55 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს შემოდგომის ბუნიობისა და დღეღამტოლობის დღეს **მზე** გადაინაცვლებს სასწორის ზოდიაქოში და გააძლიერებს დიპლომატიურობას, კომუნიკაბელურობას, კომპრომისის, სილამაზის აღქმის უნარს, შემოქმედებითობას და ასევე გაორებამერყეობას, სულსწრაფობას, სხვისი ზეგავლენის ქვეშ მოქცევის შესაძლებლობასაც. რთული, წინასწარგანუსაზღვრელი მოვლენების დღეა. არ არის სასურველი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება, კრიტიკა, ქორწინება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. განეწყვეთ პოზიტიურად და ყველას უსურვეთ სიკეთე და ბედნიერება, სულიერი მდგომარეობა განაახლეთ. მოძძლავრებულ სექსუალურ ენერგიას აგრესიულში ნუ გარდაქმნით. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია გული, ნაწლავთა სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ელენთა. **ქვები:** ბრილიანტი, ყვითელი და მწვანე იასპი, ქარვა, მალაქიტი, სერდოლიკი. **პოზიტიური დღეა** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის.

## 24 სექტემბერი, შაბათი

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 05.50 საათზე, ჩადის 17.55 საათზე. **მთვარე** ქალწულის ზოდიაქოშია. ამოდის 03.54 საათზე, ჩადის 17.37 საათზე (მთვარის 28-ე დღე იწყება 04.58 საათზე. მე-4 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეიდან ინტელექტისა და კომუნიკაციების მმართველი პლანეტა **მერკური** გადაინაცვლებს **ქალწულის** ზოდიაქოში (11 ოქტომბერი), რაც გააძლიერებს სისუფთავისა და წესრიგისკენ მიდრეკილებას, წვრილმანების დანახვის, უცხო ენების ათვისების უნარს, ორგანიზებულობას, პასუხისმგებლობას, შრომისუნარიანობას და ასევე სიჯიუტეს, პირდაპირობასაც. კარგი დღეა მეოცნებეთათვის (პოეტთათვის), ძლიერდება კავშირი მფარველ ანგელოზთან. ხელი შეეწყობა სწავლას, დალაგება-დასუფთავებას, აუდიტს, საქმიანი მიმოწერისთვის ანალიზს. ეცადეთ, პრობლემური სიტუაციიდან თავის დასაღწევად იუმორი მოიშველიოთ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, ელენთა, კუჭქვეშა ჯირკვალი. **ქვები:** მწვანე და ყვითელი იასპი, მალაქიტი, ონიქსი, აქატი. **პოზიტიური დღეა** კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის.

## 25 სექტემბერი, კვირა

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 05.51 საათზე, ჩადის 17.54 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (20.44) სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 04.59 საათზე, ჩადის 17.59 საათზე (მთვარის 29-ე დღე იწყება 06.19 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 16.49 საათიდან 20.44 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს რჩევებს ყურადღება მიაქციეთ. კარგი დღეა მოგზაურობისთვის, ტურისტული ლაშქრობისთვის, სწავლისთვის, კოსმეტიკური პროცედურისთვის, დალაგება-დასუფთავებისთვის, დიეტის დასაწყებად. არ არის სასურველი გარისკვა, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება, ქორწინება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, საწყლოსნო ტრანსპორტით მგზავრობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, ელენთა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ყელი, ენდოკრინული სისტემა, თირკმლები. **ქვები:** მწვანე და ყვითელი იასპი, მალაქიტი, აქატი, ნეფრიტი, ლაზურიტი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.





19 სექტემბერი - ხსენება სასწაულისა ქმნილისა მთავარანგელოზისა მიქაელისა მიერ კოლასეს შინა

✝ 19 სექტემბერი. ორშაბათი. **ხსენება სასწაულისა ქმნილისა მთავარანგელოზისა მიქაელისა მიერ კოლასეს შინა;** მოწამეთა: **ევდოქსისი, ზენონისი** და **მაკარისი;** ღირსისა **არქიპოსი;** მოწამეთა **რომილეს**ი და მისთანა სხვათა მრავალთა; მღვდელმოწამისა **კირილესი, ჰორტინელი** ეპისკოპოსისა; მოწამეთა: **კვირიაკესი, ფავსტო ხუცისა, აბიბოს დიაკონისა** და მათთანა 11-თა მოწამეთა; ღირსისა **დავითისა.**

✝ 20 სექტემბერი. სამშაბათი. **წინადღესასწაული ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის შობისა.** მოწამისა **სოზონისა;** მოციქულთა **ებოდისა** და **ონისიფორესი,** 70-თაგანთა; მოწამისა **ევფსიქი კესარია** კაბადოკიელისა; ღირსისა **ლუკასი.**

✝ 21 სექტემბერი. ოთხშაბათი. **შობა ყოვლადწმიდისა დედუფლისა ჩვენისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა. ღმრთისმშობლობა. დიდუბობა. გელათობა. შუამთობა. ბეთანიობა.** წმიდათა აღმსარებელთა იოანესი და გიორგი-იოანესი.

✝ 22 სექტემბერი. ხუთშაბათი. **შემდგომი დღესასწაული ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის შობისა. წმიდათა და მართალთა მშობელთა ღმრთისათა იოაკიმე და ანასი.** მოწამისა **სევერიანესი;** ღირსისა **თეოფანე** მმარხველისა და აღმსარებელისა; მოწამეთა **ხარიტონისა** და **სტრატორესი;** ნეტარისა **ნიკიტა** კონსტანტინოპოლელისა; პოვნა და აღმოყვანება წმიდათა ნაწილთა **თეოდოსისა,** ჩერნიგოველი მთავარეპისკოპოსისა; ხსენება მესამე მსოფლიო კრების წმიდათა მამათა.

✝ 23 სექტემბერი. პარასკევი. მოწამეთა: **მინოდორასი, მიტროდორასი** და **ნიმფოდორასი;** მოციქულთა: **აპელისი, ლუკისი** და **კლიმენტისი,** 70-თაგანთა; მოწამისა **ვარიფსავასი;** კეთილმორწმუნისა **პულქერიასი,** ბერძენთა დედოფლისა; მღვდელმთავართა **პეტრესი** და **პავლესი**, ნიკეელ ეპისკოპოსთა.

✝ 24 სექტემბერი. შაბათი. **წინა შაბათი ჯვართამაღლებისა.** ღირსისა **თეოდორა** ალექსანდრიელისა; მოწამეთა: **დიმიტრისა,** ცოლისა მისისა **ევანთიასი** და ძისა მათისა **დიმიტრიანესი;** მოწამეთა **დიოდორესი** და **დიდიმოსი,** ასურელთა; მოწამისა **იასი,** სპარსეთს ვნებულისა; ღირსისა **ევფროსინესი;** ღირსისა **სილუანე** ათონელისა. წირვის შემდეგ კრწანისის ბრძოლაში თავდადებულ ქართველთა სულთა საოხად აღესრულება პანაშვიდი.



21 სექტემბერი - შობა ყოვლადწმიდისა დედუფლისა ჩვენისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა. ღმრთისმშობლობა

✝ 25 სექტემბერი. კვირა. **წარგზავნა ყოვლაწმიდა ღმრთისმშობლის შობის დღესასწაულისა; გიორგი ჭყონდიდელისა, დავით აღმაშენებლის მოძღვრისა, მწიგნობართუხუცესისა;** მღვდელმოწამისა **დოსითეოზ** თბილელისა; მღვდელმოწამისა **ავტონომოსი,** იტალიელი ეპისკოპოსისა; მოწამისა **იულიანესი** და მისთანა 40-თა მოწამეთა; მოწამისა **თეოდორე** ალექსანდრიელისა; მღვდელმოწამისა **კორნუტისა,** ნიკომიდიელი ეპისკოპოსისა.

ელის უნიკალური კრემი და სასწაულმოქმედი სამკურნალო მალამო თქვენი სილამაზისა და ჯანმრთელობისთვის!

თბილისი, ფალიაშვილის 81, ვაკის პარკთან
599-22-59-09



საქართველო- ისრაელის ერთობლივი კლინიკა
GIDMEDI GEORGIA - ISRAEL JOINT CLINIC
გიდმედი
გქონდეთ ჩვენი იმედი!
ნებისმიერი ქირურგიული და უროლოგიური პათოლოგია
თბილისი, ლუბლიანას ქ. 2/6, მეხუთე სართული. 591 35 33 55

მაღაზია «ბუკვინცა»
ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს 1945 წლამდე.
მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.
574-73-46-96, 243-01-17
555-68-82-90



### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 5. მამბა; 9. პასი; 11. მასტროიანი; 12. დროშა; 13. ლერწი; 14. პუმა; 15. სემირამიდა; 16. გროგი; 17. ნუარე; 18. ლორი; 19. სილიკატები; 24. ნიელო; 25. ზიჩი; 27. ტონა; 28. მესოპოტამია; 29. კილი; 31. დანი; 34. კატამარანი; 39. პორტერი; 40. კიბო; 42. ქურანი; 43. სიგარა; 46. სანთელი; 47. ღიმილი; 50. მაგთი; 51. ქილიკი; 53. გორგია; 56. მონარქი; 57. ნამყო; 58. ია; 59. მანანა; 60. ნიანგი; 61. რევანში; 62. ლიტრი; 63. ავერსი; 64. კაირო.

**შვეულად:** 1. ბალეტი; 2. სტვირი; 3. სონატა; 4. მატინე; 5. მილანი; 6. მირიანი; 7. ადიგენი; 8. პოლონეზი; 9. პაპილოტი; 10. სამორინე; 19. სუმო; 20. ლესია; 21. კოპრა; 22. ტეტია; 23. ბამბა; 25. ზადი; 26. ჩანგი; 30. ლარდი; 32. მექა; 33. პიზა; 34. კრუპი; 35. ტყავი; 36. მაისი; 37. რაინდი; 38. ნანეტი; 39. პო; 40. კრიმინალი; 41. ბერგამოტი; 43. საიგონი; 44. გლორია; 45. როკი; 47. ღამურა; 48. მანავი; 49. ლორენი; 51. ქიმია; 52. ლონგე; 54. განგი; 55. აყირო.

**სკამილეგრანიტიპიანომერინოსირიალიბისტიმული**
**მორიკონირიმესამედიანაფორანილოსიონიანილინი**

| საფუ-ტკრე | ფრანგი ფერმწერი | ქანი – ქვირფასი საშენი მასალა | ხმადაბლა (მუს.) | ნაზბეწვიანი ცხვრის ჯიში | ირანის ფულის ერთეული | ლიბრი | ქმრის და |
|---|---|---|---|---|---|---|---|

| აპეჯის სახეობა | ფრანგი კომპოზიტორი | ბეჭდვასთან დაკავშირებული სიტყვის ნაწილი | ოთახი სასტუმროში | სოფელი სენაკის რაიონში | უდანაშა-ულობის საბუთი | რაიმე მოქმედებისათვის ხალისის აღძვრის მიზეზი |
|---|---|---|---|---|---|---|



თარაზულად: 5. გველის სახეობა; 9. ბურთის გადაცემა თანაგუნდელისათვის; 11. იტალიელი მსახიობი მამაკაცი; 12. ალამი; 13. ვაზის ერთწლიანი რქა; 14. სპორტული სამოსის გერმანული ფირმა; 15. ასირიის ლეგენდარული დედოფალი; 16. მაგარი სასმელი; 17. ფრანგი მსახიობი მამაკაცი; 18. გამოყვანილი და დამარილებული ღორის ხორცი; 19. კაჟმიწის შემცველი მინერალები; 24. მოსავადების ტექნიკა; 25. უნგრელი ფერმწერი, „ვეფხისტყაოსნის“ დამსურათებელი; 27. 1000 კილოგრამი; 28. მხარე დასავლეთ აზიაში, ე.წ. შუამდინარეთი; 29. მცირე ნაკლი; 31. ძიუდოისტების ოსტატობის ხარისხი; 34. ერთგვარი სატვირთო გემი; 39. შავი ლუდის სახეობა; 40. ავთვისებიანი სიმსივნე; 42. წაბლისფერი ცხენი; 43. თამბაქოს ნაწარმი; 46. ცვილი; 47. უხმო სიცილი; 50. ქართული საკომუნიკაციო კომპანია; 51. ოხუნჯი, ხუმარა; 53. ჰიპერმარკეტების ქსელი საქართველოში; 56. მეფე; 57. წარსული დრო; 58. გაზაფხულის ყვავილი; 59. ქართული საბავშვო ფილმი; 60. დიდი ზომის ქვეწარმავალი; 61. სამაგიეროს გადახდა დამარცხებისთვის; 62. სითხის საზომი ერთეული; 63. მედლის წინა მხარე; 64. ეგვიპტის დედაქალაქი.

შვეულად: 1. ხელოვნების დარგი; 2. ხალხური ჩასაბერი საკრავი; 3. ბეთჰოვენი „მთვარის...“; 4. ქალის საშინაო ხალათი; 5. ქალაქი იტალიაში; 6. პირველი ქართველი ქრისტიანი მეფე; 7. რაიონი მესხეთში; 8. საზეიმო საბალო ცეკვა; 9. ქაღალდის ან ჩვრის ნაჭერი, რომელზეც ახვევენ თმის კულულებს; 10. კაზინო; 19. იაპონური ჭიდაობა; 20. უკრაინელი პოეტი ქალი ... უკრაინკა; 21. ქოქოსის კაკლის გული; 22. გაუნათლებელი, გულუბრყვილო გლეხი (ძვ.); 23. ბოჭკოვანი მცენარე; 25. წუნი, ნაკლი; 26. სიმებიანი საკრავი; 30. გადამდნარი ღორის ქონი; 32. მუსლიმანთა წმინდა ქალაქი; 33. დახრილი კოშკის ქალაქი იტალიაში; 34. ხორხის ლორწოვანი გარსის ანთება; 35. ბალზაკი — „შაგრენის ...“; 36. გაზაფხულის თვე; 37. უშიშარი, თავდადებული მებრძოლი (წიგნ.); 38. თმის ერთგვარი ვარცხნილობა; 39. მწერალი ედგარ ალან ...; 40. სისხლის სამართლის დანაშაული; 41. მსხლის ჯიში; 43. ხოშიმინის ძველი სახელი (ვიეტნამი); 44. კათოლიკური მესის მეორე ნაწილი; 45. მიმდინარეობა მუსიკაში; 47. მფრინავი თაგვი; 48. ქართული ღვინო; 49. იტალიელი მსახიობი ქალი; 51. საბუნებისმეტყველო მეცნიერება; 52. ძველი ბერძენი მწერალი; 54. მდინარე ინდოეთში; 55. მწარე გოგრა.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| იტალიელი კომპოზიტორი | ფულის მისაღები თამასუქი | ხაზი სამკუთხედის წვეროდან მოპირდაპირე გვერდის შუა წერტილამდე | უძარო საზიდარი, რომელშიც ცხენებს აბამენ | ერთგვარი ინანთეული | ზეთოვანი სითხე – წამლების და სალებავების დასამზადებლად |
|---|---|---|---|---|---|

| ჩელენტანოს მეუღლე კლაუდია ... | ჰოლივუდის მსახიობი მამაკაცი | სამ თანასწორ ნაწილად გაყოფილი მთელის ერთი ნაწილი | მღვდლის სამოსი | მდინარე აფრიკაში | მსახიობი ონისე ... | ამერი-კელი რეჟისორი |
|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.

დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზეპარტიული

ასავალ დასავალი

2022 წლის 19 — 25 სექტემბერი №39 (1451)

გამოდის ორშაბათობით

2 009882 637296

მეღიაჰოლღინგი "ასავალ-ღასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-ღასავალი"

სარედაქციო კოლეგია

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

წერილები გამოგზავნეთ მისამართზე: **თბილისი, 0160, „ასავალ-დასავალი“.**
ტელეფონები: **215-25-25; 215-35-35; (+995) 570-50-50-50; (+995) 570-50-50-70**
„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**
ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე:
**www.facebook.com/Asavali.com** გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**

